საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

ყაზბეგი

№048
(12 118)
28 თებერვალი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი



## დინამო მსაჯის შეცვლას ითხოვს 3



## ფაჩულიას ახალი რეკორდი 13

# კახა კალაძე: გლაზგოში ვითამაშებ

ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაშავებულ კახა კალაძეს იტალიის ჩემპიონატის მატჩის გამოტოვება მოუხდა. ფეხბურთელი აქილევსის მყესმა შეაწუხა და შოტლანდიაში მისი თამაშის გამო ეჭვიც გამოითქვა.

ბუნებრივია ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და გუშინ კახას მილანში დავუკავშირდით. საქართველოს ნაკრების კაპიტანი 27 თებერვალს 29 წლისა შესრულდა. კახას საუბრის დასაწყისშივე მივულოცეთ იუბილე, მერე კი ტრავმაზეც დავეკითხეთ.

*"მილოცვებისთვის მადლობელი ვარ. მკურნალობას განვაგრძობ და ახლა უკეთ ვარ. აქილევსის მყესის ტკივილი თითქმის აღარ მაწუხებს. დიდი შანსია შაბათს "კიევოსთან" საშინაო მატჩში ვითამაშო კიდეც... რაც შეეხება შოტლანდიასთან მატჩს, მანამდე მთელი სამი კვირაა და რაღა თქმა უნდა გამოჯანმრთელებასაც მოვასწრებ და გლაზგოშიც ვითამაშებ".* - გვითხრა კალაძემ.

დავით ცაბაძე



# ელგუჯა გუგუშვილს ახალკაცობა შესთავაზეს?

## გუგუშვილი: ფედერაციამ საფეხბურთო მანქანა ვერ აამუშავა

მერაბ მამულაშვილი

**30 ივნისს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება. უმაღლესი საფეხბურთო პოსტის დაკავების სურვილი ჯერ მხოლოდ უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ გამოთქვა და აქტიურ საარჩევნო კამპანიასაც ატარებს. თუმცა "წყალქვეშა დინებები" უკვე შეინიშნება და მიიღებს თუ არა ის "ცუნამის" მსგავს დამანგრეველ ხასიათს ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობისთვის, ამას ზაფხულში შევიტყობთ.**

**ახლა საქმეზე. ჩვენთვის ცნობილი გახდა საინტერესო ინფორმაცია, თითქოს, სახელისუფლებო წრეები პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორს, ელგუჯა გუგუშვილს განიხილავენ. ბატონ ელგუჯას სწორედ ამ თემაზე ვესაუბრეთ.**

**- ბატონო ელგუჯა, გავრცელდა ხმა, თითქოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა შემოგთავაზეს. საფუძვლიანია თუ არა ეს ინფორმაცია?**

- (პაუზა)... როგორ გითხრათ... არ სჯობია, ვინც ეს ინფორმაცია მოგაწოდათ, იმას ჰკითხოთ? საინტერესო სამსახური მაქვს და აქედან წასვლას ჯერ არ ვაპირებ. ისე, მაინტერესებს, საიდან შეიტყვეთ ეს ამბავი?

**- ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. როგორც გვითხრეს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა შემოგთავაზეს, თქვენ კი მოსაფიქრებლად დრო ითხოვეთ. ასეა თუ არა?**

- ვერაფერს გეტყვით...

**- "ვერაფერს" თუ "არაფერს"?**

- არა, არა, დამიჯერეთ, არაფრის თქმა არ შემიძლია...

**- კარგით, ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის საქმიანობაზე რას ფიქრობთ?**

- უპირველეს ყოვლისა, მიმაჩნია, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აუცილებლად საქართველოში უნდა ცხოვრობდეს. რამდენადაც ვიცი,



2

ის შიგადაშიგ ჩამოდის ხოლმე, არადა, ბატონი ახალკაცის აქ ყოფნა სასიცოცხლოდ აუცილებელია, მხოლოდ ასე თუ მოახერხებს დღენიადაგ ქართულ ფეხბურთზე ზრუნვას. ამას გარდა, მას ხელისუფლებასთან, მედიასთან და სპეციალისტებთანაც ხშირი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. განმარტოებით ცხოვრებაც ძნელია და პრობლემებთან ჭიდილიც. საერთოდ, იცით რა მიკვირს ამ ფედერაციის? ჩვენი აკადემია მათგან სულ რაღაც 20 მეტრშია. აქ, შეიძლება, მწვრთნელთა მომზადების ცენტრი გაიხსნას, ჩვენი და მათი გამოცდილება ქართულ სამწვრთნელო სკოლას უთუოდ წაადგება. ფედერაციის ოპონირებას არ ვაპირებ, მაგრამ ბევრი რამ შესაცვლელია და ამაზე ორი აზრიც არ არსებობს. მე არ ვიცი, იქნებ, ჩამოაყალიბეს კიდეც ასე ფართოდ აფიშირებული მწვრთნელთა საბჭო და მეორე ნაკრები? და თუ წამოიწყეს საქმე, რატომ არ აგრძელებენ? ჩემთვის ეს გაუგებარია. მეორე საკითხი მწვრთნელთა მომზადებას უკავშირდება. დამიჯერეთ, ორკვირიანი სემინარებით კვალიფიკაციის ამაღლება აბსურდია, საჭიროა მუდმივმოქმედი კურსები, რომელიც ფიზკულტურის აკადემიასთან ითანამშრომლებს. ნუთუ ამაზე ფიქრი მაინც არ შეიძლება? აბა, რისთვისაა აკადემიაში ფეხბურთის კათედრა? ამ კუთხით, და საერთოდ, ბევრ საკითხში უძრაობა აკშარაა...

# გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge




ჰაინც და კლაუს ტოპმიოლერები

19-წლამდელთა ნაკრები

## ჰაინცის გუნდი ლისაბონშია

ორშაბათს, გამთენიისას თბილისიდან გამგზავრებული საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ლისაბონშია და ხვალინდელი მატჩისთვის ემზადება. ქართველები ლისაბონში მიუნხენის გავლით გაემგზავრნენ, სადაც გუნდს "ფრაიბურგის" ნახევარმცველი **ირაკლი თარგამაძე** და მწვრთნელები, **ჰაინც ტოპმიოლერი** და **პეტარ სეგრტი** შეუერთდნენ. ჰაინც ტოპმიოლერის განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები არიან:

**რონ კვასხვაძე, გიორგი მაკარიძე, ლაშა ცუტკირიძე, გიორგი ხუმარაშვილი, ვახტანგ ქვრივიშვილი, ამირან სანაია, მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თამაზ ჩარგეიშვილი, რევაზ წულაძე, ლევან ყენია, დავით თარგამაძე, ტარიელ სოფრომაძე, გიორგი სალარიძე, ლევან მჭედლიძე, ვახტანგ ფანცხავა, რევაზ ღვინიაშვილი, დავით ჯანელიძე.**

დღეს ჩვენს დელეგაციას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერიც** შეუერთდება. დღესვე ჩვენები ლისაბონის სიახლოვეს, ქალაქ მარფას მუნიციპალური სპორტკომპლექსის სტადიონზე ჩაატარებენ ვარჯიშს, სადაც ხვალ, 1 მარტს ირლანდიის 19-წლამდელთა ნაკრებს საერთაშორისო ტურნირის სასტარტო ტურში დაუპირისპირდებიან. ამ მატჩის პარალელურად კი პორტუგალია ბელგიას უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერის მოლოდინში

## გოგუას ახლა სატურნში სინჯავენ

### გამოჩნდა შუქი გვირაბის ბოლოს?

ვგონებთ, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **გოგიტა გოგუას** საშველი დაადგა. "ტომში" დაწუნებული თუ ფინანსური შეუთანხმებლობის გამო წამოსული გოგუა ამჟამად რამენსკოეს "სატურნში" ვარჯიშობს. ორშაბათს, "სატურნმა" სანკტპეტერბურგის "ზენიტთან" 4 მარტის სათასო მატჩისთვის მზადება დაიწყო. გუნდის სლოვაკმა მწვრთნელმა **ვლადიმირ ვაისმა** დილის ვარჯიში დარბაზში ჩაატარა, მერე კი ფეხბურთელები სუფთა ჰაერზე არბენინა. ამ ჯგუფში ივარჯიშა გოგუამაც, ხოლო სალამოს ჩატარდა ორმხრივი თამაში, რომლის დროსაც ჩვენებურმა ვაისს თავი მოაწონა. თუმცა მისი სატრანსფერო უფლების მფლობელ **ალექსანდრ ჩერვიჩენკოს** "სატურნთან" მოლაპარაკება არ დაუმთავრებია.

დღეს რამენსკოელები, საკუთარ ბაზაზე, მეორედივიზიონელ "ლუხოვიცთან" საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. ამის შემდეგ, ფეხბურთელები გულშემატკივრებს შეხვდებიან. თუკი ამ დღეს გოგიტაც ითამაშებს, წესით, ის გუნდში ჩარიცხული უნდა იყოს. თავად "სატურნში" თამაში ძალიან უნდა. ფაქტობრივად, ეს მოსკოვის გუნდია. ამ შემთხვევაში, პრესისა და ტელევიზიისგან ყურადღება გარანტირებული ექნება. ვნახოთ, მივლენ თუ არა შეთანხმებამდე ჩერვიჩენკო და "სატურნის" თავკაცები.

ისე, გოგუას მენეჯერებსაც მეტი ფხის გამოჩენა მართებთ. როცა რუსეთის საუკეთესო დებიუტანტი შენი კლიენტია და მას სამი თვის განმავლობაში გუნდს ვერ მოუნახავ, სულ მცირე, გასაოცარი ამბავია.

**მერაბ მამულაშვილი**






# ელგუჯა გუგუშვილს ახალკაცობა შესთავაზეს?

*პირველი გვერდიდან*

**- ისე საუბრობთ, ნამდვილად აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას...**

- *(ისევ პაუზა)*... მერწმუნეთ, ეს ჩემი გულისტკივილია. ბავშვთა ფეხბურთში, მაქსიმუმ 10-15 პროცენტია კვალიფიციური მწვრთნელი... ანდაც, როგორ შეიძლება, არ მადარდებდეს, რომ ფეხბურთს ჩამოაშორეს ჩივაძე, ხურცილავა?.. ცუდია ისიც, რომ არცერთ ჩვენს უცხოელ მწვრთნელს არ სურს აქ ცხოვრება. მხოლოდ ინტერნეტით ნაკრების საქმე ვერ გაკეთდება. ცოცხალი ურთიერთობა არ სურთ, თუ რას ნიშნავს მათი საქციელი? მე ვერ ვხედავ განსაკუთრებულ პროგრესს. ამბობენ, ტოპმიოლერმა ახალი სახეები აღმოაჩინაო...

**- ...და რა, არ აღმოაჩინა? ღვინიანიძე, ელიავა, სირაძე, ფოფხაძე... ცოტაა?**

- ამ კუთხით, ჩემთვის ბოსკამპისა და გუცაევისეული ძიება უფრო საინტერესო იყო, თორემ ლეგიონერები რომ უნდა გაესინჯა, ეს რა გასაკვირია. რა გააკეთეს უცხოელებმა ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის? ფედერაციამ საფეხბურთო მანქანა ვერ აამუშავა. დღევანდელი მიდგომით, ეს შეუძლებელიცაა. ჩვენი ფეხბურთით ფართო საზოგადოება ვერ დააინტერესეს. ესეც ცუდის ნიშანია. საერთოდ, აქსიომაა, რომ ცუდ თესლზე კარგი ნაყოფი ვერ აღმოცენდება. ტოპმიოლერში მილიონები რომ არ გადაეხადათ, რამდენი მოედანი და ბაზა გაკეთდებოდა საქართველოში? ან რამდენი სკოლა აშენდებოდა?

**- ტოპმიოლერი რომ არ ჩამოსულიყო, სახელმწიფო ფეხბურთისთვის ამხელა თანხას გაიღებდა? დოტაციურ საფეხბურთო სკოლებს დაფინანსება შეუწყვიტეს და გჯერათ, რომ ეს თანხები ინფრასტრუქტურას მოხმარდებოდა? ძნელი დასაჯერებელია...**

- შედგა სახელმწიფო პროგრამა, თანხა გამოიყო და ის ფეხბურთის ფედერაციას უნდა აეთვისებინა. მათ ეს კარგად ვერ მოახერხეს. მენეჯმენტი აქვთ გამოსასწორებელი და კიდევ ბევრი სხვა რამ. ნაძალადევი უმდიდრესი ტრადიციის უბანია და ერთი სტანდარტული მოედანი არ დარჩა. ნუთუ, ეს ფედერაციას არ უნდა აღელვებდეს? სადაა კოორდინაცია, ქართულ ფეხბურთს დღეს ასე რომ სჭირდება? მე არ ვიცი...

გუშინვე ინფორმაციის გადასამოწმებლად პარლამენტარ **ვალერი გიორგობიანს** დავუკავშირდით:

**- მართალია, თითქოს ელგუჯა გუგუშვილის კანდიდატურა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე განიხილება?**

- არ დაიჯეროთ. ბატონი გუჯა ძალიან კარგი პიროვნებაა, ფიზკულტურის აკადემიასაც კარგად ხელმძღვანელობს, მაგრამ პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება ბევრი კანდიდატურის წარმოდგენა, მაგრამ არა გუგუშვილის. მას არანაირი შანსი არ გააჩნია.

**- არადა, საკმაოდ დამაჯერებელი ხმები ისმის, თითქოს მას ხელისუფლებიდან შესთავაზეს, რომ კანდიდატურა მოესინჯა.**

- არ დაიჯეროთ. ასეთი წინადადება ჩვენ ნამდვილად არ გაგვიკეთებია.

**- კარგით, მაშინ კითხვას სხვაგვარად დავსვამ. ახალკაცს ხელისუფლებაში მყარი პოზიცია გააჩნია?**

- ხელისუფლებაში?

**- დიახ...**

- შედეგებიდან გამომდინარე, არა. მყარი პოზიცია ნამდვილად არ გააჩნია. თუ დღევანდელი კურსი გააგრძელა, მით უფრო შეერყევა პოზიციები.

გაუგებარი რა არის იცით? ახალკაცი საქართველოში ისევე იშვიათად ჩნდება, როგორც კლაუს ტოპმიოლერი... სხვათა შორის, სანამ დამირეკავდით მამუკა კვარაცხელიას პრესკონფერენციაზე სტატიას ვეცნობოდი. ვფიქრობ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სხვაგვარი პრეზიდენტი სჭირდება. ისეთი, ყველას რომ უყვარს, ავტორიტეტი რომ გააჩნია და ფეხბურთელი რომ იყო.

**- ასეთად ვინ გეგულებათ?**

- რა ვიცი, არიან.

**- თქვენი არ ვიცი და, ამ ბოლო დროს ნემსაძისა და ყაველაშვილის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა.**

- ორივე ძალიან კარგი ადამიანია. ნესიერებაც აქვთ, ფეხბურთის ცოდნაც, მაგრამ ისეთი კანდიდატურაა საჭირო, რომელსაც ვეტერანებიც მხარს დაუჭერენ.

**- თქვენი მორიგი მინიშნება ვოვა გუცაევისკენ იხრება.**

- არაა გამორიცხული, ვოვა შეიძლება რეალური კანდიდატი იყოს. თუმცა, გეტყვით პირდაპირ და ეს პრეზიდენტობის ყველა მსურველმა გაიგოს. ნაციონალური მოძრაობა და დღევანდელი ხელისუფლება არცერთ კანდიდატს მხარს არ დაუჭერს და ავტომატურად ვერ გავხდებით მისი პოსტზე მუშაობის გარანტები. ტყუილად ფიქრობენ, რომ ჩვენი მხარდაჭერით აირჩევენ და მერე თავის ნებაზე "ვაგულავებთ". ასეთი რამ არ მოხდება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

## ჭელიძე ზარიაში ვარჯიშობს

მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველ ფორვარდ **გიორგი ჭელიძეს** რკინიგზელთა კლუბიდან დროებით აბარგება და კარიერის უკრაინაში გაგრძელება რომ ჰქონდა გადაწყვეტილი, ცოტა ხნის წინათ ვწერდით. მოსკოვში დაკავშირებისას, მაშინ ჭელიძემ გვითხრა, რომ **იური სიომინთან** საუბრის შედეგად გადაწყდა ქართველი თავდამსხმელის 6 თვით განათხოვრება. მაშინ ფორვარდმა მომავალი სავარაუდო კლუბებიც დაგვისახელა – ლუგანსკის "ზარია", კიევის "არსენალი" და მარიუპოლის "ილიჩევეცი". ის დონეცკში უნდა ჩაფრენილიყო, ტრანსფერზე მომუშავე აგენტს უნდა შეხვედროდა და ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ გაერკვია. გიორგი ჭელიძე უკვე უკრაინაშია და სამიოდე დღეა, რაც ლუგანსკის "ზარიაში" ვარჯიშობს. ეს ცნობა თბილისში ჭელიძეების ოჯახშიც დაგვიდასტურეს.

ვარჯიშის პარარელურად მისი საიჯარო კონტრაქტის დეტალებზე მიდის მოლაპარაკებები ლუგანსკურ კლუბთან. წესით, ამ საქმეს 2-3 დღეში წერტილი უნდა დაესვას. "ზარია" 12 ქულით უკრაინის 16-გუნდიან უმაღლეს ლიგაში მე-15 ადგილზეა და წინა საფეხურზე მყოფ "ხარკოვს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. სხვათა შორის, 3 მარტს უკრაინაში სეზონი განახლდება და ლუგანსკელებს სასტარტო მატჩი სტუმრად დონეცკის "შახტიორთან" უწევთ.

ალსანიშნავია ერთი მომენტიც, "ზარიას" მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ კოსევიჩია**. ის მანამდე **ლადო ბურდულსა** და **ვასილ გიგიაძეს** წვრთნიდა "კრივბასში". კოსევიჩმა კარგად იცის ქართველი ფეხბურთელის ფასი, მაგრამ მომთხოვნიცაა. მის გუნდში ზამთრის პაუზისას **ლევან მელქაძე, გია იმედაძე** და **მიხეილ ბობოხიძე** ისინჯებოდნენ, მაგრამ მწვრთნელის მოთხოვნები ვერც ერთმა დააკმაყოფილა. ამჯერად "ზარიაში" ქართული წარმოშობის ფეხბურთელი მაინც თამაშობს, თუმცა **ნუგზარ ცაავას** მიერ გაზრდილი **ირაკლი ციკოლია** უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების მცველია.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები



### ადამია: გოლი პლუს პასი

აზერბაიჯანში კიდევ ორი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა. საპასუხო მატჩების წინ მხოლოდ ერთ წყვილში შენარჩუნდა ინტრიგა, დანარჩენებში კი თითქმის ყველაფერი გარკვეულია. "ხაზარისა" და "ინტერის" გამარჯვებებზე უკვე ვწერდით, გუშინ მათ "ნეფთჩიმ" მიბაძა, უფრო ზუსტად, აჯობა კიდეც. **გიორგი ადამიას** კლუბი შინ **ირაკლი ვაშაკიძის** "თურანს" იღებდა და 7:2 გაანადგურა. ქართველი ლეგიონერის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. მან ჯერ მე-14 წუთზე **ვადიმ ბორეცს** გაატანინა, შემდეგ კი ბორეცის თავური პასით 31-ე წუთზე თავად გაიტანა. ადამიას გოლში აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა ვაშაკიძე დაადანაშაულეს, რომელიც ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობას ქმნიდა. **ალექსანდრე ინწკირველისა** და **გოჩა ტრაპაიძის** "ქარვანმა" სტუმრად 2:2 ითამაშა "არაზთან".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



### სალუქვაძემ პორტუგალიელებს სძლია

პორტუგალიურ შეკრებაზე მყოფმა "რუბინმა" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე ადგილობრივი "ეშტორილი" იყო. მთელი შეხვედრის განმავლობაში ყაზანელები დომინირებდნენ და დამაჯერებლად გაიმარჯვეს, 3:0. ქართველთაგან ამ თამაშში მონაწილეობა მხოლოდ **ლაშა სალუქვაძემ** მიიღო, **ნუკრი რევიშვილმა** კი მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, კარში კვლავაც ლატვიელი **კოლინკო** იდგა. გოლები **ჟაილსონმა, ნობოამ** და **იარკინმა** გაიტანეს.

უკვე ცნობილია, რომ "რუბინის" ძირითადი მეკარე ახალ სეზონშიც ლატვიელი **ალექსანდრ კოლინკო** იქნება, თუმცა ისიც ნათელია, რომ წლეულს რევიშვილს სასტარტოში დამკვიდრების გაცილებით დიდი შანსი ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა


ამერი-დინამოს მატჩის მსაჯობამ უკმაყოფილება გამოიწვია

ეროვნული ჩემპიონატი. მსაჯები

# დინამო ფიქრობს: ითამაშოს თუ არა თასზე?

პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გამგეობის მორიგი სხდომა გუშინწინ გაიმართა. ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ გუშინ შევიტყვეთ და ვითარებაში გარკვევასაც შევეცადეთ. რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პროფლიგის გამგეობამ (წევრები - დიმიტრი რამიშვილი, ზურაბ ფოცხვერია, ამირან ლიბრაძე, მალხაზ კაკაურიძე, ლექსო თოფურია) არაერთ საინტერესო საკითხზე იმსჯელა. თუმცა მსაჯობასა და მსაჯთა კომიტეტთან მიმართებაში განხილული საკითხები იყო ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი. ამბობენ, საუბარი მსაჯთა ხელმძღვანელის ამირან კაჭახიძის თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლებასაც კი შეეხოო. ვითარებაში გარკვევის მიზნით, პროფლიგის გამგეობის წევრებს გუშინ კომენტარისთვის დავუკავშირდით.

## დიმიტრი რამიშვილი, პროფლიგის პრეზიდენტი:

- დიახ, გამგეობაზე განვიხილეთ მსაჯობის საკითხი და კლუბებმა უკმაყოფილება გამოხატეს. თუმცა იმის თქმა, რომ კაჭახიძის გათავისუფლებაზეა საუბარი, ვერ დაგიდასტურებთ.

უკმაყოფილება გამოთქმული იყო იმის გამოც, რომ ორმატჩიან სათასო რაუნდში ერთი და იგივე არბიტრთა ბრიგადა ინიშნება. მოთხოვნა იყო, რომ თითოეულ მატჩზე სხვადასხვა მსაჯები დაგვენიშნა. ითქვა მსაჯობის კვალიფიკაციაზე, რომ ამ სფეროში საკმაო მინუსები არსებობს.

ჩვენ ველოდებოდით ნოდარ ახალკაცის ჩამოსვლას. იგი ამჟამად თბილისშია და მასთან და სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად ამ საკითხს განვიხილავთ. არ არის გამორიცხული, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომზეც დაისვას ეს თემა დღის წესრიგში.

როდესაც პრობლემებია, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა მსაჯთა კომიტეტს ეხება. ამ მხრივ პრეტენზია "დინამოს" ჰქონდა. დანარჩენზე კი რა მოგახსენოთ? კაჭახიძის მოხსნა-არმოხსნა ჩვენი კომპეტენცია არც არის.

## მალხაზ კაკაურიძე (ვიტ ჯორჯია):

- პროფლიგის გამგეობაზე რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევეხეთ. კერძოდ, პირველ ლიგაში მოასპარეზე 4 გუნდს მიმდინარე ჩემპიონატის საწევრო დავალიანება ჰქონდა. იყო მოსაზრება, რომ პირველ ლიგაში სასტარტო ტურის მატჩები გადაგვედო და საწევროს გადახდის ვადა გადაგვევადებინა. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ამ 4 კლუბს საწევროს შეტანა 2 მარტამდე გავუხანგრძლივეთ.

დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა, რომელიც მსაჯებსა და მსაჯობას ეხება. თასის ერთ ეტაპს ერთი და იმავე მსაჯთა ბრიგადა ემსახურება. თბილისის "დინამომ" მოითხოვა ამ წესის დაუყოვნებლივ შეცვლა, "ამერი" კი ამის წინააღმდეგი იყო. "დინამო" მიიჩნევს, რომ "ამერთან" თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში მსაჯობა არაობიექტური იყო და არ უნდა თასის საპასუხო შეხვედრას იგივე მსაჯები მოემსახურონ. "დინამომ" ისიც კი თქვა ეს წესი მალევე თუ არ შეიცვლება "ამერთან" თასის საპასუხო მატჩზე სათამაშოდ არ გავალთო. პრინციპში, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ეს წესი მართლაც შესაცვლელია. თუმცა, ალბათ მომავალი გათამაშებიდან შეიცვლება.

პრეტენზიები გამოითქვა მსაჯთა და დამკვირებელთა კომიტეტის თავკაც ამირან კაჭახიძის მისამართითაც. ბევრმა აღნიშნა, რომ ის კარგი პიროვნებაა, მაგრამ არაპროფესიონალია. თუკი ყველა თანახმა იქნება, ალბათ ფედერაციის ალმასკომი მისი შეცვლის საკითხსაც განიხილავს, მაგრამ ეს დღეს და ხვალ არ მოხდება, რადგან საფეხბურთო სეზონი განახლდა და ამ ეტაპზე ცვლილებებმა შესაძლოა არასასურველი შედეგებიც მოგვცეს.

## ამირან ლიბრაძე (დინამო):

- თბილისის "დინამომ" დააყენა საკითხი, რომ სათასო მატჩების ერთ ეტაპს ერთი და იმავე მსაჯთა ბრიგადა არ მოემსახუროს. ზოგი ამბობს, რომ ეს დებულებაში წერია, მაგრამ ასე არაა. როგორც ირკვევა, ეს წესი ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის 2006 წლის 7 მაისს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ამოქმედდა. ეს არასწორია და თითქმის ყველასათვის მიუღებელია. პროფლიგის გამგეობის სხდომაზე ყველამ მხარი დაგვიჭირა ამ წესის გაუქმებაზე, მათ შორის "ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამაც. თუმცა ამავე დროს ის კატეგორიულად წინააღდეგია, რომ ეს წესი ახლავე გაუქმდეს. ვინც "ამერი"-"დინამოს" სათასო მატჩი ნახა, ყველა ერთ აზრზეა, მსაჯი აშკარად მიკერძოებული იყო. ამან მატჩის საბოლოო შედეგზეც იქონია გავლენა და ბუნებრივია "დინამოც" დაზარალდა. ზურაბ ფოცხვერიას დიდ პატივს ვცემ, ის ფეხბურთით ცხოვრობს, ამ საქმეში ფულს დებს, მაგრამ ჩვენ პრეტენზია გვაქვს იმ მატჩის მსაჯობასა და მსაჯებთან და არ გვინდა ისევ ის არბიტრები მოემსახურონ "ამერთან" საპასუხო შეხვედრას.

ჩვენ ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტს მივმართეთ, გააუქმოს ზემოთნახსენები გადაწყვეტილება. თუ არა და, დავაყენებთ მსაჯთა და დამკვირებელთა კომიტეტის ხელმძღვანელის ამირან კაჭახიძის გათავისუფლების საკითხს.

ისიც ითქვა, რომ ეს ბრძანება, თუ გადაწყვეტილება თუ არ გაუქმდება და წესი არ შეიცვლება, მაშინ "ამერთან" თასის საპასუხო მატჩზე სათამაშოდ არ გავალთ. ამაზე მართლაც ვფიქრობთ და საბოლოო გადაწყვეტილებას კლუბის სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსულტაციების შედეგად მივიღებთ. კარგად ვიცით სათასო მატჩზე გაუსვლელობის შემთხვევაში რა სანქციებიც მოგველის – 3000 ლარის გადახდა და გათამაშებიდან მოხსნა. თასის მომდევნო გათამაშებაში მონაწილეობის უფლებისთვის კიდევ დამატებით 1000 ლარის გადახდა. თუმცა ჩვენ მზად ვართ ამაზეც წავიდეთ, თუკი ვითარება არ შეიცვლება. "ამერთან" თასის საპასუხო მატჩში "დინამოს" მონაწილეობას საქართველოს 2% გაიგებს. თუკი ამ მატჩში სათამაშოდ არ გავალთ ამას მთელი საქართველო და მსოფლიო საფეხბურთო სამყარო გაიგებს. ჩვენ ამ მსხვერპლზეც კი წავალთ, თუკი ვითარება რადიკალურად არ შეიცვლება...

ჯერ კიდევ გვაქვს იმედი, რომ სიტუაცია შეიცვლება. თუკი ამისი იმედი აღარ გვექნება, მაშინ რადიკალურ ზომებზეც არ ვიტყვით უარს.

## ზურაბ ფოცხვერია (ამერი)

- გამგეობის სხდომაზე დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ სათასო შეხვედრებში სხვადასხვა მსაჯების დანიშვნას ვემხრობი. მაგრამ ამასთანავე მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს დებულებაში სეზონის დაწყებამდე დაფიქსირებული და შემდეგ შევიდეს ძალაში კონკრეტული თარიღიდან. ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია ფაცი-ფუცით მიღებული გადაწყვეტილება.

თუკი ვინმეს მსაჯების მკაცრად გაკონტროლება სურს, საამისოდ სხვა ხერხებია მოსაძებნი. ილუზიაა, რომ სხვადასხვა ბრიგადების დანიშვნით, მსაჯების შეცდომები გამოირიცხება.

**- "დინამოს" სპორტული დირექტორი ამირან ლიბრაძე ამბობს, რომ "ამერი" -"დინამოს" პირველი სათასო მატჩის არბიტრის განმეორებით შეხვედრაზე დანიშვნის შემთხვევაში, გუნდი შესაძლოა სათამაშოდ არ გავიდეს.**

- მოდით, გაზეთში უფრო დეტალურად გავეცნობი ბატონი ამირანის კომენტარს და ამ თემაზე მაშინ ვისაუბროთ.

**- საერთოდ, თქვენი გუნდების პირველი შეხვედრის შემდეგ მსაჯების გადაწყვეტილებებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თუმცა, ჩვენთვის უცნობია ამასთან დაკავშირებით "ამერის" პოზიცია...**

- არ ვთვლი, რომ სამი სადავო ეპიზოდიდან რომელიმეში პენალტი დასანიშნი იყო და არც მსაჯობას ვუწოდებ მიკერძოებულს. საერთოდ, ამ თემის გარშემო ბევრს არ ვსაუბრობთ, რადგან არ გვინდა კამათი დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

დავუშვათ და, რომელიმე პენალტი მართლა დასანიშნი იყო. ეს მაინცა და მაინც მსაჯის ტენდენციურობაზე მიანიშნებს? თქვენ გამორიცხავთ, რომ ის შეცდა ან გინახიათ რომელიმე მატჩი, მცირედი შეცდომა რომ არ დაეშვა მსაჯს ან პენალტის დანიშვნა ყოველთვის ასპროცენტიან გოლს ნიშნავს?

საყურადღებო ფაქტი მსურს დავაფიქსირო. პირველი წრის 13 მატჩში ჩვენ პენალტი არ დაგვირტყამს. ამ დროს სამჯერ ჩვენს კარში დანიშნეს. მხოლოდ სამი გუნდია - "კახეთი", "ამერი" და "დილა", რომელთა სასარგებლოდაც 11-მეტრიანი არ დანიშნულა. მე მხოლოდ ფაქტს ვაფიქსირებ.

## ამის შემდეგ ამირან კაჭახიძეს დავუკავშირდით:

- ჩვენ დღეს მივიღეთ წერილი იმ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, რომელიც თასის გათამაშების ერთ რაუნდში ერთი და იმავე მსაჯთა ბრიგადის დანიშვნას ითვალისწინებს. ხვალ, ჩვენი კომიტეტის მსაჯთა დანიშვნის კომისიის სხდომაზე განვიხილავთ ამ საკითხს და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. დანარჩენზე კი სჯობს ხვალ ვისაუბროთ.

**დავით ცაბაძე,**
**მერაბ მამულაშვილი**

პრეზენტაცია

# ვეტერანებიც ჩვენს გუნდში არიან

*"2005 წლიდან მოყოლებული, ფეხბურთის ფედერაცია ზრუნავს ვეტერან ფეხბურთელებზე. მათზე, ვისაც საკმაო წვლილი მიუძღვის ქართული ფეხბურთის განვითარებასა და იმიჯზე. სწორედ ამ მიზნით, 6 თვის წინათ შეიქმნა ვეტერან ფეხბურთელთა ფონდი, რომელსაც ვაჟა ჟვანია ხელმძღვანელობს. ეს ფონდი ვეტერან ფეხბურთელთა რამდენიმე ათეულ ოჯახს მატერიალურად ეხმარება"*, - სწორედ ამ სიტყვებით გახსნა გუშინ კლუბ "ქალაქურში" ვეტერან ფეხბურთელთა ფონდის პრეზენტაცია ფედერაციის წარმომადგენელმა **თეა სუხიშვილმა**. პრეზენტაციასთან ერთად ვეტერან ფეხბურთელებთან შეხვედრაც მოეწყო. დამსწრეთ მიმართეს **ნოდარ ახალკაცმა** და **ვაჟა ჟვანიამ**, ასევე **სერგო კოტრიკაძემ** და **ილია დათუნაშვილმა, გივი ჩოხელის** მეუღლემ, ქალბატონმა **ლალი ჩოხელმა**. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თბილი და ლამაზი საღამო გამოვიდა, რომელიც **თეა დარჩიას** მოცეკვავე გოგონათა სექსტეტმა და თეატრალური ინსტიტუტის მომღერალთა გუნდმა დაამშვენეს. სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ ეკრანებზე კი ძველი "დინამოს" სხვადასხვა მატჩების ამსახველი კადრები აჩვენეს...

და რაც მთავარია, ერთი ტენდენცია აშკარად თვალსაჩინო გახლდათ - ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ამ გუნდში ვეტერანი ფეხბურთელებიც შედიან. როგორც ირკვევა, ფონდი ვეტერან ფეხბურთელთა რამდენიმე ოჯახს ეხმარება, ესენია იამანიძის, მეტრეველის, მესხის (უფროსისა და უმცროსის), ზაზროევის, ჭკუასელის, კალოევის... გურამ ცხოვრებოვის მეუღლეს კი ამ ე.წ. პენსიას ცხინვალში უგზავნიან. სამკურნალოდ გამოეყო თანხა ინსულტით დაავადებულ **მიხეილ პირაევს** და ფეხბურთით დაინვალიდებულ **დავით გოგიასა** და **ფირუზ კანთელაძეს.** პენსია დაენიშნა **შალვა კაკაბაძეს.**

*"ფედერაცია ეხმარება ვეტერან ფეხბურთელებს. მათ, ვისაც თავიანთი ცხოვრების დიდი ნაწილი ქართულ ფეხბურთს უძღვნეს. უკვე 6 თვეა, რაც ფონდი ფუნქციონირებს, მაგრამ ეს მხოლოდ დღეს გაჟღერდა. დახმარება კი მრავალპროფილიანი იყო, არა მარტო ფინანსური. ჩვენი ვალია, ვეტერან ფეხბურთელებს ღვაწლი დავუფასოთ და ყველამ დაინახოს, რომ ისინი დავიწყებულები არ არიან"*, – გვითხრა ნოდარ ახალკაცმა.

*"ამ თბილი საღამოსთვის და საერთოდ, ჩვენი თაობის დაფასებისთვის ფედერაციის დიდი მადლობელი ვართ. ერთგვარად მივიწყებულიც კი ვიყავით. ნოდარ ახალკაცის მადლიერნი ვართ. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ამას საქმითაც დავამტკიცებთ"*, - აღნიშნეს ილია დათუნაშვილმა და სერგო კოტრიკაძემ.

**დავით ცაბაძე**


ვეტერანები ფონდის პრეზენტაციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

პირველი ლიგა. მეორე წრე. XVIII ტური

## ზუგდიდმა გამარჯვებით განაგრძო


აკაკი დევაძე

პირველი ლიგა სენსაციების გარეშე განახლდა. ლიდერთა ჯგუფში მყოფმა ყველა გუნდმა გაიმარჯვა და შესაბამისად, უმაღლესისთვის მებრძოლთა რიგებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. სამი ქულის მოპოვების შანსი მეორეადგილოსან "მესხეთს" არ მისცემია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დიდთოვლობამ ჭიათურაში თამაში ჩაშალა. მატჩი ამავე მიზეზით ტყიბულშიც გადაიდო.

**ვიტ ჯორჯია 2–მგლები 0:1**

0:1 თოდუა (23)

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ბეჭვაია, ადამაძე, კაიშაური, აფციაური, კლიმიაშვილი, ინჯგია, იმერლიშვილი (67. კუსრაშვილი), ლიპარტია (72. პირველი), ბერიაშვილი, კიკნაძე (81. ჯიქიძე)

მგლები: დევაძე, ქირია, ჟვანია, ხუხია (70. ჯოჯუა), ნარსია, ვართაგავა, კუტალია, გაბედავა, ლომია, თოდუა, ლუკავა

ახალგაზრდა ვეტერინარებმა ზუგდიდელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მაინც უქულოდ დარჩნენ. სტუმრებმა მატჩის დებიუტი მაღალ დონეზე ჩაატარეს და რუსთავის "ოლიმპის" ყოფილმა თავდამსხმელმა **გია თოდუამ** ანგარიში გახსნა. მასპინძელთა აქტიურობის მიუხედავად, "მგლებმა" მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და მდევრებს ჩამორჩენის შემცირების საშუალება არ მისცა. დამაჯერებლად ითამაშა ზუგდიდელთა გამოცდილმა კარის დარაჯმა **აკაკი დევაძემ**. ერთი შეხედვით, ლიდერები კვლავ ძველებურ ფორმაში არიან და თუ ასე გააგრძელეს, ვადამდე გაინაღდებენ უმაღლესი ლიგის საგზურს.

**ოლიმპი–ამერი 2 1:2**

0:1 სევასტოპულო (6), 0:2 ვაჩეიშვილი (86), 1:2 ხოსრუაშვილი (87)

ოლიმპი: ალავიძე, ჭაფოძე, მაჭავარიანი, ბერუაშვილი, სულაშვილი, ხუბუა (77. სამსონია), ნეფარიძე, როსტომაშვილი, ჩხარტიშვილი (63. ბეგლარიშვილი), ხოსრუაშვილი, მიმინოშვილი (57. ზედგენიძე)

ამერი 2: ნაჭყეპია, ნაჭყებია, ბერიანიძე, ფირანიშვილი, მჭედლიშვილი (86. მეტონიძე), სილაგავა, ვაჩეიშვილი, შენგელია, ნაბრია, სევასტოპულო (90. გადელია), მშვილდაძე (79. კბილცეცხლაშვილი)

ორივე გუნდის რიგებში უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის გამოცდილების მქონე რამდენიმე ფეხბურთელმა ითამაშა, რამაც ამ მატჩს დამატებითი ელფერი შესძინა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. განსაკუთრებით საინტერესო მატჩის დასკვნითი ნაწილი გამოდგა, როცა მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს. როგორც ხედავთ, თავი გამოიჩინა **დავით სევასტოპულომ**, რომელიც არასახარბიელო ფორმის გამო, "ამერის" მთავარი გუნდიდან დუბლებში გადაიყვანეს. ოფიციალური ამერული დებიუტი გოლით აღნიშნა **კახა ვაჩეიშვილმა**, რომელმაც პირველი წრე გორის "დილას" შემადგენლობაში საკმაოდ წარმატებულად ჩაატარა.

**დინამო 2–ნორჩი დინამოელი 7:1**

1:0 სირბილაძე (12), 1:1 დემეტრაძე (15), 2:1 გ. კაშია (33), 3:1 ბოლქვაძე (45), 4:1 სირბილაძე (60), 5:1 ჩირიკაშვილი (65), 6:1 ფირცხალავა (70), 7:1 ჩირიკაშვილი (72)

დინამო 2: გრიშიკაშვილი, თომაშვილი (46. კაკუბავა), აკობია, გ. კაშია, გუგავა, ფირცხალავა (74. ჯიშკარიანი), მამრაში (65. ტეტუნაშვილი), ბოლქვაძე, ჩირიკაშვილი, ჯანაშია, სირბილაძე

ნორჩი დინამოელი: კობახიძე, დონაძე, ხორგუაშვილი, ლობჟანიძე (63. ქემოკლიძე), ჩალაძე, მაყაშვილი, გოგოხია, კუტივაძე, დემეტრაძე, კემუხტაშვილი, ტოლონჯაძე

ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ "დინამო 2"-ს გამარჯვება ოდნავადაც არ გასჭირვებია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შეხვედრის დებიუტში მეტ-ნაკლებად თანაბარი ორთაბრძოლა მიმდინარეობდა. "ნორჩმა დინამოელმა" მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია, შესვენების შემდეგ კი **ნოდარ აკობიას** გუნდი შეუჩერებელი გახდა.

როგორც ხედავთ, დუბლებში "დინამოს" მთავარი გუნდის არაერთმა წევრმა ითამაშა. ბუნებრივია, მასპინძელთა დამაჯერებელ გამარჯვებას ამანაც შეუწყო ხელი. აღსანიშნავია "დინამოს" ახალწვეულის, **ირაკლი სირბილაძის** დამაჯერებელი თამაში და დუბლი. სავარაუდოა, რომ **დუშან უჰრინი** უახლოეს მატჩებში მას უმაღლეს ლიგაში თავის გამოჩენის შანსს მისცემს.

**გურია–სპარტაკი 1:0**

1:0 კოტრიკაძე (69)

გურია: მემარნიშვილი, თელია, ქურიძე, იმნაიშვილი, სულაქველიძე, მგელაძე (76. გოგიბერიძე), მაღლაკელიძე, სიამაშვილი, კვერენჩხილაძე, ენდელაძე (64. ქობალია), კოტრიკაძე

სპარტაკი: ჩალაძე, ბაბაშვილი, კუკულაძე, შუბითიძე, გიორგაძე (58. ჩიკვაიძე), ოგბაიძე, ურუშაძე, გლოველი (46. ჯელაძე), ჯაში (73. სახოკია), მჭედლიშვილი, ჯიშკარიანი

აუტსაიდერთა დაპირისპირება საკმაოდ დაძაბული გამოდგა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, საგოლე შანსები ორივე გუნდს ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში, გურულები თბილისელებს ქულებით გაუთანაბრდებოდნენ და ლანჩხუთელი გულშემატკივრების გასახარად, ასეც მოხდა. მეორე ტაიმის შუაწელში "გურიას" ახალწვეულმა **კოტრიკაძემ** "სპარტაკის" კარში უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა და თავის გუნდს პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნების რეალური შანსი გაუჩინა. რაც შეეხება "სპარტაკს", როგორც გახსოვთ, თბილისურმა კლუბმა სეზონი შედეგიანად დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ სისტემატური წარუმატებლობა დასჩემდა. "გურიასაც" და "სპარტაკსაც" დასახული ამოცანის შესასრულებლად უფრო სტაბილური ასპარეზობა მართებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**სხვა მატჩები:**

| | |
|---|---|
| გაგრა–მერცხალი | 5:0 |
| სამტრედია–ზესტაფონი 2 | 1:0 |
| მეშახტე–ჩიხურა 2 | 3:1 |
| მადაროელი–მესხეთი | გადაიდო |
| მეშახტე–რაჭა | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 18 | 15 | 2 | 1 | 33-8 | 47 |
| 2. მესხეთი | 17 | 11 | 4 | 2 | 31-10 | 37 |
| 3. მეშაქრე | 18 | 9 | 7 | 2 | 26-16 | 34 |
| 4. გაგრა | 18 | 9 | 2 | 7 | 28-24 | 29 |
| 5. დინამო 2 | 18 | 8 | 4 | 6 | 41-19 | 28 |
| 6. ვიტ ჯორჯია 2 | 18 | 8 | 4 | 6 | 30-14 | 28 |
| 7. ოლიმპი | 18 | 8 | 4 | 6 | 31-20 | 28 |
| 8. ამერი 2 | 18 | 7 | 6 | 5 | 29-24 | 27 |
| 9. მადაროელი | 17 | 6 | 7 | 4 | 22-17 | 25 |
| 10. მეშახტე | 17 | 7 | 3 | 7 | 26-24 | 24 |
| 11. ნ. დინამ. | 18 | 7 | 2 | 9 | 23-29 | 23 |
| 12. ზესტაფ. 2 | 18 | 5 | 6 | 7 | 15-16 | 21 |
| 13. ჩიხურა 2 | 18 | 6 | 3 | 9 | 20-27 | 21 |
| 14. სამტრედია | 18 | 5 | 5 | 8 | 19-31 | 20 |
| 15. სპარტაკი | 18 | 4 | 3 | 11 | 9-26 | 15 |
| 16. გურია | 18 | 4 | 3 | 11 | 20-45 | 15 |
| 17. რაჭა | 17 | 2 | 6 | 9 | 13-31 | 12 |
| 18. მერცხალი | 18 | 2 | 3 | 13 | 14-49 | 9 |

ლეგიონერები

## კანკავა ძირითადშია, ჩიხრაძე იბრძვის

თუკი გუნდის ახალწვეული **ჯაბა კანკავა** დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ძირითადის ფეხბურთელად განიხილება, **ალექსანდრე ჩიხრაძე** ვლადივოსტოკის "ლუჩის" სასტარტოში დასამკვიდრებლად იბრძვის.

საკონტროლო მატჩში ერთმანეთს მათი გუნდები დაუპირისპირდნენ.

"დნეპრისა" და "ლუჩის" შეხვედრაში ვლადივოსტოკელთა უპირატესობა აშკარა იყო, შეხვედრა მათი დამაჯერებელი გამარჯვებით, 3:0 დასრულდა. კანკავამ მოედანზე 90 წუთი გაატარა, ჩიხრაძე კი მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ჩეხი კონკურენტის, **მარეკ ჩეხის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში.

**ოსპეშინსკისა** და **ივანოვის** გოლებით რუსებმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს, მატჩის მეორე ნახევარში კი უკრაინელთა კარი **არხიპოვმა** დალაშქრა. რა გასაკვირია და, ანგარიშიდან გამომდინარე, უკრაინულ პრესას "დნეპრიდან" არავინ გამოურჩევია. რა თქმა უნდა, კანკავასა და მისი თანაგუნდელების თამაში არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

რაც შეეხება ჩიხრაძეს, მას ბევრი საქმე არ ჰქონია, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდში დამაჯერებლად გარჯილა. სადღეისოდ, მას და ჩეხს ძირითადში დამკვიდრების დაახლოებით თანაბარი შანსები აქვთ, ყველაფერს მომდევნო სპარინგ-მატჩები გადაწყვეტს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**P.S. გუშინ "დნეპრმა" "მინსკს" 1:0 სძლია. ამ შეხვედრაში რევაზ ბარაბაძე გამოირჩეოდა, რომელიც შეცვლაზე შევიდა და საკმაოდ იაქტიურა, ერთ ეპიზოდში კი ბურთი მეტოქის კარის ხარიხას გაარტყა.**

## ამისულაშვილი კიევის თანხმობას ელის

ქართველი მცველი, **ალექსანდრე ამისულაშვილის** ნალჩიკის "სპარტაკში" დარჩენის საკითხი კლუბის ხელმძღვანელობამ დადებითად გადაწყვიტა. ახლა მთავარია კიევის "დინამო" რას იტყვის.

ამ ეტაპზე ნალჩიკის "სპარტაკი" სეზონისთვის მზადებას სოჭში განაგრძობს. "სპარტაკმა" რუსეთის დაბალი დივიზიონის გუნდთან საკონტროლო მატჩი ჩაატარა და 1:0 მოიგო. ერთადერთი გოლი **იაკიჩმა** ქართველი ნახევარმცველი **ლევან გვაზავას** გადაცემით გაიტანა.

შეხვედრა ალეკო ამისულაშვილმაც ჩაატარა. მას გუშინ დავუკავშირდით და სიახლეები გამოვკითხეთ.

"ჩემი საკითხი ნალჩიკის "სპარტაკის" მწვრთნელმა და ხელმძღვანელობამ დადებითად გადაწყვიტეს. საკონტროლო შეხვედრები ჩავატარეთ თურქეთშიც და სოჭშიც. ამის შემდეგ დავილაპარაკეთ და მითხრეს, რომ ჩემი დატოვება სურთ. ახლა მთავარია, კიევის "დინამო" რა თანხას მოითხოვს. თავიდან "სპარტაკს" ერთწლიანი არენდა სურდა, მაგრამ კიეველებმა დიდი თანხა მოითხოვეს, ეს კი მდიდარი გუნდი არაა და უკრაინელებთან შეთანხმება ვერ მოახერხეს. ახლა მოლაპარაკება ნახევარწლიან იჯარაზეა. ეს არის ერთადერთი საკითხი, რომელზეც დამოკიდებულია ნალჩიკში ჩემი თამაში. სხვა არანაირი პრობლემა აღარ არსებობს. გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და მომზადების სასურველ დონეს მალე მივაღწევ", - გვითხრა ამისულაშვილმა.

მისივე თქმით, "სპარტაკში" დარჩენა ლევან გვაზავამაც გადაწყვიტა. იგი სამარის "კრილია სოვეტოვში" ისინჯებოდა, ბოლოს კი ნალჩიკს დაუბრუნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავენ „მილანის" მცველსა და ეროვნული ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს. უსურვებს მას ჯანმრთელობასა და წინსვლას სანაკრებო და საკლუბო კარიერაში.**




მარკეტი ნუცუბიძის 19

თბილისი. ნუცუბიძის ქ. №19

ტელ: 394 600

e-mail: lashakap@mail.ru




№19

მაღალი ხარისხი, დიდი არჩევანი და კომფორტი

შემოდით, გელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXVI ტურის წინ

# დაუცველი მილანი სიცილიურ კუნძულზე

## ანჩელოტის პალერმოში რვა მცველი არ ეყოლება

**დღეს**

ასკოლი-პარმა
კიევო-რომა
ემპოლი-მესინა
ლაციო-კატანია
პალერმო-მილანი
რეჯინა-ფიორენტინა
სამპდორია-ატალანტა
სიენა-ლივორნო
ტორინო-კალიარი
ინტერი-უდინეზე

სერია A-ს 26-ე ტურის ცხრა შეხვედრა დღეს ერთსა და იმავე დროს (18 საათზე) გაიმართება. ტურს კი ღამით "ინტერისა" და "უდინეზეს" დაპირისპირება დაასრულებს. **რობერტო მანჩინის** გუნდს სამი წამყვანი მოთამაშე აკლია (**ვიეირა** და **კამბიასო** ტრავმების გამო, **სტანკოვიჩი** დისკვალიფიკაციის გამო), მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ "ნერაძურისთვის" ეს პრობლემა არ არის და სათადარიგო ფეხბურთელებითაც ყველას იოლად უსწორდება. კვირას "კატანიასთან" მილანელებმა ზედიზედ მე-17 გამარჯვება მიითვალეს. სადღეისოდ ძირითადში ელიან **ადრიანოს**, რომელმაც ბოლო ორი შეხვედრა თადარიგში გაატარა. ბრაზილიელის გარდა, სასტარტო შემადგენლობაში უნდა გამოჩნდნენ **ფიგუ**, **სოლარი** და **გროსო**. "უდინეზეს" რაც შეეხება, **ფელიპესა** და **ბარტოს** შემდეგ, გუნდს ტრავმის გამო მთავარი მეგოლე **ვინჩენცო იაკუინტაც** გამოაკლდა. უდინეში გამართული პირველ წრის დაპირისპირება ნულოვანი ფრით დასრულდა.

ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრა დღისით "პალერმოსა" და "მილანს" შორის გაიმართება. გამარჯვების შემთხვევაში, "მილანი" მესამეადგილოსან "პალერმოსთან" სხვაობას 5 ქულამდე შეამცირებს, თან სიცილიელებს ერთით მეტი შეხვედრა აქვთ ჩატარებული. ერთი სიტყვით, ეს ნამდვილი საჩემპიონთალიგო დაპირისპირება იქნება. პირველ წრეში "პალერმომ" "როსონერის" "სან სიროზე" 2:0 მოუგო, მაგრამ მილანელებს მაშინ კრიზისი ჰქონდათ, **გუიდოლინის** გუნდი კი ფორმის პიკზე იყო. დღეს ყველაფერი პირიქითაა. ბოლო სამ საშინაო შეხვედრაში "პალერმომ" სულ ორი ქულა აიღო, შაბათს კი ბერგამოში "ატალანტას" 1:1-ზე დაუზავდა. "მილანმა" კი ბოლო რვა ტურში შვიდჯერ მოიგო და ერთი ფრე ითამაშა. მართალია, "როსონერის" თამაში ისე სანახაობრივი აღარ არის, როგორც საერთოდ, მაგრამ ნოემბერ-დეკემბრის კრიზისის შემდეგ, გუნდი, პირველი რიგში, შედეგზე თამაშობს და აღწევს კიდეც, თუნდაც დიდი წვალების ხარჯზე. კვირას მილანელებმა "სამპდორიას" **ამბროზინის** მიერ 87-ე წუთზე გატანილი გოლით მოუგეს და სეზონში პირველად აღმოჩდნენ მე-5 ადგილზე. ორშაბათის ვარჯიშზე **ანჩელოტიმ** ფეხბურთელები მოედნის ცენტრში შეკრიბა და უთხრა, ბიჭებო, ამ დღეებში კარგად დაისვენეთ, პალერმოში ძალებით სავსე ხალხი მჭირდება, სამი ქულა უნდა ავიღოო. მაგრამ ტრავმების ეპიდემიამ "მილანს" მთელი დაცვა გაუნადგურა. პალერმოში კარლეტოს არ ეყოლება **მალდინი**, **კაფუ**, **კოსტაკურტა**, **კალაძე** და **იანკულოვსკი** (**ნესტასა** და **სერჟინიოზე** ხომ საუბარი ზედმეტია). მათ გარდა მილანში რჩება დისკვალიფიცირებული **ოდო** და ტრავმირებული **ინძაგი**. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ დაცვის ცენტრში **შიმიჩი-ბონერას** წყვილი ითამაშებს, მარცხნივ კი ალბათ **ფავალი**. თითქმის გადაწყვეტილია, რომ **რონალდო** თადარიგში დაიწყებს, ძირითადში კი **ჯილარდინო** და **ოლივეირა** ითამაშებენ. დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ "პალერმოს" ორი ლიდერი, **დი მიკელე** და კაპიტანი **კორინი** უბრუნდებიან.

"რომა", რომელსაც 2007-ში სტუმრად ჯერ არ მოუგია, ვერონაში დაშავებული **მანსინის** გარეშე ჩადის. სამაგიეროდ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რომაელებს გამოჯანმრთელებული **კივუ** უბრუნდებათ. პირველ წრეში "კიევომ" "ოლიმპიკოზე" 1:1 ითამაშა, **დელ ნერი** დღესაც ეცდება თავის ყოფილი გუნდის გამწარებას. ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ მძიმე გასვლა ელის "ფიორენტინას" "რეჯინასთან", რომელმაც წინა ტურში რომში 0:3 წააგი და ახლა საკუთარ კედლებში ეცდება რევანშის აღებას. საინტერესო შეხვედრა იქნება "ტორინოსა" და "კალიარის" შორის, იმდენად, რამდენადაც ორივე გუნდი ორშაბათს გამოცვილილი მწვრთნელებით ითამაშებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 24 | 21 | 3 | 0 | 54-19 | 66 |
| 2. რომა | 24 | 16 | 4 | 4 | 49-18 | 52 |
| 3. პალერმო | 25 | 13 | 5 | 7 | 41-30 | 44 |
| 4. ლაციო | 24 | 11 | 7 | 6 | 37-18 | 37 |
| 5. მილანი | 24 | 12 | 8 | 4 | 33-21 | 36 |
| 6. ემპოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 21-21 | 35 |
| 7. ფიორენტინა | 24 | 14 | 4 | 6 | 38-21 | 31 |
| 8. ატალანტა | 24 | 7 | 10 | 7 | 38-34 | 31 |
| 9. უდინეზე | 24 | 8 | 7 | 9 | 28-32 | 31 |
| 10. კატანია | 25 | 8 | 7 | 10 | 33-45 | 31 |
| 11. სამპდორია | 24 | 8 | 6 | 10 | 31-31 | 30 |
| 12. ლივორნო | 24 | 6 | 9 | 9 | 24-35 | 27 |
| 13. სიენა | 24 | 5 | 11 | 8 | 23-29 | 25 |
| 14. კალიარი | 24 | 4 | 11 | 9 | 18-28 | 23 |
| 15. კიევო | 24 | 5 | 7 | 12 | 25-33 | 22 |
| 16. ტორინო | 24 | 5 | 7 | 12 | 18-34 | 22 |
| 17. რეჯინა | 24 | 8 | 7 | 9 | 29-33 | 20 |
| 18. მესინა | 24 | 4 | 8 | 12 | 24-39 | 20 |
| 19. პარმა | 24 | 3 | 7 | 14 | 20-43 | 16 |
| 20. ასკოლი | 24 | 2 | 7 | 15 | 18-37 | 14 |



ანჩელოტი სიცილიაში დაცვის გარეშე ჩავიდა

ინტერვიუ ალექს ფერგიუსონთან

# ლიპი მენიუში? ორი წელი დამიცადოს

## სერ ალექსი იუვენტუსს დეშამის შენარჩუნებას ურჩევს



სერ ალექს ფერგიუსონი

**ორშაბათს "გაძეტა დელო სპორტის" სპეციალური კორესპონდენტი ალექს ფერგიუსონს ქერინგტონის ბაზაზე ეწვია და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. აი, რას წერდა იტალიური გამოცემა ინტერვიუს შესავალში: "ბონჯიოონო" (ბუონჯორნოს მაგივრად). სერ ალექსი მშვენიერ ხასიათზეა. "მანჩესტერის" შორტებსა და მაისურში ჩაცმული ქერინგტონის ბაზის შესასვლელში მომღიმარი სახით გვხვდება და იტალიურად გვესალმება. გლობალური დათბობის პირობებში, აქაც ნაადრევად მოსული გაზაფხულის სუნია. მაგრამ, პირველ რიგში, აქ მაინც იმ "მანჩესტერის" ამაღლებული განწყობა იგრძნობა, რომელმაც "ჩელსი"-"არსენალის" სათასო ფინალით ისარგებლა და შაბათს "ფულჰემთან" თავის აქტივს მორიგი 3 ქულა შემატა. ახლა მოურინიოს ჩემპიონები 9 ქულით უკან არიან. "წითელი ეშმაკების" მომდევნო ამოცანა 7 მარტს "ლილის" საბოლოოდ ჩამოშორებაა, მას შემდეგ, რაც პირველ მერვედფინალში ლანსში 1:0 მოუგეს. მერე კი მოდის მარჩელო ლიპის ევროპა XI. 13 მარტს "ოლდ ტრაფორდი" დიდ საქველმოქმედო მატჩს უმასპინძლებს: "მანჩესტერ იუნაიტედი" ევროპის ნაკრების წინააღმდეგ, ფერგი მეგობარი მარჩელოს წინააღმდეგ, რომელზეც ერთხელ უთქვამს, დიდი მწვრთნელობის გარდა, ეგ ოხერი ისეთი სიმპათიურია, გვერდით რომ ვუდგავარ, თავი მაიმუნი მგონიაო. ამ შეხვედრით აღნიშნავს ევროპა "რომის ტრაქტატის" (როცა ევროპის ეკონომკიური კავშირი EEC შეიქმნა) 50-წლიან იუბილეს. და ამ შეხვედრითვე აღნიშნავს "იუნაიტედი" ევროთასებზე გამოსვლის 50 წლისთავს. სერ ალექსი მშვენიერ ხასიათზეა: "ფანტასტიკური საღამო გველოდება, ფეხბურთის ვარსკვლავები ერთად მოიყრიან თავს დიდი საქმისთვის – "მანჩესტერ იუნაიტედი", უნისეფი და უეფა სიღარიბის, ნარკოტიკების, ბავშვების ექპლუატაციისა და სხვა მძიმე პრობლემების წინააღმდეგ. ეს მართლაც რომ განსაკუთრებული მატჩია".**

**- ანუ, საფეხბურთო სპექტაკლი?**

- გარანტირებულია. ასეთი შეხვედრების ხიბლი ისაა, რომ იქ არ არსებობს ფსიქოლოგიური წნეხი. როცა შედეგი მნიშვნელოვანი არაა, ვარსკვლავები თამაშით ერთობიან, თავადაც სიამოვნებას იღებენ და მაყურებელსაც სიამოვნებას ანიჭებენ. ფანტასტიკური საღამო უნდა გამოვიდეს.

**- მწვრთნელის სკამზე ერთი დღით თქვენი მეგობარი ლიპი დაბრუნდება.**

- ჰო, პოლ ნიუმანი თავისი განუყრელი სიგარით (იცინის). საშობაო დღეებშიც აქ იყო, პირადად დავპატიჟე, დაუვიწყარი დღეები გავატარეთ. მითხრა, რომ მწვრთნელობა ისევ უნდა, ოღონდ საკლუბო დონეზე.

**- ინგლისურ კლუბში ხომ არა?**

- რატომაც არა? წინასწარ ვერაფერს გამორიცხავ, თუმცა ამ მომენტისთვის ასეთ კლუბს ვერ ვხედავ.

**- "მანჩესტერის" სამწვრთნელო სკამი ვაკანტური არ იქნება?**

- სულ ცოტა ორი წლით არა. ალბათ იცით, რომ 2002 წელს პენსიაზე გასვლა გადავწყვიტე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. აზრის შეცვლამ ახალი სტიმული მომცა, პენსია ცოტა ხანს კიდევ მოიცდის.

**- და ლიპი ინგლისურად ლაპარაკობს?**

- მისი ინგლისური ძალიან შეზღუდულია, ისე როგორც ჩემი იტალიური. მაგრამ სათქმელს ერთმანეთს ფრანგულად ვაგებინებთ. მე ყოველ კვირაში ფრანგულის გაკვეთილებს ვესწრები, ზაფხულობით სულ საფრანგეთში ვისვენებ, თან ჩემს ასაკში სწავლაც მსიამოვნებს.

**- ლიპი რას ამბობს, დაბრუნდება "იუვეში"?**

- "იუვენტუსი" მისთვის რაღაც ძალიან ახლო და მშობლიურია, მაგრამ კლუბმა ახალგაზრდა მწვრთნელი იპოვნა დეშამის სახით, რომელიც ბრწყინვალედ მუშაობს. დაბალ ლიგაში დაქვეითების მიუხედავად, გუნდს სტიმული მისცა, კარგად ახერხებს ისეთი ხალხის მოტივირებას, როგორებიც არიან დელ პიერო, ბუფონი, ნედვედი. არა, ლიპის სხვა მხარეს გახედვა მოუწევს. მაგრამ ნებისმიერმა პრეზიდენტმა, ვისაც დიდი ამბიციები აქვს და მწვრთნელს ეძებს, ლიპის გვარი თავისი სიის სათავეში უნდა ჩაწეროს. მარჩელო იშვიათი მწვრთნელია.

- 2003 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ოლდ ტრაფორდზე", თქვენ ფსონი ლიპის "იუვენტუსზე" დადეთ. მაგრამ "მილანმა" მოიგო.

- ჰო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წაგებული ათმაგად და უფრო მეტად ამოვიღე. ფინალის დღეს, მას შემდეგ, რაც მარჩელომ ტოტი დე როსით შეცვალა, მივხვდი, რომ იტალია-საფრანგეთი 11-მეტრიანების სერიით დასრულდებოდა. მეც ავიღე და ფსონი დავდე იმაზე, რომ იტალია პენალტების სერიით გახდებოდა ჩემპიონი. კოეფიციენტი არ გაინტერესებთ? 12/1-ზე, წარმოიდგენეთ რამხელა მოგებაა!

**- საქველმოქმედო თამაშში ლიპი მწვრთნელის სკამზე ბრუნდება და "ოლდ ტრაფორდზე" აბრუნებს ბექჰემს.**

- დევიდი სახლში ბრუნდება, ერთი დღით. ზუსტად ეს გვჭირდება გალამატჩისთვის. ბექჰემს "ოლდ ტრაფორდი" მხურვალე დახვედრას მოუწყობს, ისე, როგორც ყველას, ვისაც "მანჩესტერისთვის" დიდი საქმეები გაუკეთებია. მას შემდეგ, რაც "რეალში" წავიდა, სულ ორჯერ შევხვდი, ჩვენ შორის ყველაფერი კარგადაა.

**- სამი მძიმე სეზონის შემდეგ, "იუნაიტედი" თქვენ ისევ პრემიერლიგის მწვერვალზე დააბრუნეთ.**

- სეზონი ფანტასტიკურად დავიწყეთ და წინა ორი სეზონისგან განსხვავებით, აღებული რიტმის შენარჩუნება შევძელით. სიტუაცია შეიცვალა, მდევრის როლში ახლა "ჩელსი" ჩადგა, მაგრამ ჩვენი დაწევა ადვილი ნამდვილად არ იქნება.

**- რა შეიცვალა "მანჩესტერში"?**

- პირველ რიგში მოსამზადებელი პროცესი. აქცენტს ტრადიციულად სეზონის მეორე ნაწილზე ვაკეთებდით, მეტოქეების უკან ჩამოტოვებას შობის შემდეგ ვიწყებდით. მაგრამ ამ "ჩელსის" წინააღმდეგობა პირველივე ტურიდან უნდა გაუწიო და ჩვენც სწორედ ეს გავაკეთეთ. ახლა მათთვის ყველა თამაში სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასია.

**- "იუნაიტედის" წარმატების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – რონალდო.**

- კრისტიანო წელს ისეთ რაღაცეებს აკეთებს, რომ მისი ყველაზე დიდი კრიტიკოსებიც კი იძულებულები ხდებიან, რომ ტაში დაუკრან. ინგლისელების ხიბლი ისაა, რომ არ შეუძლიათ, დიდ ფეხბურთელს ტაში არ დაუკრან. რონალდოს კი დიდი ფეხბურთელის ყველა თვისება აქვს.

**- მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მანჩესტერში დაბრუნება აღარ უნდოდა: ინგლისურმა ტაბლოიდებმა სამიზნეში ამოიღეს იმისთვის, რომ მსაჯს რუნი გააძევებინა და ინგლისის ნაკრები ტურნირს მილმა დატოვა.**

- მსგავსი რაღაც მანამდე ბექჰემსაც დაემართა, 1998 წლის მუნდიალზე არგენტინასთან თამაშის შემდეგ. კრისტიანოს ავუხსენი, რომ სტვენის გარდა, არაფრის შიში არ უნდა ჰქონოდა. დამიჯერა და ისე ათამაშდა, რომ ახლა ყველა ჩუმადაა. მიხვდნენ, რომ რაც უფრო უტევენ, ის მით უფრო მეტად აიწყვეტს ხოლმე. ისე, როგორც შაბათს იყო, როცა "ფულჰემთან" 2:1 მოვიგეთ.

**- პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგას შორის რომლის მოგებას ამჯობინებთ?**

- ჩვენ ყველა ტიტულს ვუმიზნებთ, მაგრამ ისეთი კლუბი, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედია", ევროპაში უფრო ხშირად უნდა იგებდეს. მხოლოდ ორი ჩემპიონთა თასი საკმარისი არ არის. შეხედეთ "რეალს", "მილანს", "ლივერპულს", "ბაიერნს". მაგრამ ისეთი ფეხბურთელებით, როგორებიც არიან რონალდო, რუნი, გიგზი, სქოულზი და ქერიკი, "მანჩესტერს" შეუძლია, რომ ევროპული ტახტი დაიბრუნოს.

**- სხვა ევროპულ კლუბებზე რა აზრის ხართ?**

- ფრთხილად "ლიონთან"! მეჩვენება, რომ "რომასთან" პირველ შეხვედრაში დიდი ფორა აიღო და ძალიან სახიფათო იქნება. "ბარსელონა", "ლივერპულთან" "კამპ ნოუზე" მოულოდნელად წაგების შემდეგ, შეუძლებელი მისიის წინაშე დგას – უნდა მოიგოს "ენფილდზე". თუ "ბარსა" მაინც გავიდა, სწორედ ის იქნება უპირველესი ფავორიტი, დანარჩენები კი ფინალში გასვლას იმსახურებენ: ჩვენ, "მილანი" და "ინტერი", რომელიც, "იუვეს" არყოფნაში, იტალიური ჩემპიონატის მონსტრად გადაიქცა.

**- ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეთ, ფეხბურთის გასაუმჯობესებლად რას გააკეთებდით?**

- დაუყოვნებლივ შემოვიტანდი ახალ ტექნოლოგიებს. ჩემს შვილიშვილს უკვე კომპიუტერი აქვს, ფიფა კი ისევ ძველ დოგმებს ებღაუჭება. იმედი მქონდა, რომ მატერაცისა და ზიდანის ინციდენტში მეოთხე მსაჯის ჩარევის შემდეგ, ფიფა საკამათო ეპიზოდების მოედანზევე ვიდეოჩანაწერში განხილვის ნებართვას დაუშვებდა. უხეში დარღვევებისა და ისეთი ხელჩართული ჩხუბებისთვის, როგორიც კვირას "ჩელსი"-"არსენალის" თამაშში იყო, დრო უნდა გამოინახოს და მსაჯი მომხდარში ვიდეოჩანაწერის დახმარებით გაერკვეს. მაგრამ ვშიშობ, რომ ეს ჩემი პენსიაზე გასვლის შემდეგ მოხდება.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. მოსალოდნელი ტრანსფერები

# კამპ ნოუ ვარსკვლავების გარეშე რჩება?

## ეტოო, დეკუ და რონალდინიო წასასვლელად ემზადებიან...

გუშინ გაუწყეთ, რომ "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი სამუელ ეტოოს** ტრანსფერისთვის 50 მილიონ გირვანქას ამზადებს. დღეს გეტყვით, რომ ფეხბურთელის გაყიდვა თვითონ "ბარსელონასაც" სურს და სარფიან შეთავაზებაზე უარს არ იტყვის. მეტიც, მაქსიმალურად მომგებიანი გარიგების იმედით, კატალონიელები ფორვარდს ინგლისის სხვა მდიდარ კლუბებსაც სთავაზობენ და მათ წინადადებებს ელიან.

მოლაპარაკებებში ჩართულია გავლენიანი ესპანელი აგენტი **მანუელ გარსია კილონი**. კილონის სახელი **რაფა ბენიტესს** უკავშირდება. მრავალმილიონიანი ამერიკული ინვესტიციის შემდეგ, რაფას ტრანსფერებისთვისაც სერიოზული თანხა ალუთქვეს. ესპანელ მწვრთნელს ეტოოთი დაინტერესება საჯაროდ არ დაუფიქსირებია. ესპანური სააგენტოები კი კამერუნელის ხელში ჩაგდებას მას უწინასწარმეტყველებენ. სამუელს "ბარსელონასთან" კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. მისი წლიური ანაზღაურება 3.7 მილიონ გირვანქას შეადგენს.

"ბარსელონელი" ვარსკვლავების ტრანსფერებზე გაუთავებლად საუბრობენ. ინგლისური ტაბლოიდის, "დეილი მეილის" ცნობით, **დეკუმ** ხელმძღვანელობას აცნობა, რომ სეზონის დასრულებისთანავე "ბარსადან" აბარგებას აპირებს. 29 წლის ნახევარმცველმა ესპანეთში ორჯერ ჩემპიონობა და ერთხელ ჩემპიონთა თასი მოიგო. მას ახლა სხვა ჩემპიონატში სურს ძალების მოსინჯვა. პორტუგალიელს არასოდეს დაუმალავს, რომ სიამოვნებით მიაშურებდა ინგლისს. პრემიერლიგის გრანდთაგან დეკუსთან კონტრაქტის გაფორმება სურთ "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედს". განსაკუთრებით, ეს უკანასკნელი აქტიურობს. ფეხბურთელზე უარს არ იტყვის კრიზისში მყოფი გერმანული გიგანტი "ბაიერნიც".

დაბოლოს, **რონალდინიო**, რომელსაც "მილანი" ზღაპრულ კონტრაქტს სთავაზობს. "როსონერის" პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ** უკვე მერამდენედ დაადასტურა, რომ რონალდინიო მათი უმთავრესი სატრანსფერო სამიზნე იქნება. ბრაზილიელის გარდა, "მილანი" **ჯიჯი ბუფონთანაც** შეეცდება კონტრაქტის გაფორმებას. იტალიელმა მიმომხილველებმა დაასკვნეს, რომ კლუბი ამხელა ხარჯს მხოლოდ იმ შემთხვევაში გასწევს, თუ **კაკასა** და **ალბერტო ჯილარდინოს** გამოეთხოვება. ჯილარდინოს "იუვენტუსი" ეპატიჟება, კაკას კი - მადრიდის "რეალი". კაკას აბარგება სწორედ რონის გაუთავისუფლებდა ადგილს. კაკას შეძენა "ბარსელონასაც" სურს. რონალდინიოს ძმა და აგენტი, **რობერტო დე ასისი** მილანში ერთ კვირაში ჩავა და ბერლუსკონისა და მის მარჯვენა ხელს, **ადრიანო გალიანის** შეხვდება.



ბარსელონა, შეიძლება, ეტოოსა და რონალდინიოს გამოეთხოვოს



კრისტიანო რონალდო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კრისტიანო ირჩევს რეალს

## მადრიდელები იუნაიტედს 35 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ

**კრისტიანო რონალდოს** "რეალში" გადასვლა სურს. "ასი" პორტუგალიელ გარემარბთან დაახლოებულ წყაროებს იშველიებს. ისინი ამბობენ, რომ რონალდო სამეფო კლუბს "ბარსელონაზე" წინ აყენებს. ფეხბურთელი მზადაა, "მანჩესტერ იუნაიტედს" სეზონის დასრულებისთანავე გამოეთხოვოს.

რონალდოს სურს, თავის კერპს, **ლუიშ ფიგუს** მიბაძოს. "რეალის" დირექტორებმა მისი გეგმების შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იციან. ფეხბურთელი მადრიდელ ჩინოვნიკებს არ შეხვედრია, სამაგიეროდ, მადრიდში ტრანსფერის საკითხი არაერთხელ განიხილა აგენტ **ჟორჟე მენდეშთან**. ცნობილია ისიც, რომ "იუნაიტედი" ფეხბურთელის შესანარჩუნებლად ყველაფერს იღონებს. მადრიდელი პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** ფეხბურთელის სანაცვლოდ 35 მილიონ გირვანქას გაამზადებს. ეს თანხა 10 მილიონით ნაკლებია იმაზე, რის სანაცვლოდაც "ეშმაკები", შეიძლება, მოლაპარაკებებს დათანხმდნენ.

## ჰიდინკს პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს

ჰოლანდიის სასამართლომ **გუუს ჰიდინკი** დამნაშავედ სცნო და ექვსთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. რუსეთის ნაკრების თავკაცი ჯარიმის სახით 45 ათას ევროსაც გადაიხდის. მიმომხილველებს ეს თანხა სასაცილოდ არ ეყოთ. სამართალდამცველები მას 1.4 მილიონი ევროს დამალვაში ადანაშაულებდნენ. საბოლოოდ კი მხოლოდ 45 ათასი აკმარეს. ჰიდინკს განაჩენის გასაჩივრება ორი კვირის განმავლობაში შეუძლია. მის ადვოკატებს აპელაციაზე არაფერი უთქვამთ. სასამართლოს დასრულების შემდეგ გუუსმა ჟურნალისტებთან შეხვედრას თავი აარიდა, თუმცა წინა დღეებში დანაშაულს ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა. ის აღნიშნავდა, რომ სადაო პერიოდში (სამხრეთი კორეიდან დაბრუნების შემდეგ, 2002 წლის მეორე ნახევარში) ბელგიაში ცხოვრობდა და გადასახადებსაც იქაური კანონმდებლობით იხდიდა.

## ბარსელონა პიკეს იბრუნებს?

"სარაგოსას" "მანჩესტერიდან" იჯარით გადაყვანილი მცველის, **ხერარდ პიკეს** შენარჩუნება სურს. არაგონელების შანსი მცირეა. ახალგაზრდა პიკე საუცხოო სეზონს ატარებს. მიმომხილველებმა ის "რეალის" ყოფილ ვარსკვლავ **ფერნანდო იეროს** შეადარეს. პიკეზე პირველი არჩევანის უფლება "ბარსელონას" აქვს. ეს პირობა მანჩესტერისა და ბარსელონის შეთანხმებაში ჩაიწერა. მოგეხსენებათ, ხერარდი კატალონიელთა საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. ის "ბარსას" სარეზერვო გუნდში ირიცხებოდა, როცა სამი წლის წინათ "იუნაიტედმა" წაიყვანა და პირველი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა. კატალონიელები ამ უფლებით სარგებლობას გეგმავენ. უცნობია, რა დაუჯდებათ მათ ყოფილი ფეხბურთელის დაბრუნება.

ჩელსი

# ესიენსა და დროგბას სასჯელი ემუქრებათ

## აბრამოვიჩმა ფეხბურთელებს ლიგის თასის დაუფლება არ მიულოცა...

**მიკაელ ესიენსა** და **დიდიე დროგბას** დისკვალიფიკაციები ემუქრებათ. მიზეზი "არსენალთან" ლიგის თასის ფინალში (2:1) მომხდარი ინციდენტებია. თამაშის მიწურულს ატეხილი ჩხუბის გამო, არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** სამი ფეხბურთელი გააძევა - ჩელსელი **ჯონ ობი მიკელი** და არსენალელები, **ემანუელ ადებაიორი** და **კოლო ტურე**. ესიენსა და დროგბას გაფრთხილებებიც კი არ მიუღიათ. სადისციპლინო კომისიამ ვიდეოჩანაწერი განიხილა და დაასკვნა, რომ ეს ფეხბურთელებიც სასჯელებს იმსახურებენ. გაწევ-გამოწევისას ნათლად ჩანს, რომ დროგბა და ესიენი მეტოქეს ხელს ურტყამენ. ესიენმა **დენილსონს** წაუთაქა, ხოლო დროგბამ - **სესკ ფაბრეგასს**. ვებს, რომელიც მოჩხუბართა შორის იყო ჩამდგარი, მათი ხულიგნობა არ დაუნახავს.სამაგიეროდ, მსაჯს ვიდეოტექნიკამ გაუმართა ხელი. ასოციაციას სრული უფლება აქვს, ფეხბურთელებს სამ-სამმატჩიანი შვებულებები გამოუწეროს.

აქვე გეტყვით, რომ "ჩელსის" ბოსმა **რომან აბრამოვიჩმა** ფეხბურთელებს თასის მოპოვება არ მიულოცა. მან გასახდელში ჩასვლა ზედმეტად ჩათვალა. რუსი ოლიგარქი არც ლონდონის ღამის კლუბ "აურაში" მოწყობილ ლხინს დასწრებია. ადრე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. მიმომხილველები მიზეზად აბრამოვიჩისა და **ჟოზე მოურინიოს** გართულებულ ურთიერთობებს ასახელებენ. მათივე მტკიცებით, დღითიდღე ნათელი ხდება, რომ მწვრთნელის ლონდონური კარიერა დასასრულს უახლოვდება. მომავალი სეზონიდან ჟოზეს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევსო, ასკვნიან ისინი.



ჩელსი-არსენალი. ეპიზოდი, როცა ესიენმა და დროგბამ მსაჯისგან მალულად იხულიგნეს

რეალი

# მეფე კაპელოს წასვლას ითხოვს

## ბექჰემი შვეიცარიულ პოლიტიკაში გაერია



ფაბიო კაპელო

გასულ უქმეებზე ესპანეთში სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური ასამბლეის სხდომა გაიმართა. რატომ დავინტერესდით ამ მოვლენით? სხდომას ესპანეთის **მეფე ხუან კარლოსი** დაესწრო. ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა მადრიდის "რეალის" ვიცე-პრეზიდენტი **ვისენტე ბოლუდაც**. "ასის" მტკიცებით, მისმა უდიდებულესობამ სამეფო კლუბის ამბები წვრილად გამოიკითხა და ბოლოს "რეალის"ერთ-ერთ ბოსს ჰკითხა - **კაპელო** როდის მიდისო. ტაბლოიდი ამტკიცებს, რომ ამ კითხვამ ბოლუდა ძალიან დააბნია, მაგრამ მალევე მოეგო გონს და მონარქს მოახსენა, ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, სანამ მისი კომპენსაციის საკითხი არ გაირკვევაო. თვით მეფეც კი კაპელოს დათხოვნის მომხრეაო, ასკვნის გავლენიანი ესპანური გამოცემა.

კიდევ ერთი სახალისო ამბავი, რომელიც მადრიდელთა ვარსკვლავ **დევიდ ბექჰემს** უკავშირდება. გალაქტიკო მისდა უნებურად პოლიტიკურ ინტრიგებში აღმოჩნდა გარეული. შვეიცარიაში ადგილობრივი არჩევნები უნდა გაიმართოს. ერთ-ერთ რეგიონში კენჭს იყრის ყოფილი არბიტრი **ფილიპ ლეუბა**. მისი სახელი გულშემატკივარს არაფერს ეუბნება. ის არც ჩვენ გაგვახსენდებოდა, მაგრამ ლეუბამ საკუთარი თავის პოპულარიზაციისთვის ორიგინალურ ხერხს მიმართა. მან რამდენიმე წლის წინათ გამართული ინგლისი-არგენტინის ამხანაგური მატჩის სურათები მოიძია. ამ მატჩს ბატონი ფილიპი უძღვებოდა. თამაშის წინ არბიტრმა ორივე გუნდის კაპიტანს ჩამოართვა ხელი. ინგლისელთა კაპიტანი დევიდ ბექჰემი იყო. ჰოდა, ლეუბამ მისი და ბექზის სურათი პლაკატზე დაბეჭდა და ზედ ასეთი წარწერა გაუკეთა: "ვიქნები ისეთივე მიუკერძოებელი, როგორიც მოედანზე". მისმა ეშმაკობამ გაამართლა. მეორე დღეს უკლებლივ ყველა წამყვანმა შვეიცარიულმა გაზეთმა ლეუბასა და ბექჰემის ფოტო პირველ გვერდზე დაბეჭდა. ამ ამბავმა დევიდის ადვოკატთა ყურადღებაც მიიპყრო. ისინი ახალბედა პოლიტიკოსის შტაბს დაუკავშირდნენ და პლაკატების ჩამოხსნა მოსთხოვეს, რადგან მას ბექჰემის იმიჯის გამოყენების ნებართვა არ ჰქონდა. ლეუბამ თავი ასე იმართლა: *"ეს ხუმრობა იყო. არა მგონია, რომელიმე შვეიცარიელს დაეჯერებინა, რომ ჩემს საარჩევნო კამპანიაში მართლა დევიდ ბექჰემი იყო ჩართული."*

ინტერვიუ მარიო გომესთან

# გუნდის ერთგულება ჩემთვის ფულზე მნიშვნელოვანია!

## არსენალი, ლივერპული, იუვე - სუპერმარიო ყველას უარს ეუბნება...

**21 წლის მარიო გომესმა მთელი გერმანია აალაპარაკა. 21 თამაშში გატანილი 13 გოლით, "შტუტგარტის" ახალგაზრდა თავდამსხმელი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირია. არადა, სეზონის დაწყებამდე ის სულაც არ ითვლებოდა შვაბური გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრად. მამა ესპანელი ჰყავს, დედა გერმანელი. გერმანიაში დაბადებული და გაზრდილია, ამიტომაც გერმანიის ნაკრებს ეკუთვნის. ცოტა ხნის წინათ ბუნდესგუნდში დებიუტიც ჰქონდა და შვეიცარიასთან ამხანაგურ შეხვედრაში გოლიც გაიტანა. თავისუფალ დროს სიამოვნებით თამაშობს ჩოგბურთს, უსმენს მუსიკას ან ხვდება მეგობრებს. "სუპერმარიოს", როგორც მას ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა შეარქვეს, უკვე აკვირდებიან "არსენალი", "ლივერპული" და "იუვენტუსი", მაგრამ არსად წასვლა არ უნდა. გთავაზობთ ინტერვიუს გომესთან, რომელიც "ბილდში" გამოქვეყნდა.**

**- იოახიმ ლიოვით დაწყებული, ვიდრე გიუნტერ ნეტცერამდე, ყველა გაქებთ. ვისაც არ ეზარება, ყველა მხარზე გირტყამთ. გაქებენ და გადიდებენ. რას გრძნობთ?**

- მართალია. ახლა ყველა მხრიდან მხოლოდ საქებარი სიტყვები მესმის. მაგრამ მე კარგად ვიცი, ვის უნდა ვენდო და ვის არა. ადამიანებს ერთმანეთისგან იოლად ვარჩევ ხოლმე. ვიცი, ვინ არის გულახდილი და ვინ არა.

**- გარედან ძალიან წყნარი და გაწონასწორებული პიროვნება ჩანხართ. გაბრაზებული მარიო გომესი თითქმის წარმოუდგენელია. საინტერესოა, საერთოდ თუ ყვირით ხოლმე ან რამეზე თუ ბრაზდებით?**

- ჩემი გაბრაზება არც ისე იოლია. ადამიანმა ძალიან უნდა მოინდომოს, წყობიდან რომ გამომიყვანოს. არ მიყვარს მატყუარები, ტყუილს ყველაზე მეტად ვერ ვიტან. ზურგს უკან ვინმემ ჩემზე ცუდი რომ ილაპარაკოს, აი, მაშინ გავბრაზდები. ისე კი, მართლაც ძალიან მშვიდი ვარ.

**- გაქვთ თუ არა რაიმე თილისმა, რაც გოლების გატანაში გეხმარებათ?**

- არა, ასეთი არაფერი მაქვს. ისე კი, პირველად ყოველთვის მარცხენა წვივსაფარს ვიკეთებ და მარცხენა ბუცს ვიცვამ. ეს ჩვეულება ბავშვობიდან მომყვება და რატომღაც ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევ.

**- მაშინ მოდით, გვითხარით, რა არის თქვენი საიდუმლო? როგორ გაგაქვთ ამდენი გოლი?**

- (იცინის) ეს იმდენად დიდი საიდუმლოა, რომ არ მინდა, გავახმაურო, მაგრამ თქვენ მაინც გეტყვით და იმედია, მადლობას გადამიხდით. ბევრი ვარჯიში, შესანიშნავი თანაგუნდელები, არაჩვეულებრივი მწვრთნელი - სულ ეს არის. ხომ ხედავთ, რამდენად დიდი საიდუმლო გაგიმხილეთ.

**- "არსენალის", "ლივერპულისა" და "იუვენტუსის" სკაუტები უკვე გაკვირდებიან. რა მოხდება, ზაფხულში ზემოთ ხსენებული რომელიმე გრანდისგან შეთავაზება რომ მიიღოთ?**

- უარს ვეტყვი! "შტუტგარტთან" კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს. არ მინდა, რომ მხოლოდ ერთი სეზონის კარგად ჩატარების შემდეგ მაშინვე გუნდი შევიცვალო. "შტუტგარტი" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. გუნდის ერთგულებას ფულზე, ნებისმიერ თანხაზე წინ ვაყენებ.

**- არაერთხელ თქვით, რომ თქვენი საოცნებო გუნდი "ბარსელონაა". კატალონიურ გიგანტში გადასვლა რომ შემოგთავაზონ, მაინც უარს იტყვით?**

- აუცილებლად. თუ სასწაული მოხდება და "ბარსელონა" ჩემს გადაბირებას მოისურვებს, მოთმენა მოუწევთ.

**- "ბაიერნმა" წინასწარი კონტრაქტი გაუფორმა აახენელ იან შლაუდრაფს. დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ მიუნხენელებმა შეცდომა დაუშვეს, თქვენ რომ არ შეგიძინეს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

- სწორად გამიგეთ, "შტუტგარტიდან" წასვლა არ მინდა. შლაუდრაფს კი უნდოდა "ალემანიის" დატოვება. ასე რომ, "ბაიერნს", პრინციპში, სხვა გზა არც ჰქონდა. მე ვერ გადამიბირებდა.

**- გერმანიის ჩემპიონობისთვის 4 გუნდი იბრძვის. ოთხივე მათგანში თამაშობენ თავდამსხმელები, რომლებიც გერმანიის ნაკრებშიც მოიაზრებიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ბრძოლა მიროსლავ კლოზეს (ვერდერი), ლუკას პოდოლსკის (ბაიერნი), კევინ კურანისა (შალკე) და თქვენს შორის. ვინ არის საუკეთესო?**


მარიო გომესი

- ამ თავდამსხმელების სიძლიერით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ გერმანიის ჩემპიონი "ვერდერი" უნდა გახდეს, რადგან თქვენს მიერ ჩამოთვლილი ფორვარდებიდან საუკეთესო კლოზეა. ხუთი წელიწადია, რაც მირო უმაღლეს დონეზე თამაშობს. კლოზემდე ყველას ძალიან ბევრი გვაკლია. მეტიც, მირო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია.

**- ბუნდესმწვრთნელი ლიოვი ამბობს, რომ "შტუტგარტს" ბუნდესლიგის მოგება შეუძლია. თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ლიოვის ეს განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ამ სეზონში ყველა გავაოცეთ. თუკი ყველა მატჩში ისე ვითამაშებთ, როგორც "ვერდერთან" (4:1) ან "აინტრახტთან" (4:0), მაშინ ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებთ. მაგრამ ყველა შეხვედრას უმაღლეს დონეზე ვერ ჩაატარებ - პარასკევს "ჰერტასთან" მცირე ჩავარდნა გვქონდა (0:0).

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი

# ხანგრძლივი პაუზა ბოროვსკის

## და კიდევ ერთი პრობლემა: ავადაა კლოზეც

კვირას ბრემენის "ვერდერმა", მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" შეხვედრაში არა მარტო ორი მნიშვნელოვანი ქულა, არამედ წამყვანი ფეხბურთელიც დაკარგა. **ტიმ ბოროვსკიმ** მეორე ტაიმის დასაწყისში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა, მერე კი გაირკვა, რომ 26 წლის ნახევარმცველს მყესები აქვს დაზიანებული და რომ ბრემენულ კლუბს რამდენიმე კვირის განმავლობაში ველარ დაეხმარება. *"თავს საშინლად ვგრძნობ. ყველაზე მეტად ახლა არ მინდოდა ტრავმის მიღება. მითხრეს, რომ მოედანზე გასვლას რამდენიმე კვირის განმავლობაში ველარ შევძლებ. იმედი მაქვს, რომ "ვერდერს" ჩემპიონატის დასკვნით ფაზაში მაინც დავეხმარები,"* - განუცხადა გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. *"ძალიან საწყენია ის, რომ ბორო ასეთ მნიშვნელოვან ფაზაში დაგვიშავდა. იმედს ვიტოვებ, რომ მისი იძულებითი პაუზა თვეზე მეტს არ გასტანს,"* - ეს კი "მუსიკოსთა" მთავარი მწვრთნელის, **თომას შააფის** სიტყვებია.

მაგრამ "ვერდერის" პრობლემები ამით არ ამოწურულა. "გლადბახთან" მატჩის (2:2) შემდეგ **მიროსლავ კლოზემ** სისხლის ანალიზები აილო, რამაც ცხადჰყო, რომ გერმანელ გოლეადორს ბაქტერიული ინფექცია აქვს. *"ატიბიოტიკებს ვილებ, ექიმები თან მყვებიან და ყველანაირად ცდილობენ, რომ მომდევნო შეხვედრისთვის ფეხზე დამაყენონ,"* - ამბობს კლოზე. სამაგიეროდ, საშიში არ გამოდგა **პერ მერტეზაკერისა** და **უგო ალმეიდას** ტრავმები, რომლებიც ასევე მიონხენგლადბახში დაშავდნენ (ორივე მათგანმა თავის ტრავმა მიილო). ბრემენული კლუბის სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, მომდევნო ტურში, "ბოხუმთან" მერტეზაკერიც ითამაშებს და ალმეიდაც.

მაინცი და მოჰამედი

# ZIDAN, შენ დაიმსახურე E!

## ერთი შეშლილი გუნდისა და შეშლილი ფეხბურთელის ამბავი...


მოჰამედ ზიდანი

**მისი გვარიც ზუსტად ისევე გამოითქმის, როგორც მისი საყვარელი ფეხბურთელისა - ზიდან. განსხვავება მხოლოდ ერთ ასოშია: დიდი ზინედინის გვარი ხომ ასე იწერება: Zidane, ხოლო მისი კი ასე: Zidan. შესაძლოა, მიხვდით კიდეც - საუბარია "მაინცის" ეგვიპტელ თავდამსხმელ მოჰამედ ზიდანზე, რომელმაც ბოლო დროს ისე მოუმატა, თქვენი მოწონებული (6 გოლი ბოლო 5 თამაშში). და ის, რომ ჯუჯა "მაინცს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება აღარ ემუქრება, პირველ რიგში, სწორედ მისი დამსახურებაა. შესანიშნავი თამაშისა და გოლების გამო, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა 25 წლის მოჰამედს არაჩვეულებრივი საჩუქარი გაუკეთეს. "ბილდის" ჟურნალისტებმა მას E აჩუქეს...**

პირველი წრის დასრულების შემდეგ "მაინცი" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იყო - 1 მოგებით, 8 ფრითა და 8 წაგებით. **იურგენ კლოპის** "სასწაულმოქმედი გუნდი", რომელიც მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში სასწაულებს გადაჩვეული იყო, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ნომერ პირველი კანდიდატი გახლდათ. მაინცელები უჩვეულოდ უსულ-გულოდ და უნიათოდ გამოიყურებოდნენ, თამაშს თამაშზე აგებდნენ და ქვესკნელისკენ მიექანებოდნენ. მართალია, სერიოზული მიღწევები არც შარშან ან შარშანწინ ჰქონდათ, მაგრამ ეს გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა ბრძოლისუნარიანობითა და უდიდესი მონდომებით, რის ხარჯზე აღწევდა კიდეც წარმატებებს და არაერთხელ გაამწარა ბობოლა გუნდები. მაგრამ ამ სეზონში "გადარეულ კლოპსა" და კომპანიას საქმეები კარგად ვერ წაუვიდათ.

დასრულდა პირველი წრე და კლოპმა ხელმძღვანელების კაბინეტებს ჩამოუარა - თუ გინდათ, რომ გუნდი არ გავარდეს, ერთი ფეხბურთელი უნდა მიყიდოთ. და როცა სასურველი მოთამაშის ვინაობა ჰკითხეს, კლოპმა მაშინვე თქვა: **მოჰამედ ზიდანი**. ეს ფეხბურთელი "ვერდერის" საკუთრება გახლდათ. მართალია, ბრემენულ კლუბში ძალიან იშვიათად ათამაშებდნენ, მაგრამ ტალანტად მიიჩნეოდა და ცხადი იყო, რომ "ვერდერი" მას იაფად არ დათმობდა. თანაც, "მაინცი" ერთობ ღარიბი გუნდია და დიდი ფულის გადახდა შეუძლებელი იყო. ეს კარგად იცოდა თვითონ კლოპმაც, მაგრამ მაინც დაიჟინა: *"თუ გინდათ, რომ არ გავარდეთ, ზიდანი მომგვარეთ!"*

3 მილიონი ევრო - აი, ზუსტად ამდენი მოითხოვეს ბრემენელებმა, რაც "მაინცისთვის" ძალიან დიდი ფულია. მაგრამ აუტსაიდერის ბოსებმა კიდევ ერთხელ დაუჯერეს კლოპს, ფული ბრემენული კლუბის ანგარიშზე გადარიცხეს, იურგენს კი უთხრეს, თუ მაინც გავვარდებით, ცოცხალი ვერ გადაგვირჩებიო. ბრემენულმა კლუბმა კი, ზიდანს "ხურდაში" **ლეონ ანდრეასენიც** გამოაყოლა - საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც ასევე ვერ დაიმკვიდრა ადგილი ბრემენული გრანდის ძირითად შემადგენლობაში.

მეორე წრის დაწყებიდან უკვე 6 ტურია გასული. და სად არის "მაინცი"? ეს გუნდი მე-18 ადგილიდან მე-10 პოზიციამდე ავიდა, მოიგო რა 6 თამაშიდან 5, 1 კი ფრედ დაასრულა და არცერთხელ არ დამარცხებულა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: პირველი წრის ყველაზე უარესი გუნდი, მეორე წრის ცხრილში პირველ ადგილზეა! დიახ, იურგენ კლოპის "მაინცი" მეორე წრის შედეგებით "შალკესაც" სჯობნის, "ვერდერსაც", "ბაიერნსაც", "შტუტგარტსაც" და საერთოდ, ყველას. ეს კი, პირველ რიგში, მოჰამედ ზიდანის დამსახურებაა, რომლის ანგარიშზეც, როგორც უკვე გითხარით (მეორე წრეში), 6 გოლია (5 თამაში მიილო მონაწილეობა).

გასულ შაბათს "მაინცმა" "ნიურნბერგს" მოუგო. არა, კარგად დააკვირდით, ეს არ არის ჩვეულებრივი ამბავი. "ნიურნბერგი" ის გუნდია, რომელსაც 11-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, რომელსაც მთელ ბუნდესლიგაში ყველაზე ცოტა მარცხი ჰქონდა განცდილი და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაზე ცოტა გოლი ჰქონდა გაშვებული (მხოლოდ 17). თავად განსაჯეთ, ამ "ნიურნბერგმა" "ბაიერნს" (ხაზს ვუსვამთ, "ბაიერნს") 3:0 გადაუგრბინა და მისი დაჩაგვრა ვერც სხვა გრანდებმა მოახერხეს. და სწორედ ამ "ნიურნბერგს" ზიდანმა ორი მშვენიერი გოლი გაუტანა და მიმდინარე სეზონში მხოლოდ და მხოლოდ მე-3 მარცხი აგემა. სწორედ ამ თამაშის შემდეგ მიილო 25 წლის ეგვიპტელმა ის საჩუქარი, რომელზეც ზემოთ ვწერდით - E. "ბილდი" წერს: *"მან ეს დაიმსახურა, რადგან დღესდღეობით თავისი გოლებით არანაკლებ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე ზიზუ გვანიჭებდა კარიერის დამთავრებამდე."*

*"ყოველთვის ზიზუს ვბაძავდი. მინდა, ფეხბურთის თამაში ისე შემეძლოს, როგოც ზინედინს. ყველაფერში ჩემი კერპია, ოღონდ ერთ რამეს, რაც მან გააკეთა, მე არასდროს გავიმეორებ,"* - ამბობს მოჰამედი და ცხადია, იმ ერთ რამეში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის იმ ეპიზოდს გულისხმობს, რისთვისაც გენიალური ფრანგი მოედნიდან გააძევეს.

მოჰამედი სწრაფია, ქარიზმატული და ძალიან ტექნიკური. ჩვენი გერმანელი კოლეგები ახასიათებენ, როგორც ცოტათი შეშლილსა და გიჟს, რომელსაც იუმორის ჩინებული გრძნობა აქვს. მაგალითად, თანაგუნდელებს სადილის დაწყებამდე სკამებს აცლის ხოლმე, ვარჯიშების დროს კი ფანებს ეხუმრება. ერთ-ერთი თამაშის შემდეგ საპრესკონფერენციო დარბაზში სალეჭი რეზინებით სავსე პარკით დარბოდა და ჟურნალისტებს თითოს 5 ევროდ სთავაზობდა.

*"ჰო, ცოტათი შეშლილი ვარ, მაგრამ მგონი არავის არაფერი სწყინს, პირიქით, ჩემი ცელქობის გამო აქ ყველას ვუყვარვარ. განსაკუთრებით კი მწვრთნელს. მეც ძალიან მიყვარს კლოპი. "მაინცში" სწორედ მის გამო დავბრუნდი,"* - შეგახსენებთ, რომ მოჰამედი შარშანაც "მაინცში" თამაშობდა, ოღონდ მაშინ განათხოვრების წესით და სწორედ იმ დროს მოხიბლა კლოპი, ახლა კი სრულფასოვანია "ეფესფაუელია", - *"კლოპმა ისეთი მიმილო, როგორიც ვარ. მე კი მხოლოდ ასეთი მწვრთნელის ხელში შემიძლია შესაძლებლობების გამოვლენა."*

*"ნამდვილი გიჟია, პატარა გიჟი ეგვიპტელი. შესანიშნავი ფეხბურთელია,"* - ეს უკვე "მაინცის" მწვრთნელის სიტყვები გახლავთ. გუნდის კაპიტანი **დიმო ვახე** კი აი, რას ამბობს: *"მოჰამედი პატარა ბავშვივითაა, მაგრამ უკვე ფენომენია."*

"მაინცი" და მოჰამედ ზიდანი - ეს ერთი სიყვარულის ისტორიაა, რომელიც შარშანდელ სეზონში დაიწყო, როცა "ვერდერმა" ეგვიპტელი თავდამსხმელი ერთ-ერთ აუტსაიდერს ათხოვა. მაშინ მოჰამედი მიხვდა, რომ "მაინცისთვის" იყო დაბადებული. ცოტა ხნის წინათ მან თავზე კლუბის ლოგოც მიიხატა. ახლა ის სასურველი E-ც აჩუქეს. მოკლედ, ბუნდესლიგას ახალი ვარსკვლავი ჰყავს, ვარსკვლავი, რომელიც "ვერდერის" გამოცდილმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** ვერაფერში გამოიყენა.

**გოტფრიდ ლენცი**





ლევერკუზენისა და შალკეს მატჩმა შნაიდერისა და ლინკოლნის კონფლიქტით მიიქცია ყურადღება

სკანდალი. დეტალები

# შნაიდერი: ლინკოლნი აფრენს

## ბრაზილიელს ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, მას შალკეც დააჯარიმებს...

"შალკესა" და "ლევერკუზენის" მატჩის შემდეგ მომხდარ ინციდენტზე გუშინდელ ნომერში დაწვრილებით ვწერდით. გეხსომებათ, საფინალო სასტვენის შემდეგ გელზენკირხენელთა მეათე .ნომერმა **ლინკოლნმა** გამოცდილ "ფარმაცევტ" **ბერნდ შნაიდერს** სილა გააწნა, რადგან მანამდე ამ უკანასკნელმა უთხრა, შენ ბრაზილიელი არ ხარო, ლინკოლნმა კი ისე გაიგო, რომ ბრაზილიური განავალი უწოდეს. "შალკეს" ფლეიმეიქერი მაშინვე მოედნიდან გააძევეს და ახლა 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გუშინ შნაიდერი "დაკითხეს". აი, რა უთხრა ლევერკუზენელმა "ბილდს": *"Scheiss Brasilianer? ამას ხომ არასდროს ვეტყოდი! ლინკოლნს ყურთასმენა აკლია და ცოტათი აფრენს. ჩემს ქალიშვილს ვუკრძალავ მაგ სიტყვის ხმარებას და ამის მერე თვითონ როგორ გამოვიყენებ? როცა დავინახე, რომ ჩემსკენ გაშმაგებული მოდიოდა, ძალიან შემეშინდა. და უცებ ისეთი მხეთქა..."* იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს ლინკოლნის მეორე არასპორტული საქციელი იყო. 2005 წელს მან შტუტგარტელ **თომას ჰიტცლშპერგერს** შეაფურთხა, რისთვისაც 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

ლინკოლნმა თანაგუნდელებსა და ფანებს ბოდიში უკვე მოუხადა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. "შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ამბობს: *"მან გუნდს დიდი ზარალი მიაყენა და ყველანი შეგვარცხვინა, რისთვისაც, სანქციები ჩვენგანაც არ ასცდება."* გელზენკირხენული კლუბის ბოსები ბრაზილიელს სავარაუდოდ 25 000 ევროს გადახდას დააკისრებენ. ბოლოსთვის ისევ და ისევ შნაიდერის, ცოტა არ იყოს, დამცინავი სიტყვები შემოვინახეთ: *"კარგად მესმის, რატომაც გაბრაზდა ლინკოლნი. გელზენკირხენელებს ეგონათ, იოლად დაგვამარცხებდნენ, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ და რა გასაკვირია, რომ გადაირია."*

მწვრთნელი

# კლინსმანი ორდენს დღეს წაილებს

## იურგენი მუნდიალის შემდეგ გერმანიაში პირველად ჩადის!



კლინსმანი მერკელს შეხვდება

WELCOME BACK! და Willkommen in der Heimat! - აი, ამ სიტყვებით გამოეხმაურა გერმანული "ბილდი" ინფორმაციას, რომელიც გუშინ გერმანულ პრესაში გავრცელდა: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ **იურგენ კლინსმანი** პირველად ჩადის გერმანიაში, რათა თავისი "ღირსების ორდენი" ჩაიბაროს. შეეძლოთ, მხოლოდ გერმანულად დაეწერათ წინადადება, რომელიც "კეთილი იყოს შენი დაბრუნება"-ს ნიშნავს, მაგრამ კლინსი ხომ "ნახევრად ამერიკელია"...

ეს ორდენი იურგენმა მუნდიალის დასრულების შემდეგ დაიმსახურა. დაიმსახურა იმისთვის, რომ გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დააკავებინა. მის გარდა ასეთივე ორდენებით მთელი გუნდი დაჯილდოვდა და სხვათა შორის, დამსახურებული ჯილდო თითოეულმა მათგანმა აგვისტოშივე მიიღო. მაშინ ორდენები ბუნდესფეხბურთელებს გერმანიის პრეზიდენტმა **ჰორსტ კიოლერმა** გადასცა, მაგრამ იმ ღონისძიებას კლინსმანი არ დაესწრო, გიჟური ერთი თვის შემდეგ სიმშვიდე მჭირდებაო. კლინსის გერმანიაში ჩაუსვლელობა აპატიეს. ახლა კი, შვიდი თვის შემდეგ, როგორც იქნა სამშობლოში ჩასვლა და დამსახურებული "ორდენის" წაღება გადაწყვიტა.

გერმანელები იურგენს არც ამის გამო უბრაზდებიან. 42 წლის უმუშევარი მწვრთნელი, რომელიც მუნდიალის შემდეგ ბუნდესგუნდის თავკაცის პოსტიდან თვითნებურად (მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყანა სთხოვდა, დარჩიო) გადადგა, ღირსების ორდენს არა პრეზიდენტ კიოლერისგან, არამედ თვით კანცლერ **ანგელა მერკელისგან** მიიღებს. ეს ბერლინში მოხდება. რატომ მერკელი, განა იურგენი განსაკუთრებული შემთხვევაა? არა, უბრალოდ კლინსის გერმანიის კანცლერთან ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს. გეხსომებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მერკელმა კლინსმანთან ერთად ივახშმა კიდეც, პორტუგალიის დამარცხების შემდეგ კი ანგელამ საქვეყნოდ ჩაიკრა გულში და თითქმის ერთი წუთი ასე ჰყავდა.

ფრაუ მერკელის გარდა, ექსბუნდესმწვრთნელი სამშობლოში კიდევ ერთ ქალს მოინახულებს - დედამის **მარტას,** შტუტგარტში. მერე კი ისევ კალიფორნიისკენ აიღებს გეზს. შეგახსენებთ, რომ ახალი სამსახური ჯერ არ უპოვია.

ლივერპული. ტრანსფერები

# ვორონინი ოთხი წლით

## ზენდენი შეიძლება ეინდჰოვენში დაბრუნდეს



ანდრეი ვორონინი

"ლივერპულმა" უკრაინის ნაკრების თავდამსხმელ **ანდრეი ვორონინთან** ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 27 წლის ფეხბურთელს "ლევერკუზენთან" კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდება და ინგლისს უკომპენსაციოდ მიაშურებს. ვორონინს ეროვნულ გუნდში 40 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ განსაკუთრებული შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის - მხოლოდ ხუთი გოლი. მას კარიერის უმეტესი ნაწილი გერმანიაში აქვს გატარებული. სხვადასხვა დროს ანდრეი "კიოლნის", "მაინცისა" და მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ღირსებას იცავდა. ვორონინის ლივერპულში ტრანსფერი იმას ნიშნავს, რომ **რობი ფაულერს** ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. უკრაინელ ახალწვეულს ძირითადში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება. ორ ადგილზე **დირკ კუიტი, კრეიგ ბელამი** და **პიტერ კრაუჩი** აცხადებენ პრეტენზიას. ვორონინის ტრანსფერი იმითაცაა ალსანიშნავი, რომ ის პირველი ფეხბურთელია, რომელსაც მერსისაიდელთა ამერიკელმა ბოსებმა გაუფორმეს ხელშეკრულება.

"ლივერპულიდან" მიღებული მეორე ინფორმაცია **ბუდევიინ ზენდენს** ეხება. ვეტერანი ჰოლანდიელი, შეიძლება, "ეინდჰოვენში" დაბრუნდეს. პსვ-ს თავკაცმა **რონალდ კუმანმა** ნახევარმცველს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. მწვრთნელს ეინდჰოვენელთა კიდევ ორი ყოფილი ვარსკვლავის, **ვილფრედ ბუმასა** და **მატეა კეჟმანის** გადაბირება სურს. ზენდენმა ჰოლანდიელ მიმომხილველებს განუცხადა, რომ კუმანის შეთავაზებამ ძალიან გაახარა, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილების მისაღებად მზად არ არის.

არსენალი. ტრანსფერები

# ვენგერის ამომავალი ვარსკვლავები

## მოსიე არსენი ტრადიციას არ ღალატობს და ყველასთვის უცნობ ფეხბურთელებს უმიზნებს

"ვილიარეალი" "არსენალის" სარეზერვო მეკარე **მანუელ ალმუნიათი** დაინტერესდა. ეს სიახლეა, რადგან აქამდე ცნობილი იყო, რომ "ყვითელ სუბმარინებს" ვეტერან **იენს ლემანთან** სურდათ კონტრაქტის გაფორმება. მოგეხსენებათ, ლემანი ივნისში თავისუფალი აგენტი ხდება. "ვილიარეალს" მისი წაყვანა ერთი ცენტიც კი არ დაუჯდებოდა. "არსენალს" იენსის შემცვლელად ალმუნია ჰყავდა შეგულებული. ახლა კი არავინ იცის, რა მოხდება. ესპანელთა ოფიციალური წარმომადგენელი ადასტურებს, რომ მანუელის შეძენა პრიორიტეტია. "ვილიარეალში" "არსენალის" ორი ყოფილი ფეხბურთელი - **რობერ პირესი** და **პასკალ სიგანი** ირიცხება.

"არსენალმა" **სამუელ ეტოოს** უმცროსი ძმა, **ეტიენი** მოიკითხა. ეტიენ ეტოო "მალიორკის" საკუთრებაა, მაგრამ იჯარით ქვედა დივიზიონის "ლა სალეში" თამაშობს. ორიოდე დღის წინათ ის აფრიკის 18-წლამდედთა ნაკრებში შეიყვანეს. აფრიკელი ყმაწვილები მერიდიანის თასზე ევროპელ თანატოლებს შეხვდებიან. "მეთოფეების" სკაუტები ამ შეხვედრას აუცილებლად დაესწრებიან. შესაძლოა, დრო გამონახოს **არსენ ვენგერმაც**. ხუმრობა ხომ არ არის: ევროპელთა გუნდში "არსენალის" ორი ახალგაზრდა - **არმან ტრაორე** და **ვოიცეხ შჩეზნი** ითამაშებენ.

მოსიე არსენის ყურადღება მალაგელმა თინეიჯერმა **პედრო ალკალამაც** მიიპყრო. მისი აგენტი კლიენტისთვის ძლიერ კლუბს ეძებს და დღეისთვის უკვე ორი გრანდისგან მიიღო სარფიანი წინადადება. "არსენალის" გარდა, ალკალა "რეალსაც" სურს. მართალია, ლონდონელთა შესაძლებლობები მადრიდელებისას ჩამოუვარდება, მაგრამ ვენგერს თითქმის არასოდეს უჭირს გრანდებისთვის იმედისმომცემი ფეხბურთელების წართმევა. "მალაგის" ხელმძღვანელობა შეშფოთებულია. ერთი თვის წინათ მათ კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავი **ფრანსისკო დურანი** დაკარგეს. ამ უკანასკნელმა "ლივერპულთან" გააფორმა ხელშეკრულება.

და კიდევ, "მეთოფეებს" ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი **ცვეტან გენკოვიც** სურთ. სოფიის "ლოკომოტივის" თავდამსხმელი მოწინავე ევროპულ ლიგაში გადასვლას აპირებს. იანვრის ტრანსფერების ბოლო დღეს გენკოვს "ლივორნოსთან" უნდა გაეფორმებინა კონტრაქტი, მაგრამ გადადებულმა ფრენამ კონტრაქტი ჩაშალა. ყმაწვილმა კი სულ ცხარე ცრემლებით იტირა.

### ზიდანი დაბრუნებაზე არაფერს ამბობს

როგორც გაუწყეთ, **ზინედინ ზიდანი** საქველმოქმედო მისიით ტაილანდში იმყოფება. შარშანდელი მუნდიალის შემდეგ მან პირველად მოირგო სპორტული ფორმა და პირველი მატჩი ჩაატარა. ქალაქ ჩიანგ მაის 20-ათასიან სტადიონზე ფრანგ ლეგენდას გამაყრუებელი ოვაციებით შეხვდნენ. ნამატჩევს ზიდანმა პრესკონფერენცია გამართა და ათეულობით კითხვას უპასუხა. ჟურნალისტები ყველაზე მეტად იმით დაინტერესდნენ, აპირებს თუ არა ზიზუ ფეხბურთში დაბრუნებას. ზინედინმა ამ კითხვას ორაზროვანი პასუხი გასცა: *"პენსიაში გასვლის შემდეგ ჩემთვის სრულიად ახალი სამყარო აღმოვაჩინე. ვერ აგიწერთ, როგორი კმაყოფილი ვარ, რომ დღეს ასეთ მატჩში მონაწილეობის საშუალება მომეცა."*

### რატომ დაიჩაგრა ვალენსიაში ტავანო?

"ვალენსიის" სპორტული დირექტორი **ამადეო კარბონი ფრანჩესკო ტავანოს** წარუმატებელ ესპანურ კარიერას მისი და მთავარი მწვრთნელის, **კიკე სანჩეს ფლორესის** კონფლიქტს უკავშირებს. ტავანო "ვალენსიაში" გასულ ზაფხულს გადავიდა. კარბონისა და ფლორესს შორის ცივი ომი იყო გაჩაღებული. იმ მოტივით, რომ თავდამსხმელი სპორტული დირექტორის ფავორიტი გახლდათ, მწვრთნელმა მას ზურგი შეაქცია. კარბონი: *"ტავანო მსოფლიოს საუკეთესო მეორე ფორვარდად მიმაჩნია. ის ჩემი და მწვრთნელის დაპირისპირების გამო დაიჩაგრა. ფრანჩესკო უფრო მეტ სათამაშო დროს იმსახურებდა."* იანვრის ტრანსფერებისას ტავანოს სამშობლოში მოუხდა დაბრუნება. ამჟამად ის ექვსთვიანი იჯარით "რომაში" ასპარეზობს.

### ამერიკელებმა განრიგი გამოაქვეყნეს

2 ივნისს ამერიკის ნაკრები ჩინეთთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. მატჩს კალიფორნიის შტატის ქალაქი სან ხოსე უმასპინძლებს. ეს იქნება ბოლო რეპეტიცია კონკაკაფის ოქროს თასისა (ტურნირს 6-24 ივნისს შეერთებული შტატები უმასპინძლებს) და კოპა ამერიკის წინ (სადაც ამერიკელები სტუმრის სტატუსით იასპარეზებენ). იქამდე, 25 მარტს, აშშ ფლორიდის ქალაქ ტამპაში ეკვადორს უმასპინძლებს, ხოლო 28 მარტს, ტეხასის ქალაქ ფრისკოში - გვატემალას.

### სელტიკს ნაკამურა გამოაკლდა

"სელტიკის" ნახევარმცველმა **შუნსუკე ნაკამურამ** ხელი მოიტეხა. იაპონელ ლეგიონერს უსიამოვნება შოტლანდიის თასის მეოთხედფინალში, ინვერნესთან მატჩისას შეემთხვა. ამ უქმეებზე გლაზგოელები შინ დანფერმლაინს უმასპინძლებენ, სამი დღის შემდეგ კი იტალიაში გაემგზავრებიან, რათა "მილანთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მერვედფინალი გამართონ. ამ თამაშებში ნაკამურას მონაწილეობის საკითხი დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა.

### არეულობა ბელგრადში

გასულ უქმეებზე სერბეთის ჩემპიონატში ბელგრადული დერბი გაიმართა. "ცრვენა ზვეზდამ" მოსისხლე "პარტიზანს" უმასპინძლა და 2:4 წააგო. ნამატჩევს სტადიონის მისადგომებთან მეტოქე ფანებმა ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს. პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა წესრიგის ალსადგენად ცრემლმდენი გაზი და ხელკეტები გამოიყენეს. არეულობათა შედეგად, სულ ცოტა, 13 ადამიანი დაშავდა. 27 გულშემატკივარი დააპატიმრეს. ამათგან ხუთს პატიმრობა ემუქრება. დაშავებულთაგან მხოლოდ ერთია მძიმე მდგომარეობაში. მას მაშხალა სახეში მოხვდა და თვალები დაუზიანა. მძიმე მარცხის მიუხედავად, "ცრვენა ზვეზდა" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია და მეორე ადგილზე მყოფ "პარტიზანს" ცხრა ქულით უსწრებს.

### რიბერი ისვენებს

"მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა **ფრანკ რიბერიმ** საშუალო სიმძიმის ტრავმა მიიღო. "ტულუზთან" ბოლო ტურის მატჩში (0:3) მან ბარძაყის კუნთი დაიზიანა. ექიმებმა ფეხბურთელს ორკვირიანი დასვენება გამოუწერეს.

### დარიო როდრიგესმა ნაკრები დატოვა

"შალკეს" ურუგვაელი მცველი **დარიო როდრიგესი** ეროვნულ გუნდს გამოეთხოვა. 33 წლის ოქტავიო დარიო როდრიგეს პენიას (მისი სრული სახელი ასე ჟღერს) სანაკრებო კარიერამ 7 წელს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მან 49 მატჩი ჩაატარა. ამათგან უკანასკნელი თბილისში, საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ურუგვაელებმა 0:2 დათმეს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა

# მეტი ვითამაშოთ და ნაკლები ვილაპარაკოთ


ნუგზარ სუარიძის ფოტო

ავიამშენი-აზოტი. ირაკლი ხოშტარია დავით ბერძენიშვილს დაუსხლტა

ირაკლი ბერიშვილი, კოტე ტულუში და... ირაკლი ხოშტარია მესამე კალათბურთელია, ვინც ტურის საუკეთესოდ მეორედ დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ მე-14 ტურში მაკაბელმა გიორგი შერმადინმა პირველობის რეკორდი დაამყარა (52 ქულა ჩააგდო), ჟურნალისტებმა ხოშტარია MVP-დ მაინც დაუფიქრებლად დაასახელეს. MVP ინგლისურად ასე განიმარტება: Most valuable player, რაც ქართულად ყველაზე მარგ მოთამაშეს ნიშნავს. ასეც იყო - ხოშტარიამ თანაგუნდელებს "აზოტთან" მატჩში გამარჯვება მოუტანა. ხოლო მარტო გიორგი შერმადინმა თსუ-ს ვერაფერი მოუხერხა - 97:111 დამარცხდა.

ამ ორ კალათბურთელზე ქვემოთ, ტურის საუკეთესო მოთამაშის, ხოშტარიას ინტერვიუში ვისაუბრებთ.

**- როგორ ფიქრობ, "აზოტის" დამარცხებისთვის საკუთარ თავს ზემოთ ახტომა ხომ არ მოგიწიათ?**

- ასე ნამდვილად არ ყოფილა. იანვრის შემდეგ რუსთაველებს ორჯერ მოვუგეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათთან თანაბრად თამაშიც შეიძლება და მოგებაც. შაბათს ჩვენი თამაში ვუჩვენეთ და ვერ ვიტყვი, რომ არაბუნებრივი ძალისხმევა დაგვჭირდა წარმატების მისაღწევად.

**- თავს ზემოთ ახტომაზე საუბრისას შემადგენლობებს ვგულისხმობდი. რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი გაკლდათ, ზოგიც ტრავმირებული გავიდა მოედანზე...**

- გეთანხმები. თასის ფინალის შემდეგ მხოლოდ ბოლო ორ ვარჯიშზე მოვახერხეთ ხუთიხუთზე თამაში. მანამდე ტრავმების გამო 10 კაცი ვერ ვიკრიბებოდით. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი მატჩისას 7-8 ისეთი კალათბურთელი ირჩევა, რომლებზეც შეხვედრის სიმძიმემ უნდა გადაიაროს. მაგრამ ამ შემთხვევაში ისე მოხდა, რომ ასარჩევი არავინ იყო - ვინც შევიკრიბეთ იმათ უნდა გვეთამაშა.

**- ბოლო ორ მატჩში "ავიამშენი" "აზოტს" ბოლო წუთებზე შენი აქტიურობის წყალობით ამარცხებს. რუსთაველთა ძლევის რამე ხერხი ხომ არ გაქვს?**

- ხერხი მარტივია - "აზოტის" დონის გუნდთან უნდა ეცადო, რომ მოედანზე მაქსიმალურად მობილიზებული გახვიდე. მატჩი სხვადასხვა კომპონენტებისგან შედგება. შეიძლება ერთში გაგიჭირდეს, მაგრამ თუ სათანადოდ ხარ განწყობილი, ერთიანობაში თამაში ცუდად არ გამოგივა.

**- თასის ფინალში დაცვის წყალობით იმარჯვეთ. ამჯერად უმთავრესად რომელი კომპონენტის წყალობით დაამარცხეთ "აზოტი"?**

- როგორც სახლის შენება იწყება საძირკველიდან, ასევე ყველა თამაში დაცვიდან იწყება. შეტევასთან შედარებით დაცვაში უკეთესად გამოვიყურებოდით. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იმაზე კარგად ვიჭერდით მეტოქეებს, ვიდრე თასის ფინალში. რუსთაველთა დამარცხება მათი მხრიდან შეტევაში უზუსტობამ განაპირობა, ბევრი ტყორცნა გააფუჭეს.

**- იყო მომენტები, როცა შეტევაში "ავიასაც" უჭირდა, მაგრამ კვანძს ხან შენ ხსნიდი, ხან - ნიკოლაძე...**

- თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი ქულა ჩავაგდე, მაგრამ ეს მთავარი ნამდვილად არ არის. მნიშვნელოვანია ის, რომ გუნდში ყოველთვის უნდა იყოს ისეთი კალათბურთელი, რომელიც თანაგუნდელებზე გარკვეულ ზეგავლენას იქონიებს, მეც, ნიკოლაძეც ყოველთვის ვცდილობთ გუნდური სული შევინარჩუნოთ, რადგან შემადგენლობა ერთ მუშტად თუ არ შეიკრა, წარმატებები არ მოვა.

**- მახსოვს შარშანდელი ნახევარფინალი სტუ-სთან. მას შემდეგ, რაც მეტოქე სერიაში 2:1 დაწინაურდა, სრულიად სხვა, ერთიანი "ავიამშენი" ვიხილეთ...**

- ამბიცია ყველას აქვს. პირველობა ნებისმიერ კალათბურთელს უნდა, მაგრამ მოთამაშე მაშინ ხარ, როცა პირად ამბიციას გვერდზე გადადებ და მხოლოდ გუნდზე იფიქრებ. სხვათა შორის, ეს იოლი განსახორციელებელი არ გახლავთ. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ესეც გამოცდილებასთან ერთად მოდის.

**- რას ნიშნავს გამოცდილება?**

- ამ სიტყვის ლინგვისტურ განმარტებას არ შევუდგები. მარტივად ვიტყვი: რაც კალათბურთელში პატარაობიდან იყო ჩადებული, გამოცდილების მატებასთან ერთად ვლინდება.

**- ამ ჩემპიონატში "ავია"-"აზოტის" ურთიერთდაპირისპირებაში ანგარიშია 1:2. ვინ მოიგებს რეგულარულ პირველობას?**

- ყველაფერს მეოთხე წრე გადაწყვეტს - რუსთავში ურთულესი მატჩი გველის. საკუთარ კედლებში "აზოტს" დიდი უპირატესობა ექნება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ უშანსოდა ვართ. მეტოქე გაორმაგებული ენერგიით შემოგვიტევს, ჩვენი უპირატესობა კი თავისუფალი, უკომპლექსო თამაში იქნება. ოღონდ თავისუფლებამ მოდუნება არ უნდა განაპირობოს.

**- ტელევიზიითაც თქვი, ნაკრების შესახებ ბევრს მეკითხებიანო. რას პასუხობ?**

- თუკი ვინმე თვლის, რომ სანაკრებო დონესთან ოდნავ მიახლოებულია, პირველ გუნდში მოხვედრა ყველას უნდა. წლების განმავლობაში ეროვნულში ვთამაშობდი, თუმცა დიდი ხანია არ გამოვუძახებივარ... ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანია ვითამაშო და ნაკლები ვილაპარაკო. დღეს ნაკრების შესახებ ბევრ საუბარს არ ვაპირებ, რადგან შეიძლება სხვანაირად გამოჩნდეს - ზოგმა იფიქროს ნაკრებში მოხვედრა უნდა და ამიტომ ლაპარაკობსო. მოვა დრო და ყველაფერზე დეტალურად ვისაუბრებ.

**- ფიქრობ, რომ ნაკრებში მოხვედრას იმსახურებ?**

- რას ვფიქრობ და რას არა, ამაზე არაფერს ვამბობ. თამაშს რაც შეეხება - ნაკრებისთვის ყოველთვის მზად ვარ.

**- ამ ტურში MVP-ს ტიტული გიორგი შერმადინს წაართვი. შენი აზრი მის შესახებ...**

- რაც აქამდე მინახავს, მათ შორის გიორგი ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა. თუმცა, სიტყვა "მასალას" ხმარება უკვე აღარ შეიძლება - გიორგი ძლიერ ცენტრად ყალიბდება. მასში ყველაზე მეტად პიროვნული თვისებები მომწონს. ხოლო მათ, ვისაც კარგი პიროვნული თვისებები ახასიათებთ, გაცილებით მეტის სწავლა შეუძლიათ. ბოლო ორ წელიწადში შერმადინმა სერიოზული პროგრესი განიცადა და ვფიქრობ, მზადაა, დიდ კალათბურთში შეაბიჯოს. საქართველოში დიდხანს გაჩერებამ უკვე შეიძლება დაამუხრუჭოს.

**- დაბოლოს, კითხვა, რომელიც დასაწყისში უნდა დამესვა: კოჭი კიდევ გაწუხებს?**

- თასის ფინალის წინ კოჭი საშინელ მდგომარეობაში მქონდა, მაგრამ მას შემდეგ გუნდმა ორკვირიანი დასვენების საშუალება მომცა და ტრავმა 90 პროცენტით მოშუშებული მაქვს. ამ საქმეში ხელი შემიწყო სუპერლიგის ხელმძღვანელობამაც, რომელმაც სასტუმრო "პრიმავერას" გამაჯანსალებელი ცენტრის საშვი გადმომცა. იქ მანამდეც დავდიოდი და ფეხს ვიშუშებდი.

**ვაჟა სიმონიშვილი**




### საქართველოს XVI ჩემპიონატი. V ტური

| | |
|---|---|
| თსუ-მაკაბი | 111:97 |
| სტუ-დინამო | 77:83 |
| ავიამშენი-აზოტი | 91:79 |

### საუკეთესო მაჩვენებლები

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქულა** | | | |
| 52 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 111:97 |
| **მოხსნა** | | | |
| 18 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ | 105:91 |
| **პასი** | | | |
| 12 | გიორგი დოლიძე | სტუ-მაკაბი | 96:85 |
| **ჩაჭრა** | | | |
| 7 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |
| **დაფარება** | | | |
| 6 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 111:97 |
| **შეცდომა** | | | |
| 13 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

### ქულა

| | | | თამაში | ქულა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 12 | 426 | 35.5 |
| 2 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 13 | 293 | 22.5 |
| 3 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 243 | 22.1 |
| 4 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 12 | 206 | 17.2 |
| 5 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 14 | 220 | 15.7 |
| 6 | კოტე ტულუში | აზოტი | 12 | 181 | 15.1 |
| 7 | დავით გვიმრაძე | დინამო | 9 | 135 | 15.0 |
| 8 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 13 | 184 | 14.2 |
| 9 | შიო ხეცურიანი | თსუ | 12 | 168 | 14.0 |
| 10 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 177 | 13.6 |
| 11 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 148 | 13.5 |
| 12 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 14 | 184 | 13.1 |
| 13 | ლუკა შანიძე | თსუ | 14 | 183 | 13.1 |
| 14 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 12 | 149 | 12.4 |
| 15 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 13 | 160 | 12.3 |
| 16 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 14 | 167 | 11.9 |
| 17 | ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 11 | 131 | 11.9 |
| 18 | დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 130 | 11.8 |
| 19 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 14 | 165 | 11.8 |
| 20 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 14 | 162 | 11.6 |
| 21 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 14 | 159 | 11.4 |
| 22 | ირა გულისაბედაშვილი | დინამო | 13 | 146 | 11.2 |
| 23 | ბუბა ბერიშვილი | თსუ | 13 | 145 | 11.2 |

### მოხსნა

| | | | თამაში | მოხსნა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 12 | 169 | 14.1 |
| 2 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 13 | 113 | 8.7 |
| 3 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 14 | 105 | 7.5 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 14 | 100 | 7.1 |
| 5 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 14 | 94 | 6.7 |
| 6 | დავით მაისურაძე | სტუ | 10 | 66 | 6.6 |
| 7 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 14 | 87 | 6.2 |
| 8 | ირაკლი ჯღერენაია | მაკაბი | 3 | 18 | 6.0 |
| 9 | თორნიკე ნინიაშვილი | ავიამშენი | 8 | 47 | 5.9 |
| 10 | პლასიდე როლუმტა | ავიამშენი | 10 | 57 | 5.7 |
| 11 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 13 | 70 | 5.4 |
| 12 | ჟურივეტ ტუჯანი | აზოტი | 12 | 64 | 5.3 |
| 13 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 12 | 63 | 5.3 |
| 14 | ლადო სუხიშვილი | ავიამშენი | 11 | 58 | 5.3 |

### პასი

| | | | თამაში | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი დოლიძე | მაკაბი | 14 | 91 | 6.5 |
| 2 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 12 | 76 | 6.3 |
| 3 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 78 | 6.0 |
| 4 | დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 57 | 5.2 |
| 5 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 52 | 4.7 |
| 6 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 49 | 4.5 |
| 7 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 12 | 52 | 4.3 |
| 8 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 12 | 50 | 4.2 |
| 9 | კოტე ტულუში | აზოტი | 12 | 50 | 4.2 |
| 10 | ალეკო ძიძიგური | სტუ | 4 | 16 | 4.0 |
| 11 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 14 | 56 | 4.0 |

### ჩაჭრა

| | | | თამაში | ჩაჭრა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 14 | 46 | 3.3 |
| 2 | ბუბა ბერიშვილი | თსუ | 13 | 33 | 2.5 |
| 3 | კოტე ტულუში | აზოტი | 12 | 30 | 2.5 |
| 4 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 27 | 2.5 |
| 5 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 31 | 2.4 |
| 6 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 13 | 28 | 2.2 |
| 7 | ირა გულისაბედაშვილი | დინამო | 13 | 27 | 2.1 |
| 8 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 14 | 28 | 2.0 |

### დაფარება

| | | | თამაში | დაფარება | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 12 | 30 | 2.5 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 14 | 16 | 1.1 |
| 3 | პლასიდე როლუმტა | ავიამშენი | 10 | 10 | 1.0 |
| 4 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 13 | 8 | 0.6 |
| 5 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 13 | 6 | 0.5 |
| 6 | ჟულივეტ ტუჯანი | აზოტი | 12 | 6 | 0.5 |
| 7 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 14 | 7 | 0.5 |
| 8 | კოტე ტულუში | აზოტი | 12 | 6 | 0.5 |
| 9 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 14 | 7 | 0.5 |

### შეცდომა

| | | | თამაში | შეცდომა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 12 | 78 | 6.5 |
| 2 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 14 | 67 | 4.8 |
| 3 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 14 | 67 | 4.8 |
| 4 | ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 14 | 57 | 4.1 |
| 5 | ირაკლი მაისურაძე | მაკაბი | 5 | 20 | 4.0 |
| 6 | გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 5 | 18 | 3.6 |
| 7 | გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 14 | 47 | 3.4 |
| 8 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 14 | 47 | 3.4 |
| 9 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 35 | 3.2 |
| 10 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 41 | 3.2 |
| 11 | ბუბა ბერიშვილი | თსუ | 13 | 39 | 3.0 |

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ბატუტზე ხტომა



ლუბა გოლოვინა

ინტერვიუ რუსუდან ხოფერიასთან

### გოლოვინასა და კოშკაძისგან

**თუკი** ბოლო ოლიმპიადებზე ქართულ ბატუტზე ხტომას მხოლოდ რუსუდან ხოფერია წარმოადგენდა, პეკინისთვის ორ ლიცენზიას ვგეგმავთ. თავად ხოფერია კი ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან ეცდება, რომ თანამემამულეები მის მიერ გაკვალულ ოლიმპიურ გზას გაუყენოს. დღეს, ჩვენი რესპონდენტი სწორედ რუსუდან ხოფერიაა, რომელიც წლევანდელ გეგმებზე გვესაუბრება.

- სეზონს მარტის ბოლოს ვხსნით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მსოფლიო თასის ეტაპებით. ამ შეჯიბრებებზე სამი სპორტსმენი მიგვყავს – ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე და ზურაბ ჭყონია. ახლა მათი საბუთებისა და ვიზების საქმეებს ვაგვარებთ. ყველაზე რთული კანადის ვიზის ალებაა, ამ ქყეყანას საქართველოში საელჩო არ აქვს და თურქეთიდან გვიწევს პრობლემის მოგვარება.

კანადისა და ამერიკის შემდეგ კი, ზაფხულში ანალოგიურ შეჯიბრებებზე გამოვალთ ბულგარეთსა და პოლონეთში, ხოლო წლის მთავარი ღონისძიება შემოდგომით, კანადაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატია, რომელზეც პეკინის ოლიმპიადის საგზურები გათამაშდება. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური საგზურები მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატზე დარიგდება, სხვა სალიზენციო ტურნირები არაა.

**- რა სისტემით თამაშდება ოლიმპიური ლიცენზიები?**

- პეკინის ოლიმპიადაზე ბატუტზე ხტომას 16 ადგილი აქვს. აქედან, ერთი საგზური, ე.წ. უაილდ ქარდი ეძლევა ტანვარჯიშის სახეობათა და ერთიც მასპინძელ ქვეყანას, ჩინეთს. დანარჩენი 14 ლიცენზია მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდება.

**- რამდენ ოლიმპიურ ლიცენზიას გეგმავთ?**

- ჩვენი მიზანია ორი საგზური – ერთი ქალებში და ერთიც კაცებში. ამ დროისთვის, პირველი ნომრები არიან ლუბა გოლოვინა და თენგიზ კოშკაძე. შესაბამისად, ყველაზე მეტად მათი გვეიმედება. ეს განსაკუთრებით გოლოვინაზე ითქმის, რომელიც ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია. თუმცა, უფროსებში წლეულს გადმოვიდა და თავიდან, ალბათ ცოტა გაუჭირდება. ამას გარდა, რა თქმა უნდა, თავის გამოჩენის შანსი მეორე ნომრებსაც მიეცემათ. მაგალითად, თუკი ჩვენი ფინანსები იმის საშუალებას არ მოგვცემს, რომ სოფო გულიაშვილი მსოფლიო თასის რომელიმე ეტაპზე გავუშვათ, მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც წავიყვანთ.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე დიდ როლს ითამაშებენ მსაჯები. მზად ხართ ამ პრობლემასთან საბრძოლველად?**

- მსაჯებზე მართლაც ბევრი რამაა დამოკიდებული და ვიმედოვნებ, ამ კუთხით პრობლემები არ გვექნება. საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯის გარეშე რომ წახვიდე, ჯარიმა არ აგცდება. მე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვარ და კანადაში საქართველოს სახელით ვიმსაჯებ. თუმცა, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რა კატეგორიის არბიტრობა დამეკისრება – ეს წილისყრაზეა დამოკიდებული. ყველაზე კარგი, რაღა თქმა უნდა, ის იქნება, თუ ტექნიკურ, ანუ ქულების დამწერ მსაჯთა ჯგუფში მოვხვდები.

**- წინა წლებში, ქრონიკულად გაწუხებდათ სათანადო პირობების არქონა. ახლა როგორაა საქმე?**

- საბედნიეროდ, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ტანვარჯიშის ფედერაციასთან არსებული დარბაზი, რომელსაც ახლა სპორტული ცენტრი "სანაპირო" ეწოდება, გარემონტდა და იქ მშვენიერი პირობებია. ინვენტარიც გვაქვს და მოგვარდა გათბობისა თუ შუქის პრობლემაც. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამჟამად, ლუბა გოლოვინა ბულგარეთშია შეკრებაზე, ამ დღეებში დაბრუნდება და ჩვენს დარბაზში განაგრძობს სამზადისს.

**კობა ხატისაშვილი**

## მორის სახვაძე 70 წლისაა

### ემსახურება სულითა და გულით...



**ზოგი** პირველობას იჩემებს და ცრუ სიამაყით მოაქვს თავი, ზოგი იმდენად თავმდაბლობს, მისი ღვაწლისა და ღირსების შესახებ ფართო საზოგადოება სრულად არაა ინფორმირებული. სწორედ ასეთ კაცს შეუსრულდა დღეს, 28 თებერვალს, დაბადებიდან 70 წელი.

13 წლისა იყო **მორის სახვაძე** ტრიფონ მესხთან რომ მიიყვანეს. გამოცდილი მწვრთნელის თვალსა და გუმანს, ცხადია, არაფერი გამოეპარებოდა. ყმაწვილში ინტელიგენტურობასაც შენიშნავდა, ჭეშმარიტ მუშკეტერს რომ ამშვენებს. სპორტული მონაცემები თავისთავად.

თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, სადაც სწავლობდა, რჩეულთა შორის იყო სასკოლო სპორტული ცხოვრებით. მოზარდებს არჩევანის მართლაც დიდი შესაძლებლობა ჰქონდათ, თუ სპორტის რომელ სახეობას გაჰყოლოდნენ დიდი სარბიელისკენ მიმავალ გზაზე. მორისმა ფარიკაობა ამოიჩრა გულში. **ტ. მესხმა**, როგორც ჩანს, მოზარდში შინაგანი გულისხმაც ამოიცნო.

მორისი: *"დიდხანს არ დაუგვიანი პირველ წარმატებას. შეჯიბრებები ნამდვილად არ გვაკლდა. გავხდი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. მერე, კერძოდ, 1960, 1962, 1964 წლებში სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონობა მოვიპოვე, 1964 წელს ქვეყნის პირადი პირველობაც მოვიგე, 1963 წელს სსრ კავშირის თასი"...*

და აი, ის, რითაც დავიწყეთ თხრობა - საქართველოს სსრ კავშირის პირველი ქართველი სპორტის ოსტატი მოევლინა ხმლით ფარიკაობაში.

სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. ამ წოდებას ვინც მიიღებდა, უკვე სულ სხვა კაცი იყო - ნაღდი სპორტსმენი, რაინდი...

სპორტული ზეობის წლებში მორისი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. წარჩინებული სტუდენტი იყო. მოგვიანებით კი დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიც, რაც იმას ნიშნავდა, რომ სპორტს საბოლოოდ დაუკავშირა თავისი მომავალი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმ პერიოდს, როცა მორისი ჯერ კვლავ საფარიკაო ბილიკზეა. მყარად მოიკიდა ფეხი სსრ კავშირის ნაკრებში. წარმატებით ასპარეზობს საერთაშორისო ტურნირებში - იმარჯვებს ვარშავაში, ბერლინში, მშობლიურ თბილისში, "დინამოს" გუნდის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის მესამე პრიზიორია.

როგორც სპორტსმენმა, თვრამეტი წელიწადი იტრიალა საფარიკაო სამყაროში. ხარბად, ღრმად წვდებოდა ყველა საიდუმლოს. უბრალოდ, სხვაგვარად არ შეეძლო. და არა იმიტომ, რომ თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, სამუდამოდ შემორჩენოდა ამ სამყაროს.

მორისი: *"პოლიტექნიკური, რომ დავამთავრე, იყო სპეციალობით მუშაობის კარგი პერსპექტივა. მთავაზობდნენ, გავყოლოდი მეცნიერებას, მაგრამ... ხომ იცით, სპორტი სულ სხვაა. 1969 წელს თბილისში ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების საფარიკაო სკოლის ინსტრუქტორობაზე დავთანხმდი. ფაქტობრივად, ყველაფერი ამით გადაწყდა. კმაყოფილი ვიყავი შინაგანად, რომ ისევ სპორტსა და ჩემს საყვარელ სახეობას ვემსახურებოდი"...*

სპორტულ სკოლაში 1973 წლამდე იმუშავა. იქიდან, ნიჭიერი ახალგაზრდა საქართველოს სპორტკომიტეტში მიიწვიეს სახელმწიფო მწვრთნელად. მაშინ, ეს დიდი თანამდებობა იყო, ძალიან დიდი - პირველკაცობა რესპუბლიკის საფარიკაო სამყაროში. შემდეგ, იქვე, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე გადაიყვანეს. ცვლილება სტრუქტურაში მოხდა, თორემ სტატუსს არაფერი დაკლებია. ნდობა მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვდა. სწორედ იმ პერიოდში სწავლობდა საქმიანობის პარალელურად ფიზკულტურის ინსტიტუტში.

მორისი: *"საქართველოს სპორტკომიტეტში სრული 15 წელიწადი დავყავი. მერე გადავედი სსრ კავშირის პროფკავშირების სპორტის მთავარ მწვრთნელად საქართველოში, სადაც ვიმუშავე 1988-1992 წლებში".*

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირში დიდი პოლიტიკური ცვლილებები ხდება. საქართველომ თავისუფლება მოიპოვა. იქმნება დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციები. მორის სახვაძეს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ირჩევენ, ოთხი წლის შემდეგ კი გენერალურ მდივნად, სადაც დღემდე მუშაობს.

პიროვნული თვისებები, ინტელიგენტურობა, რამდენიმე უცხო ენის ცოდნა, იმთავითვე თავისთავად იქცა ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციასთან ახლო და აქტიური თანამშრომლობის სავიზიტო ბარათად. მსაჯობდა ოლიმპიურ თამაშებს მოსკოვში, ბარსელონაში, ატლანტაში, საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის დელეგატად იყო მივლინებული ათენის ოლიმპიადაზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე: საუთ ბენდში (აშშ), სეულში (კორეა), გდანსკში (პოლონეთი), ტენერიფეში (ესპანეთი), პარიზში (საფრანგეთი), ლაიპციგში (გერმანია), შო დე ფონში (შვეიცარია), ლისაბონში (პორტუგალია), ჰავანაში (კუბა), ანთალიაში (თურქეთი), ათენში (საბერძნეთი); A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებზე მსოფლიოს 20 ქალაქში. ახლახან, იუნიორთა მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატიდან დაბრუნდა.

ასეთი შთამბეჭდავი აღიარება და ნდობა საქართველოს სპორტში ჯერ არავის რგებია. დაგვეთანხმებით, სწორედ ასეთ ფაქტს: გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ესადაგება - პირველი! 1992 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ ოთხჯერ აირჩიეს საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრად. მეოთხე ვადა 2008 წელს ეწურება. მორისი ამ სტატისტიკითაც პირველია საქართველოში.

კიდევ რამდენიმე შტრიხი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უცვლელი წევრია ამ ორგანიზაციის დაფუძნებიდან. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია ფარიკაობის სამივე პროგრამაში - აქაც პირველი! არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი..

ზოგი საქმისთვის ასაკი და გამოცდილება არა თუ ზედმეტია, პირიქით, ამშვენებს კიდეც, თან პიროვნებასაც გააჩნია. დღეს უკვე 70 წლის მორის სახვაძე სწორედ ასეთი პიროვნებაა.

**თენგიზ თომაშვილი**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ვეტერან მოფარიკავესა და სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, **მორის სახვაძეს.**

## სპორტული ტანვარჯიში

### ილია გიორგაძე, მინიმუმიც და მაქსიმუმიც

**შემოდგომით**, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლა პიკს მიაღწევს. სალიცენზიო შეჯიბრებები, ძირითადად, სწორედ შემოდგომიდან იწყება, მათ შორის - სპორტულ ტანვარჯიშშიც. თუკი ტანვარჯიშის სხვა სახეობების წარმომადგენლები მინიმუმ ერთ ლიცენზიას გეგმავენ, სპორტულში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ბესიკ გამსახურდია მიიჩნევს, რომ რეალურად ერთი ლიცენზია მინიმუმიც იქნება და მაქსიმუმიც. აბა, ვინ იქნება ამ ერთი საგზურის მოპოვების კანდიდატი, თუ არა ისევ გამოცდილი ილია გიორგაძე, რომლისთვისაც ასაკის გამო, პეკინის ოლიმპიური თამაშები მეოთხე და ალბათ, უკანასკნელი ოლიმპიადა იქნება. ტანმოვარჯიშის გეგმებზე გვესაუბრება ბესიკ გამსახურდია.

- 16 მარტს პარიზში მივემგზავრებით, სადაც ილია გიორგაძე მსოფლიო თასის ეტაპზე იასპარეზებს. ეს იქნება სეზონის პირველი შეჯიბრება. შემდეგ მოდის აპრილში, ამსტერდამში გასამართი ევროპის ჩემპიონატი, ხოლო 23-26 მაისს, მოსკოვური მსოფლიო თასი გვაქვს. წლის მთავარი ღონისძიება, რაღა თქმა უნდა, სექტემბერში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება.

**- რამდენი ლიცენზიის მოპოვებას გეგმავთ?**

- რეალობას რომ თვალი გავუსწოროთ, ამჟამად, პეკინის საგზურის მოპოვების კანდიდატი მხოლოდ ილია გიორგაძეა. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ღონისძიებაზე, მხოლოდ მე და ილია გიორგაძე წავალთ. მართალია, რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდაც გვყავს, მაგრამ მათ მხოლოდ 2012 წლის ოლიმპიადისთვის თუ მოვამზადებთ, ახლა კი გიორგაძე უკონკურენტოა.

რაც შეეხება ოლიმპიური საგზურის მოპოვებას, ამის რამდენიმე გზა არსებობს. აქედან, ყველაზე რეალური ის არის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, მრავალჭიდში ილია გიორგაძე 24 საუკეთესოს შორის მოხვდეს. ასეთ შემთხვევაში, იგი ავტომატურად გაინაღდებს ოლიმპიურ ლიცენზიას.

**- მოსამზადებელ ეტაპს მთლიანად საქართველოში გაივლით?**

- ჯერჯერობით, თბილისში ვვარჯიშობთ, ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის დარბაზში. მომავალში კი ვნახოთ, ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ერთი კარგი შეკრება აუცილებლად დაგვჭირდება.



ილია გიორგაძე

**კობა ხატისაშვილი**

## თერილი



**ხახალეიშვილი დავით.** დაიბადა 28.02.1971, ქუთაისი. ძიუდო (+95 კგ). 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (1993) და სამგზის მესამე (1991, 93, 95) პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1993 - +95 და აბსოლუტური, 1996) და მესამე პრიზიორი (1990), სსრკ (1991), სსრკ ხალხთა X სპარტაკიადის (1991) და დსთ-ის ჩემპიონი (1992). 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში აწონვაზე დაგვიანების გამო მოხსნეს შეჯიბრებიდან. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში (1996, 97). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

სპორტის აკადემია

№2 (38)
თებერვალი
2007

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რეფორმა არა მხოლოდ ზემოდან...

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია წინ მტკიცედ მიიწევს განათლების რეფორმის გზაზე, ცხადია, სასწავლებლის პროფილის გათვალისწინებით. სულაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ აკადემიის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ეს პროცესი ნაკლებადაა პრობლემური. უფრო პირიქითაა, მაგრამ სპორტული მიზანდასახულობით, აქ მომუშავე კადრები ეტაპობრივად სასურველ შედეგს აღწევენ.**

**მაინც, როგორ მიდის პროცესი და როგორ ვლინდება კონკრეტულ საქმეებში რეფორმა, რა არის მიღწეული და რა მისაღწევი? პასუხს ამ და სხვა შეკითხვებზე იძლევა აკადემიის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვასილ ბაკაშვილი.**

**- ბატონო ვასილ, მიმდინარე სასწავლო წელს აკადემია მთელი რიგი სიახლეებით შეეგება, რისთვისაც დიდი შრომა გასწია მთელმა კოლექტივმა ახალი რექტორის, პროფესორ ჯემალ გუგუშვილის ხელმძღვანელობით. მთავარ სიახლეებზე გვინდა გაამახვილოთ ყურადღება...**

- დავიწყოთ იმით, რომ ყველაფერში ვხელმძღვანელობდით და ვხელმძღვანელობთ "კანონით უმაღლესი განათლების შესახებ". ამოსავალი წერტილია განათლების რეფორმის სამართლებრივი უზრუნველყოფა. კანონით გათვალისწინებული ვადები მკაცრად დავიცავით. ქვეყანაში პირველები ჩვენ ვიყავით, სადაც განსაზღვრულ პერიოდში ჩატარდა წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოებისა და რექტორის არჩევნები.

ახლა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა კონკრეტულად. პირველ სემესტრში სასწავლო საგნების მიხედვით განახლდა სალექციო ტესტები. შემუშავდა საგამოცდო ბილეთების ახალი ფორმა. გამოცდებს ახლა ორ-ორი გამომცდელი იბარებს - სალექციო კურსის წამყვანი დამხმარე პედაგოგთან ერთად. ყველა ამჩნევს, როგორ ამაღლდა აკადემიაში საერთო დისციპლინა, როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა შორის. ერთიანი სპორტული ფორმა უფასოდ დაურიგდათ კათედრების იმ მასწავლებლებს, რომლებიც ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს სტუდენტებთან. ეს არის რექტორის კეთილი ნების გამოვლენა საერთო ეკონომიკური ხელმოკლეობის ფონზე. რეფორმა კათედრების, ფაკულტეტების დოკუმენტაციის ერთ სისტემაში მოქცევასაც ითვალისწინებს, ამ მიზნით ჩატარდა მონიტორინგი.

**- მაგრამ, სხვაც ბევრი რამ გაკეთდა...**

- ისევ მთავარზე შევჩერდები. ხედავთ, როგორ განახლდა აკადემიის ინტერიერი, აუდიტორიები, მოწესრიგდა სასწავლო-სპორტული ბაზები, მინიფეხბურთის მოედანი მწვანე ხელოვნური საფარით დაიფარა. მთელ პერიმეტრზე ამ მოედნიდან აკადემიის კორპუსამდე დამონტაჟდა განათება. ფეხბურთის დიდ არენაზე დაიგო ახალი საფენი, დაითესა ბალახი, საბოლოოდ გამოირიცხა ამ სარბიელზე ქაოსი, შემთხვევითი ხალხი იქ ველარ მოხვდება. ახლა კი, რასაც გეტყვით, ჯერჯერობით არც გაკეთებულ საქმეებში და არც შორეულ პერსპექტივაშია ჩასათვლელი, მალე უფრო, ალბათ, აქტივში მივითვლით - მთავრდება მძლეოსნობის კათედრის განახლება-რეაბილიტაციის სამუშაოები. ყველაფერი იქნება უმაღლეს დონეზე - გასახდელითა და სველი წერტილებით დაწყებული, აუდიტორიით დამთავრებული. დამუშავების პროცესშია სასწავლო-მეთოდური მითითებები, რომელიც სტამბური წესით გამოიცემა. ხარისხის სამსახურთან მჭიდრო ურთიერთობით მოსალოდნელია ცვლილებების შეტანა, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მუშაობს სფეროებში. ერთი სიახლეცაა: იგეგმება ინტერნეტის ქსელში სალექციო ტექსტების განთავსება.

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

## მეგობრობა გზად და ხიდად...

### საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია მჭიდროთ თანამშრომლობს უკრაინასთან

გოლო წლებში, აკადემია აქტიურად თანამშრომლობს უკრაინის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უმაღლეს სასწავლებლებთან. ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ, გაღრმავდა მეგობრობა, რაც ამ ქვეყნების პრეზიდენტების დამსახურებაა.

2005 წლის სექტემბერში კიევის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეროვნულ უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი ჩვენი აკადემიის დელეგაციის მონაწილეობით, რასაც მოჰყვა ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება. აღსანიშნავია, რომ კიევის სპორტის უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში გახლავთ წარმოშობით საქართველოდან - **ვიტალი კაშუბა.** ჩვენი მჭიდროდ თანამშრომლობა გამოიხატება სასწავლო პროგრამების, გეგმების გაცვლაში, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაში. ესაა აგრეთვე სტუდენტთა და ასპირანტთა კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც პირადად მეც გავიარე. შარშან კი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაშიც ვმონაწილეობდი. ჩვენი აკადემია აქტიურად თანამშრომლობს აგრეთვე უკრაინის ქალაქ დონეცკში არსებულ "ჯანმრთელობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტთან". ამ ინსტიტუტში 2005 წელს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი უკრაინაში საქართველოს წლისადმი. უკრაინაში, ჩვენს აკადემიას მე წარმოვადგენდი. თანამშრომლობა გრძელდება. სულ მალე, ამ ინსტიტუტში გაიმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დონეცკის 75 წლის იუბილესადმი. ჩვენი აკადემიის პროფესორ-მასწავლებლების მიწვევა უკვე მიღებულია.

რამდენიმე დღის წინათ უკრაინაში არსებულ ჩვენ მეგობარ სასწავლებელთა რიცხვს შეემატა უკრაინის ქალაქ ლვოვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტი, საიდანაც მივიღეთ თხოვნა თანამშრომლობის შესახებ სასწავლო და სამეცნიერო დარგში. ინვევენ ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს მარტსა და აპრილში გასამართ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. აქვე ვიტყვი, რომ ანალოგიური კავშირები საქართველოს აკადემიას აქვს მსოფლიოს სხვა ქვეყნების სპორტის უნივერსიტეტებთან. მომავალში კი ეს კავშირები უფრო გაფართოვდება.

**კახა ხარიტონაშვილი,**
პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

# ილია მეორე აკადემიის საპატიო დოქტორი

**როგორც ადრე ვწერდით, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის სტუმრობისას გამოცხადდა, რომ პატრიარქს მიენიჭა საქართველოს სპორტის აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება**

**უწმინდესის დაბადების 74 წელთან დაკავშირებით, საპატრიარქოში გამართულ მიღებაზე მიწვეული იყო აკადემიის წარმომადგენლობითი დელეგაცია რექტორის, პროფესორ ჯემალ გუგუშვილის ხელმძღვანელობით. რექტორმა სწორედ იმ დღეს გადასცა პატრიარქს საპატიო დოქტორის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობა.**





## მეცნიერება და სპორტი

# ...მაგრამ მე უფრო ძლიერი მინდა...

საზოგადოების წინსვლის, განვითარების, პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, განმსაზღვრელი ფაქტორი მეცნიერებაა. ეს საკამათო არაა, amიტომაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში საერთოდ მეცნიერების, სახელდობრ კი დარგობრივი მეცნიერების განვითარებას უდიდესი ყურადღება ექცევა.

სპორტი, როგორც ადამიანური ქცევის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ფორმა მრავალწახნაგოვანი, რთული წარმონაქმნია, რის გამოც მას მრავალი მეცნიერება შეისწავლის. მათ შორის ფსიოლოგიას, პედაგოგიკას - ფიზიკური აღზრდის თეორიასა და მეთოდიკას გამორჩეული ადგილი უკავია. ამ მეცნიერებების გარეშე სპორტსმენის, როგორც პიროვნებისა და ათლეტის აღზრდა შეუძლებელი იქნებოდა. სპორტის შემსწავლელ ქართველ მეცნიერებს წარმატებები უდავოდ გააჩნიათ. კვლევის შედეგები გამოაქვთ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სამეცნიერო კონფერენციებზე, ხოლო მეთოდური ხასიათის შრომები მოისმინება მეთოდურ კონფერენციებზე, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება აკადემიაში. ეს მასალები იბეჭდება აკადემიის შრომათა კრებულში, რისი არსებობის შესახებაც, სამწუხაროდ, იცის მხოლოდ კრებულში დაბეჭდილ სტატიათა ავტორებმა, ფართო საზოგადოებრიობა კი მას არ იცნობს. ამიტომ მივესალმებით აკადემიის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებას ფართო ასპარეზი მისცეს კრებულს. როგორც შევიტყვეთ, ნაშრომები 20-მდე უცხოეთის ქვეყნებშიც დაიგზავნება. სამწუხაროა, რომ პრესის პუბლიკაციებზე, ვისაც ეხება, არ რეაგირებს, რეკომენდაცია-წინადადებები უყურადღებოდ რჩება.

ვესაუბრე ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკსა და ზოგიერთ სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელობას ქართული სპორტის რიგ აქტუალურ პრობლემასა და მათი აღმოფხვრის ჩვენეულ ხედვაზე. ისინი შეთავაზებებს გაგებით შეხვდნენ, მაგრამ, რეალურად, არც ერთ მათგანს "თითი თითზე არ დაუკარებია". გამოდის, რომ ქართული სპორტის სასიკეთო შემოთავაზებებით არავინაა დაინტერესებული

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

## კარატე

### ოქრო ორი, ბრინჯაო - ერთი და გუნდური პირველობა

ჰოლანდიაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია კიოკუშინკაი კარატეში სპორტის აკადემიის სამკაციანმა გუნდმა, რომელიც შინ გუშინ დაბრუნდა. ოქროს მედალს დაეუფლნენ ლაშა ხაჭაპურიძე (70) და ედუარდ ჯანუაშვილი (აბსოლუტური), მესამე ადგილი ხვდა წილად რატი ნითელაძეს (80). გუნდურ ჩათვლაში ჩვენები უძლიერესები იყვნენ. საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა ლაშა ხაჭაპურიძეს.

# ბადროს ტყორცნის განვითარების ისტორია საქართველოში

"ანტიკური სამყარო კარგად იცნობს ქართული ტომების წარმომადგენლებს, როგორც მოწინავე ათლეტებს, იდეალური ფიზიკური განვითარების მებრძოლებს, არანაკლები განვითარების ამაზონელ ქალებს, რომლებიც უძველესი დროიდან მისდევდნენ ტანვარჯიშობას. ბერძნულმა ლეგენდებმა საქართველოს მთიანეთის მკვიდრებად მოიხსენიეს ეს ადამიანები. ავტორებმა ჩათვალეს, რომ ასეთი საოცრად გავარჯიშებული ქალები და მამაკაცები ისეთი სპორტული კულტურის ქვეყანაში უნდა გაზრდილიყვნენ, როგორც საქართველო იყო" (ა. ცაბაძე, "ოლიმპიზმი საქართველოში", 1996 წ.).

"ძველ საბერძნეთში სხვადასხვა ფორმისა და წონის ბადროს ტყორცნიდნენ სპეციალურად შემაღლებული ქვის ფილიდან, წინასწარი გაქანების შემდეგ ქვემოდან წინ, ბრუნისგარეშე" (ნ. ლობჟანიძე "ბადროს ტყორცნა", 1974 წ.).

თანამედროვე საქართველოში ბადროს მტყორცნელი მამაკაცებიდან მაღალი შედეგებით გამოირჩეოდნენ: გ. ჩადუნელი, ნ. ნაზლაიძე, რომელმაც ბადრო 60-მეტრიან ზღვარს გადააცილა და ბოლოს გ. გუდაშვილი, მექსიკის 1968 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე და საქართველოს რეკორდსმენი (62.80).

ბადროს მტყორცნელი ქალების ისტორია უფრო მდიდარია. საქართველოს მსოფლიოში სახელი გაუთქვა განუმეორებელმა ნინო დუმბაძემ - მსოფლიო რეკორდსმენმა, რომელმაც ათეულობით რეკორდი გააუმჯობესა საქართველოს,

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

## დედისა და ქალთა დღეს მიეძღვნება

**2 მარტს, 12 საათზე აკადემიაში გაიმართება დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. ორგანიზატორებია აკადემიის რექტორი და ქალთა საბჭო.**

### მომდევნო გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. აფრიკა, 4. ფიფა, 9. კუცი, 10. ჯაფარიძე, 12. იუტა, 14. ციგა, 16. ფალავანდიშვილი, 17. ბობი, 18. რავა, 22. მანძილი, 23. კანდელაკი, 24. დერბი, 26. რაი, 28. ტრავმა, 29. ისარი, 30. ალი.

შვეულად: 2. ფია, 3. კარავი, 5. ფეი, 6. ბუცი, 7. ბიბა, 8. ეტლი, 11. ფალავანი, 13. ლი, 14. ციბაძე, 15. გაბელია, 16. ფარიკაობა, 19. ჰერტა, 20. ტატამი, 21. შიდო, 22. მარულა, 25. იური, 26. რომა, 27. ირბი.

სპორტის აკადემია

# რეფორმა არა მხოლოდ ზემოდან...

ნინა გვერდიდან

**- პირველი სემესტრის შედეგები თუ შეაჯამეთ?**

- წინასწარი შედეგები, ცხადია, ცნობილია. სრული ანალიზისთვის ჯერ კიდევ დროა საჭირო.

**- რამდენადაც ვიცით, ახალი მოთხოვნების გათავისება სტუდენტებს ჯერ კიდევ უჭირთ. ვთქვათ, სტუდენტმა გამოცდა ვერ ჩააბარა. რა ელის მას ახალი წესით?**

- მეორედ გავა გამოცდაზე, რექტორმა აქაც გამოიჩინა კეთილი ნება და სტუდენტებს უფლება მისცა მეორედ, საჯარიმო საფასურის გადაუხდელად გავიდნენ გამოცდაზე, მეტიც, კიდევ ერთი დამატებითი ცდის ნებაც დართო. როგორც ხედავთ, თითოეულ სტუდენტს დადებითი შეფასების მიღების სამი შესაძლებლობა ეძლევა... ამიტომ ვთქვი, რომ საერთო შედეგების შესაჯამებლად დროა საჭირო. ჯერ კათედრებზე მიმდინარეობს განხილვა.

**- უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?**

- ჩართული ვართ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შრომების გამოცემის აღდგენის პროცესში. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. წელიწადში ორი კრებულის გამოცემა ივარაუდება. გამოცემა 20-მდე ქვეყანაში დაიგზავნება. ეს ჯერჯერობით. თქვენ იცით, რაოდენ მაღალია ჩვენი სასწავლებლის ავტორიტეტი, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე უცხოეთში. სამომავლოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ივარაუდება გარკვეული ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. ეს, ცხადია, შეეხება სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. მოწესრიგდება აგრეთვე საკრედიტო ნორმები. საგრძნობლად გადახალისდება სანწავლო საგნები, გარკვეულწილად შემცირდება საგნებიც, ოღონდ მომავალი სასწავლო წლიდან.

**- განათლების სისტემის რეფორმის კვალობაზე, აკადემიაში შეიქმნა საგარეო ურთიერთობის სამსახური. რას ითვალისწინებს ეს სიახლე?**

- ძირითადი ამოცანაა კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთ ჩვენი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან. ზოგიერთ მათგანთან, მაგალითად, უკრაინის, პოლონეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების სასწავლებლებთან ადრეც გვქონდა ურთიერთობა, რასაც ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე, უფრო გავაღრმავებთ. მემორანდუმები გაფორმდება აგრეთვე თვით ქვეყნის შიგნით ცალკეულ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან, განსაკუთრებით კვლევის სფეროში. თანამშრომლობა ორმხრივ სასარგებლო პრინციპზე აიგება.

**- ბევრს ლაპარაკობენ მისაღებ გამოცდებში ცვლილებებზე. ეხება თუ არა ცვლილებები სპორტის აკადემიას და თუ ეხება, კერძოდ, რა კუთხით?**

- ჯერ ის ვთქვათ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ვადები გადმოწეულია და 2 ივნისს იწყება. ვინაიდან ჩვენ სპეციფიკური სასწავლებელი ვართ, რაც მაპროფილებელი ნორმატივების ჩაბარებას გულისხმობს, ვალდებულნი ვართ, ნორმატივების მიღება დავიწყოთ აბიტურიენტებისგან გაცილებით ადრე, ვიდრე ეს იყო უწინ.

**- უშუალოდ ნორმატივებში ხომ არაა შეტანილი ცვლილებები?**

- არის და ძალიან მნიშვნელოვანი.

**- კერძოდ?**

- ადრე ნორმატივები ბარდებოდა ორი განხრით - სპეციალურ და საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ახლა ერთი იქნება მხოლოდ - გამოცდა საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ამასთან, სტუდენტი შესაბამისი ქულების მიხედვით ჩაირიცხება კონკრეტულ სპეციალობაზე, რომელსაც ის თავიდან მიუთითებს და აღარ ექნება არჩევანის შესაძლებლობა.

**- წლეულს რამდენი აბიტურიენტის ჩარიცხვა ივარაუდება?**

- კონტინგენტი გაიზარდა. აკრედიტაციის საფუძველზე უფლება გვეძლევა, მივიღოთ 537 სტუდენტი, რაც შარშანდელზე გაცილებით მეტია.

**- მაინც რამდენით?**

- შარშან 380 ადგილი გვქონდა დაგეგმილი.

**- სტუდენტთა გადასვლა-გადმოსვლა ერთიდან მეორე უმაღლეს სასწავლებელში და სპეციალობის შეცვლა ყოველთვის იყო პრაქტიკაში. კანონი ახლა რას ითვალისწინებს?**

- სტუდენტთა უფლებები დაცულია, მაგრამ მკაცრადაა რეგლამენტირებული.

**- კვოტებს გულისხმობთ?**

- არა, კვოტა, საერთოდ არ არსებობს. კვოტა ახლა ის არის, რამდენი ადგილიც გამოთავისუფლდება კონკრეტულ სასწავლებელსა და ფაკულტეტზე.

**- იყო ასეთი შემთხვევა?**

- როგორ არა. ჩვენთან სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოვიდა ორი სტუდენტი. ერთი მათგანი ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდან, მეორე - თბილისის მართვისა და ეკონომიკის ინსტიტუტიდან. ორივე ჩვენი აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელებს სწავლას. გადასვლა-გადმოსვლის მსურველთა რიცხვი დიდია, მაგრამ გართულებულია მოთხოვნები. უპირველესი და აუცილებელი მოთხოვნაა, რომ სასწავლებელი, სადაც სტუდენტი მიდის, ან საიდანაც მოდის, ლიცენზირებული უნდა იყოს. და კიდევ: პროფილი უნდა იყოს იდენტური.

**- აკადემიის არაერთი ღვაწლმოსილი თანამშრომლის ამაგი დაფასდა და ახლახან მათ დამსახურებული წოდებები მიენიჭათ, გილოცავთ...**

- გმადლობთ! დიახ, ეს არის არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებების, არამედ, საერთოდ, ჩვენი აკადემიის დაფასება. დაჯილდოებულებს ამ სასწავლებელში ათეული წლები აქვთ გატარებული და თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი, როგორც მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდაში, ისე სტუდენტ სპორტსმენთა საამაყო სპორტულ მიღწევებში.

ესაუბრა ასოცირებული პროფესორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**



# ბადროს ტყორცნის განვითარების ისტორია საქართველოში

ნინა გვერდიდან

ევროპის, სსრ კავშირის, მსოფლიო. მისი საუკეთესო შედეგი 57, 04 სმ-ს უდრიდა.

ნ. დუმბაძე - ჰელსინკის XIV ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი - ოქროს ასოებით ჩაეწერა მძლეოსნობის ისტორიაში.

ნ. დუმბაძის მსოფლიო რეკორდი, ერთდროულად საქართველოს რეკორდიც იყო 1952-1971 წლებში. 1971 წელს განაახლა ლ. ტულუშმა (57,84 სმ) - ეს საქართველოს ახალი რეკორდი იყო 1978 წლამდე, ხოლო 1978 წელს ნ. ლაზაძის მიერ დამყარებული რეკორდი 64,22 სმ-ია, რომელიც დღესაც უცვლელია.

ჩამოთვლილ ბადროს მტყორცნელთა ნაკვალევზე არაერთი ახალგაზრდა გაიზარდა, რომელთა შედეგები შთამბეჭდავი იყო გასულ საუკუნეში. მაგალითად; ნ. ონაშვილი - 58,24 სმ. ც. ჯაფარიძე - 54,80 სმ. ი. მხეიძე - 53,12 სმ. და სხვა.

XX საუკუნის საუკეთესო ათეულების მიხედვით საშუალო შედეგი ბადროს ტყორცნაში, ქალებისთვის - 54,81 სმ-ია, ვაჟებისთვის - 55,88.

საქართველოში ტყორცნები უძველესი დროიდან იყო პოპულარული. როგორც სპორტის სახეობამ სანყისი 1923 წელს ვაჟებში აიღო. საქართველოს პირველი რეკორდი, წითელი არმიის წარმომადგენელმა ს. ტიურინმა დაამყარა (34,24 სმ). ქალებმა 1930 წელს დაიწყეს ბადროს ტყორცნის ტექნიკის დაუფლება და პირველი რეკორდი თბილისის პროფკავშირების წარმომადგენელმა გ. მაიერმა დაამყარა (29,91 სმ).

**ვაჟების რეკორდები 30-იანი წლებიდან, ყოველ ათწლეულში იზრდებოდა.**

| | | |
|---|---|---|
| 1923 | ს. ტიურინი | თბილისი, 34,24 სმ |
| 1934 | დ. იოსელიანი | თბილისი, 41,13 სმ |
| 1946 | ი. იევლევი | თბილისი, 42,49 სმ |
| 1956 | გ. ჩალუნელი | თბილისი, 50,54 სმ |
| 1966 | გ. გუდაშვილი | თბილისი, 56,65 სმ |
| 1977 | გ. გუდაშვილი | თბილისი, 62,80 სმ |
| **ქალები** | | |
| 1930 | გ. მაიერი | თბილისი, 23,41 სმ |
| 1939 | ნ. დუმბაძე | თბილისი, 49,14 სმ |
| 1952 | ნ. დუმბაძე | თბილისი, 57,04 სმ*** |
| 1971 | ლ. ტულუში | თბილისი, 57,84 სმ |
| 1980 | ნ. ლაზაძე | თბილისი, 64,22 სმ |

*** მსოფლიო რეკორდი

**საქართველოს ჩემპიონები**

1936 წლიდან

| | | |
|---|---|---|
| **ვაჟები** | | |
| 1936-39 | დ. იოსელიანი | თბილისი |
| 1937 | ვ. ბარკალაია | თბილისი |
| 1940 | გ. ათანელოვი | თბილისი |
| 1947-53 | ი. იევლევი | თბილისი |
| 1954-59 | გ. ჩალუნელი | ბორჯომი |
| 1955 | ვ. ბლიაძე | ხარაგაული |
| 1960-77 | გ. გუდაშვილი | თბილისი |
| 1968 | გ. ოყროშიძე | თბილისი |
| 1976 | ს. მოროზოვი | ლენინგრადი (ღია პირველობა) |
| 1978 | თ. ჭედია | სოხუმი |
| 1979 | ნ. ნაზლაიძე | დუშეთი |
| 1982 | ტ. ზინაძე | სოხუმი |
| 1983 | ა. ორლოვსკი | თბილისი |
| 1984 | კ. კიულევი | ესტონეთი (ღია პირველობა) |
| 1985 | ი. წიკლაური | თბილისი |
| 1987-93 | ს. დევიატკინი | თბილისი |
| 1994-97 | მ. ერქომაიშვილი | ოზურგეთი |
| **ქალები** | | |
| 1936-38 | გ. მაიერი | თბილისი |
| 1939-55 | ნ. დუმბაძე | თბილისი |
| 1946-47 | თ. გველესიანი | თბილისი |
| 1949-50 | გ. ბრიტვინა | თბილისი |
| 1953-71 | ლ. სესაძე-ტულუში | თბილისი |
| 1964-67 | ი. მხეიძე | სამტრედია |
| 1970-74 | ც. ჯაფარიძე | მესტია |
| 1973 | დ. პანოვა | ბულგარეთი (ღია პირველობა) |
| 1976-78 | ნ. ლაზაძე | ხაშური |
| 1979-80 | მ. ელზაქიძე | ქარელი |
| 1982 | მ. ტულუში | თბილისი |
| 1984 | პ. პარტსი | ესტონეთი (ღია პირველობა) |
| 1985 | ლ. გელაშვილი | ხაშური |
| 1986 | ნ. პადერინა | ქუთაისი |
| 1988-94 | ნ. ონაშვილი | თბილისი |
| 1996 | ნ. ონაშვილი | საგარეჯო |
| 1997 | მ. ბობოხიძე | ხონი |

**მამია ტულუში, ნოე ლობჟანიძე**
ასოცირებული პროფესორები,
**ზ. ტალიკაშვილი,** მასწავლებელი

# ...მაგრამ მე უფრო ძლიერი მინდა...

ნინა გვერდიდან

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ვითარება უნდა შეიცვალოს.

ქართული სპორტის ხელმძღვანელობას ჩვენ ვთავაზობთ, სამინისტროსთან, ან დეპარტამენტთან შეიქმნას მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით - ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ, თეორიულ და ფსიქოლოგიური მომზადების პროფესიონალებით. მათ დაეკისრებათ ფუნქციების ფართო სპექტრი: ქვეყნის ნაკრები გუნდებისთვის თუ მოწინავე სპორტული კოლექტივებისთვის მეთოდური კონსულტაციების გაწევა, სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე ნაკრების მწვრთნელებთან ლექციების ჩატარება, სიახლეების, შემოთავაზებების ანალიზები და სათანადო რეკომენდაციების გაცემა (დასტური ან უარი). მნიშვნელოვან შეჯიბრებებში ჩვენი სპორტსმენების გამოვლენის მიზნით და მწვრთნელთან ერთად ისეთი ღონისძიებების დასახვა, რაც ხელშემშლელი ფაქტორების ნიველირებას შეუწყობდა ხელს. სამწუხაროდ, ასეთი ანალიზები ქართულ სპორტში არ წარმოებს, რაც დაშვებული შეცდომების მომავალ შეჯიბრებებში გამეორების შანსს განაპირობებს, სპეციალისტთა ჯგუფის ფუნქციები მომავალში შეიძლება გაფართოვდეს და დაიხვეწოს. რამდენადაც სპორტის რიგი სახეობების ფედერაციები თავადაც ამზადებენ მწვრთნელებს (მაგ. ფეხბურთის ფედერაცია), მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფედერაციებთან თანამშრომლობა, სასწავლო პროგრამებში სათანადო კორექტივების შეტანა, მასწავლებელ-ლექტორთა შერჩევაში მონაწილეობის მიღება და სხვა. ჩვენ საკმაო რაოდენობის მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი გვყავს, მაგრამ რატომღაც ძვირადღირებულ, უცხოელ მწვრთნელებს ვანიჭებთ უპირატესობას.

**გივი დვალი,**
სპორტის დამსახურებული მუშაკი,
საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი

## თქვენთვის, ერუდიტებო!

1. რომელ წელს დაწესდა სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება?
ა) 1936 წელს
ბ) 1947 წელს
გ) 1956 წელს

2. რომელ წელს შემოიღეს სსრკ სპორტის ოსტატის წოდება?
ა) 1935 წელს
ბ) 1946 წელს
გ) 1956 წელს

3. რომელ წელს ჩატარდა სსრკ ხალხთა ბოლო სპარტაკიადა?
ა) 1983 წელს
ბ) 1986 წელს
გ) 1989 წელს

4. ვინ იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი?
ა) კახი კახიაშვილი
ბ) გიორგი ასანიძე
გ) ზურაბ ზვიადაური

5. დაასახელეთ ზაფხულის XVII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი
ა) რომი
ბ) მელბურნი
გ) ტოკიო

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ა.

# ოთხი ნაშრომი ერთ თაიგულად შეკვრას იმსახურებს



**ოთარ ვახანია,** საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ადრე დიდხანს მუშაობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე, რომელიც მისივე თაოსნობით შეიქმნა 1947 წელს. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და სტატიებზე რომ არაფერი ვთქვათ, ოთხი ნაშრომი წიგნად გამოსცა. ეს წიგნებია: "ფიზიკური კულტურა და სპორტი აფხაზეთში" (1958, სოხუმი); "აფხაზური ხალხური თამაშები" (1959, სოხუმი); "ნარკვევები აფხაზეთის ფიზიკური კულტურის ისტორიიდან (1961, სოხუმი) და "სპორტული აფხაზეთი" (1971, სოხუმი). სამწუხაროდ, სოხუმის დაცემის შემდეგ მკვლევარის 3 ათასზე მეტი ფურცელი საარქივო მასალა დარჩა ინსტიტუტში.

მკითხველისთვის, მით უფრო სპორტთან დაახლოებულთათვის, ადვილი მისახვედრია, თუ რა მნიშვნელოვანი ნაშრომები შეუქმნია ავტორს. არც ერთ მათგანს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება და არც არასდროს დაკარგავს, რადგან ფიზიკური კულტურა, ხალხური თამაშები, სპორტი - ხალხის კულტურის, მისი ისტორიის შემადგენელი ნაწილია.

ნაშრომების გულდასმით გაცნობის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ძალიან კარგი იქნება, ავტორი ამ გამოცემებს ახალი მასალებით თუ შეავსებს და ერთ წიგნად შეკრავს. ეს კარგი საჩუქარი იქნება განსაკუთრებით სპორტის აკადემიის სტუდენტებისთვის.

# კროსვორდი




თარაზულად: 1. კონტინენტი, სადაც ჯერ არ ჩატარებულა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი, 4. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაცია (შემოკლებით), 9. ლეგენდარული საბჭოლთა მარათონელი, 10. ალპინისტური ტრადიციის საგვარეულო საქართველოში, 12. ნბა-ს კლუბი, 14. სპორტის ზამთრის სახეობის ინვენტარი, 16. საქართველოს სპორტის აკადემიის ლეგენდარული რექტორი, 17. მოჭადრაკე ფიშერის სახელი, 18. თბილისში დაოსტატებული, საფრანგეთში მოთამაშე ქალი ფრენბურთელი, 22. დისტანცია, ანუ... 23. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ქართველი მოკრივე, 24. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოლი, 26. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი - მეკარე, მსოფლიო ჩემპიონი, 28. სპორტული შეჯიბრებისას მიღებული დაზიანება, 29. მშვილდით სასროლი, 30. ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე მუჰამედ...

შვეულად: 2. საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 3. ტურისტული ინვენტარი, 4. საყაიმო შედეგი, 5. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 6. ფეხბურთელის ფეხსაცმელი, 7. ცნობილი ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი, ანდრეი... 18. საჭადრაკო ფიგურა, 11. მაღალი კლასის მოჭიდავე, 13. ფეხბურთელებით და ჩოგბურთელით ცნობილი კორეული გვარი, 14. სპორტის ცნობილი მკვლევარი, სპორტის აკადემიის ყოფილი პროფესორი, 15. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, მეკარე, 16. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 19, გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 20, ძიუდოისტთა სავარჯიშო ხალიჩა, 21. ტერმინი ძიუდოში, 22. დოლი გრძელ მანძილზე, 25. ლეგენდარული ძალოსნის ვლასოვის სახელი, 26. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 27. რაგბის საერთაშორისო კავშირი.

პასუხები იხილეთ წინა გვერდზე

## კალათბურთი

ქართველები NBA–ში

# სეზონის ახალი რეკორდი


დალასი-ატლანტა

"დალას მავერიქსი" ამ სეზონში რომ უდავოდ საუკეთესოა, ეს "ჰოქსთან" მატჩამდეც ვიცოდით და სიმართლე გითხრათ, **ზაზა ფაჩულიასა** და მისი თანაგუნდელებისგან ტეხასური მანქანის ძლევას თითქმის არავინ ელოდა.

ეს იყო ზაზა ფაჩულიას ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი. წინა შეხვედრაში **ამარე სტაუდმაიერისგან** დაჩაგრულმა ზაზამ **დირკ ნოვიცკის** გუნდთან ძალიან ყურადღებით, აქტიურად და რაც მთავარია, თავისი გუნდისთვის სასარგებლოდ ითამაშა. უბრალოდ, ისევ და ისევ მანამდე ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, სტუმრებს იმ დღეს ვერც ზაზა უშველიდა და ვერც სამი **ჯო ჯონსონი.** ასე რომ, არავის გაკვირვებია, როდესაც "მანანწალებმა" ზედიზედ მეოცე საშინაო გამარჯვება მოიპოვეს და მათ ეს ერთხელაც საოცრად დაბალანსებული შეტევისა და უძლიერესი დაცვის ხარჯზე გააკეთეს.

ზაზა უჩვეულოდ ადრე ჩაერთო თამაშში. ვუდსონმა ჩვენს თანამემამულეს მალევე მისცა თავის გამოჩენის საშუალება (**ლორენცენ რაიტმა** პირველ 2 წუთში ამდენივე ფოლი აიკიდა) და ამ უკანასკნელმაც მშვენივრად გამოიყენა ბოძებული შანსი.

დიდ შესვენებამდე ზაზა თავის გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო. მისი მონაგარი 15 ქულას შეადგენდა, **ჯო ჯონსონის** ანგარიშზე კი ერთით ნაკლები იყო. ზაზამ საბოლოოდ 12 საჯარიმოდან 10 გამოიყენა.

"ატლანტას" ცუდად არ დაუწყია ფავორიტთან მატჩი და პირველ მეოთხედში სტუმრები, ასე თუ ისე, ინარჩუნებდნენ იმ სხვაობას, რომლის გაბათილებაც შემდგომში შესაძლებელი იქნებოდა.

აი, მეორე მეოთხედიდან მოყოლებული კი მასპინძლებმა ისე მოუჭირეს დაცვაში, რომ "ჰოქსი" დაიშალა - **ჯოშ ჰოვარდის** სამქულიანით "მავერიქსი" 58:42 გავიდა წინ. აქედან მოყოლებული "დალასი" მშვიდად აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას და საბოლოოდ, ისე მოიგო, ბოლო მეოთხედში მოედანზე ლამის **ეივერი ჯონსონიც** შევიდა. "დალასი" გახდა პირველი ლიგის ისტორიაში, რომელმაც ერთი რეგულარულისას სამჯერ 12 და მეტი მატჩისგან შემდგარი წარმატებული სერია გამოჭედა. "ატლანტამ" შეხვედრა 18 შეცდომით დაასრულა, "დალასმა" კი ამის შედეგად 25 ქულა დააგროვა.

**დალასი-ატლანტა 110:87**

27:23, 33:22, 27:20, 23:20

**დალასი:** ნოვიცკი (37 წთ. 27 ქ. 8 მ. 3 დ. 1 ჩ), ტერი (34 წთ. 21 ქ. 4 პ. 2 მ. 1 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (34 წთ. 20 ქ. 5 მ. 2 ჩ. 1 პ), დემპიე (31 წთ. 9 ქ. 7 მ. 1 ჩ. 1 დ), დ. ჰარისი (23 წთ. 1 ქ. 5 პ. 2 მ. 1 ჩ) - სტექჰაუზი (26 წთ. 19 ქ. 9 პ. 2 მ), კრომირი (21 წთ. 7 ქ. 5 მ. 3 პ. 1 ჩ), მენსა-ბონსუ (2 წთ. 4 ქ. 1 მ), დიოპი (14 წთ. 2 ქ. 3 მ), ბარეა (9 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 პ), აგერი (2 წთ. უქულოდ, 1 ჩ)

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (42 წთ. 29 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ. 1 დ), მერვინ უილიამსი (33 წთ. 11 ქ. 3 მ. 2 ჩ), ჯოშ სმიტი (35 წთ. 4 ქ. 5 მ. 5 პ. 1 ჩ. 1 დ), ლ. არიტი (7 წთ. უქულოდ, 3 მ), კლექსტონი (16 წთ. უქულოდ, 3 პ. 1 ჩ) - **ზაზა ფაჩულია (33 წუთი, 24 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 4 ფოლი)**, ჩილდრესი (32 წთ. 13 ქ. 4 მ. 1 ჩ), ე. ჯონსონი (24 წთ. 2 ქ. 4 მ. 1 პ), შელდენ უილიამსი (3 წთ. 2 ქ), ს. სტაუდმაიერი (6 წთ. 2 ქ. 1 მ), ს. ჯოუნსი (2 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 დ), აივი (2 წთ. უქულოდ, 1 პ).

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 10:08 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 07:07 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ძ (10:7) |
| 06:23 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 05:34 | ფაჩულიაზე პარისი დაჯარიმდა |
| 05:34 | საჯარიმოები: 2/1 (3 ძ. 13:13) |
| 05:21 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 03:33 | ორქულიანი ტყორცნა: 5 ძ (17:18) |
| 03:00 | ორქულიანი ტყორცნა: 7 ძ (19:18) |
| 03:00 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 02:19 | ფაჩულიაზე დიოპი დაჯარიმდა |
| 02:19 | საჯარიმოები: 2/2 (9 ძ. 21:20) |
| 00:44 | ფოლი: 1 (ჰოვარდზე დაჯარიმდა) |
| **II მეოთხედი** | |
| 11:07 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:13 | ფოლი: 2 (დემპიეზე დაჯარიმდა) |
| 09:31 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:39 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 06:30 | ორქულიანი ტყორცნა: 11 ძ (34:43) |
| 05:18 | ორქულიანი ტყორცნა: 13 ძ (38:45) |
| 01:30 | ფაჩულიაზე დიოპი დაჯარიმდა |
| 01:30 | საჯარიმოები: 2/2 (15 ძ. 44:58) |
| 01:13 | მოხსნა: 5 (შეტ: 1, დაც: 4) |
| 01:10 | შეცდომა: 1 (ტერიმ ჩაუჭრა) |
| 00:07 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |
| **III მეოთხედი** | |
| 12:00 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |
| 06:52 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 06:31 | მოხსნა: 6 (შეტ: 2, დაც: 4) |
| 06:26 | პასი: 1 (ჯო ჯონსონი, 3 ძ. 52:69) |
| 05:23 | მოხსნა: 7 (შეტ: 3, დაც: 4) |
| 05:22 | ორქულიანი: დემპიემ დაუფარა |
| 04:27 | ფაჩულიაზე დიოპი დაჯარიმდა |
| 04:27 | საჯარიმოები: 2/1 (16 ძ. 55:77) |
| 03:06 | ორქულიანი ტყორცნა: 18 ძ (59:77) |
| 00:43 | ფაჩულიაზე დიოპი დაჯარიმდა |
| 00:43 | საჯარიმოები: 20 ძ (65:83) |
| **IV მეოთხედი** | |
| 11:33 | მოხსნა: 8 (შეტ: 4, დაც: 4) |
| 11:33 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:17 | ფაჩულიაზე კრომირი დაჯარიმდა |
| 11:17 | საჯარიმოები: 2/2 (22 ძ. 68:87) |
| 10:09 | ფოლი: 3 (კრომირზე დაჯარიმდა) |
| 09:36 | ფოლი: 4 |
| 08:29 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:39 | ორქულიანი ტყორცნა: 24 ძ (77:94) |
| 07:39 | მოხსნა: 9 (შეტ: 5, დაც: 4) |
| 07:20 | ფაჩულია ჯოშ სმიტმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 54 მატჩი, 28 წუთი, 11.7 ქულა, 6.8 მოხსნა, 1.4 პასი, 1.0 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.1 შეცდომა, 3.7 ფოლი; **ატლანტა ჰოქსი:** 57 მატჩი, 22 მოგება, 35 წაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის კონფერენციაში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში. **მომდევნო მატჩი:** ნიუ ორლეანი - ატლანტა (28 თებერვალი)

## ჩოგბურთი

### ერთიც და ლას ვეგასია

ერთი წარმატებული ნაბიჯიც და 17 წლის **ანა ტატიშვილი** ლას ვეგასის "ტენის ჩენელ ოუფენის" ძირითად ბადეში მოხვდება. გუშინ ანამ მეორე საკვალიფიკაციო წრეში დაამარცხა ამერიკელი **რაქელ კოპს-ჯოუნსი**, რომელიც კლასიფიკაციაში 65 ადგილით უსწრებს ჩვენს თანამემამულეს. პირველ ორ სეტში თანაბარი ბრძოლა იყო, ჯერ ანამ იმარჯვა, შემდეგ კი - მეტოქემ, მესამეში კი ტატიშვილმა კოპს-ჯოუნსი გაანადგურა - 7:5, 4:6, 6:1. მესამე, ფინალურ წრეში ანას მეტოქე კვლავ ამერიკელია, 22 წლის **ანჯელა ჰეინესი**. ჰეინესი ახლა მსოფლიოს 190-ე ჩოგანია, ორი წლის წინათ კი მოწინავე ასეულშიც ირიცხებოდა. ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია.

### უთამაშებლობამ უკან დახია

გუშინ გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტები. ბიჭებში უთამაშებლობამ 16 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** 44-ე პოზიციამდე დახია. 269-ე ადგილზეა საქართველოს ჩემპიონი **გიორგი ჭანტურია, რევაზ ოსაძე** კი 417-ეა. გოგონებში **ოქსანა კალაშნიკოვა** მე-40 ადგილზეა, მისი უფროსი და, **მარია** კი - 429-ეზე. სიაში 818-ეა **ანა ტატიშვილი**, რომელმაც იუნიორთა ტურნირებზე ასპარეზობა შეწყვიტა. სამწუხაროდ, ბოლო დროს არც ოქსანა კალაშნიკოვას უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## წყალბურთი

ინტერვიუ სოსო მაისურაძესთან

# ქუდბედიანი ქუდები და ბუნდოვანი მომავალი

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ახლახან სეზონის ბოლოსწინა ტურნირზე ითამაშა. საქმეში ჩაუხედავებს, შესაძლოა, გაუკვირდეთ, ჯერ ხომ თებერვალია და რა დროს ბოლოსწინა ტურნირიაო, მაგრამ...

ერთი თვის წინათ, საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გია უდესიანმა თანამდებობა დატოვა. ჩვენს საწყლოსნო სახეობებს კი ისედაც ხომ არ ულხინდათ და უპრეზიდენტოდ დარჩენილებს, მთლად ბუნდოვანი გაუხდათ მომავალი. ახლახან დასრულებულ უკრაინის ღია ჩემპიონატის მეორე ტურსა და სამომავლო პერსპექტივებზე გვესაუბრება საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სოსო მაისურაძე.**

- უკრაინაში შერეული შემადგენლობა წავიყვანეთ - ახალგაზრდებიცა და უფროსებიც. გვაკლდა ოთხი წამყვანი ლეგიონერი - გუნდის ლიდერი და ყველაზე გამოცდილი მოთამაშე გალაქტიონ ლაითაძე, სანდრო რუსიშვილი, გიორგი ცირეკიძე და გიორგი ხვედელიანი. მიუხედავად ამისა, სამივე თამაში, მართალია, მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც მოვიგეთ. უკრაინის ღია პირველობას ლვოვის "დინამოსთან" ერთად ვლიდერობთ. ჩვენ და ლვოველებს თანაბარი ქულები გვაქვს. სხვათაშორის, უკრაინაში წასვლამდე, ჩვენმა დიდმა გულშემატკივარმა სანდრა რულოვსმა გვაჩუქა ბურთები, ქუდები და ტრენაჟორები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. უკრაინაში სწორედ ქალბატონ სანდრას ნაჩუქარი ქუდები ეხურათ ჩვენს წყალბურთელებს და საჩუქარი საკმაოდ იღბლიანი გამოდგა.

რაც შეეხება მომავალს, ჩვენი ბიუჯეტი ახლა მხოლოდ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ 25 მარტიდან ხარკოვში გასამართ მესამე ტურზე ვიასპარეზოთ, მერე კი ღმერთმა უწყის, რა იქნება. უკრაინის ღია პირველობაზე კი არა, იმდენი ფულიც ვერ ვიშოვნეთ, ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე რომ ეთამაშა...

**- საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ახალი კანდიდატურა ჯერ არ გამოჩენილა?**

- არა და, ეს კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. ჩვენ გვინდა ისეთი პრეზიდენტი, რომელიც ფინანსურადაც შეძლებული იქნება და გავლენიანიც. ასეთი ადამიანის მოძებნა კი ძალზე ძნელია.

**კობა ხატისაშვილი**

## ველოსპორტი

დოპინგსკანდალი

# ლენდისი თავს გაიმართლებს


ლენდისს საქმის მოგების რეალური შანსი გაუჩნდა

ახლა უკვე დაჯერებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამერიკელი ველომრბოლი **ფლოიდ ლენდისი** შეძლებს ამერიკის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს ბრალდებათა მოგერიებას და ამის შემდეგ, საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო თავის ბრალდებას მოხსნის. საბოლოოდ, ლენდისი ალბათ შეინარჩუნებს ტურ დე ფრანსზე შარშან მოპოვებულ ტიტულს, თუმცა ყოველივეს მიუხედავად, თავისივე პირობის გამო, ამ სეზონში საფრანგეთში აღარ იასპარეზებს.

საქმე ისაა, რომ ლენდისსა და მის დაცვას უკვე ორი მტკიცებულება გააჩნიათ იმისთვის, რომ ყველას დაუმტკიცონ, მისი სინჯების შემოწმება არსებული რეგლამენტის დარღვევით ჩატარდა, რაც არ გამორიცხავს ანალიზების ჩამტარებლების მიკერძოებას. თუ სააპელაციო სასამართლო ამ გარემოებას გაითვალისწინებს, მაშინ ლენდისის წინააღმდეგ საქმის შემდგომი წარმართვა ყოველგვარ აზრს დაკარგავს.

ლენდისის დაცვა ამტკიცებს, რომ ველომრბოლისგან აღებული სინჯების ანალიზების პასუხები მტკიცებულებად ვერ გამოდგება იმის გამო, რომ ორივე ანალიზი ერთმა და იმავე ჯგუფმა ჩაატარა, რაც პარიზის მახლობლად მდებარე ლაბორატორიის (ამ ლაბორატორიაში ჩატარდა ტესტები) წესებით აკრძალულია. დაცვა მოითხოვს, რომ ლენდისის საქმის საარბიტრაჟო სასამართლოში მოსმენისას, დაიკითხონ პარიზული ლაბორატორიის (შატენე-მალაბრი) თანამშრომლები, რომლებმაც ამერიკელ ველომრბოლს ტესტები ჩაუტარეს.

ლენდისი და მისი დაცვა ამ დარღვევაზე დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან სწორედ ანალოგიური დარღვევის გამო, შეწყდა საქმე ესპანელი **ინიგო ლანდალუსის** წინააღმდეგ, რომელიც 2005 წელს დოპინგის გამოყენებაში ამხილეს.

*"ჩვენ გვაქვს პრეცენდენტი ლანდალუსის საქმის სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, სხვა საქმეებიც ანალოგიურად უნდა შეწყდეს, რადგან დოპინგ-შემოწმებათა სრული ციკლი ლაბორატორიისვე წესების დარღვევით ჩატარდა. ჩვენი პოზიციის გასამყარებლად, საქმის განხილვისას ლაბორატორიის ორი თანამშრომლის მიწვევასა და მათ დაკითხვას ვაპირებთ. ამ ეტაპზე არ შეგვიძლია იმის თქმა, რამდენად სერიოზული იყო დარღვევა, მაგრამ ფაქტი ჩვენს ყურადღებას ნებისმიერ შემთხვევაში იმსახურებს"*, - "ლოს ანჯელეს ტაიმსთან" საუბარში ამბობს ლენდისის დაცვის წარმომდგენელი **მაიკლ ჰენსონი.**

შეგახსენებთ, რომ ლენდისისგან მე-17 ეტაპის შემდეგ აღებულ სინჯში ჰორმონ ტესტოსტერონისა და ეპიტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა აღმოჩნდა. თუ ლენდისი თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას ვერ შეძლებს, ფრანგული ველომარათონის ისტორიაში ის შეიქმნება პირველი ჩემპიონი, ვისაც ამ წოდებას ჩამოართმევენ. ამ შემთხვევაში, ჩემპიონად ესპანელი **ოსკარ პერეირო** გამოცხადდება.

ლენდისის დაცვამ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" რეპორტიორებს წარუდგინა მათ მიერ მოპოვებული საბუთები, რომლებშიც დაფიქსირებულია, რომ ორივე სინჯის (A და B) შემოწმების პროცესში მონაწილეობდა ლაბორატორიის ორი თანამშრომელი - **ესთერ ჩერპოლინი** და **სინთია მონგონგუ**. თუმცა, გაზეთი წერს, რომ დაცვის მიერ მოპოვებულ საბუთებში გარკვევით არაა მინიშნებული, თუ ტესტების დროს, რა როლი ეკისრებოდა ამ ორ თანამშრომელს.

სხვათა შორის, "ესოშიეიტიდ პრესთან" საუბარში, ლენდისის საქმეში მონაწილე ერთ-ერთმა პიროვნებამ, ვინც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ამერიკელმა ველომრბოლმა ორივე სინჯი სხვადასხვა პირებს ჩააბარა. აღნიშნულმა პირმა თავისი ანონიმურობა იმით ახსნა, რომ მას ჯერჯერობით არ აქვს ამ თემაზე საჯაროდ ლაპარაკის უფლება.

აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მთავარი იურისტი **ტრევის ტიგარტი** ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისგან თავის შეკავებას ამჯობინებს - ნებისმიერ საქმეში მთავარი ჭეშმარიტების ძიებაა და საქმეზე ნინასწარ ლაპარაკმა შეიძლება მის ნორმალურ მსვლელობას ხელი შეუშალოსო, - ამბობს იურისტი.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მიერ საქმის განხილვის შემდეგ, იმავეს აპირებს საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოც. ფრანგებს საქმის ადრე განხილვა სურდათ, თუმცა ლენდისთან შეთანხმების შემდეგ, გადაიფიქრეს. სამაგიეროდ, ამერიკელი ველომრბოლისგან ამ სეზონში საფრანგეთში ასპარეზობისგან თავის შეკავება ითხოვეს, რაზეც თანხმობა მიიღეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შაკის 25 ათასი

"მაიამი ჰიტის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **შაკილ ო'ნილმა** კარიერაში 25-ათასქულიან ზღვარს გადააჭარბა. ეს მოხდა "ნიუ იორკთან" დაპირისპირების პირველ მეოთხედში, როცა შაკის ანგარიშზე 5 ქულა (სულ მატჩში 20 ქულა) იყო.

ასე რომ, ვეტერანი კალათბურთელი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში მე-14 მოთამაშე გახდა, ვინც ამ დიდოსტატურ ზღვარს მიაღწია. გარდა ამისა, ო'ნილი NBA-ის მოქმედ კალათბურთელებს შორის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახლავთ.

შაკის კიდევ ერთი მიღწევა ისაა, რომ იგი იმ 7 კალათბურთელს შორის შევიდა, ვისაც ერთდროულად 25 ათასი ქულა და 10 ათასი მოხსნა აქვთ გაკეთებული. აქამდე, მსგავსი შედეგი **ქარიმ აბდულ-ჯაბარს, კარლ მელოუნს, უილტ ჩემბერლენს, მოზეს მელოუნს, ელვინ ჰეიესსა** და **ჰაკიმ ოლაჟუონს** ჰქონდათ.

**ნიუ იორკი-მაიამი 99:93**

23:24, 21:16, 25:31, 29:23

**ნიუ იორკი:** კარი (28 ქ. 11 მ), მარბერი (25 ქ), კროუფორდი (20 ქ).

**მაიამი:** კაპონო (24 ქ), შ. ო'ნილი (20 ქ. 3 მ. 4 პ), ჯ. უილიამსი (15 ქ).

**იუტა-ლეიკერსი 94:102**

20:25, 30:30, 20:15, 24:32

**იუტა:** ფიშერი (23 ქ. 8 პ), ჰარპრინგი (14 ქ), ბუზერი (13 ქ. 9 მ), კირილენკო (12 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (35 ქ. 8 მ. 4 პ), ს. პარკერი (24 ქ), ოდომი (19 ქ. 14 მ. 9 პ).

**ფილადელფია-საკრამენტო 89:82**

24:27, 18:18, 25:18, 22:19

**ფილადელფია:** იგუოდალა (22 ქ. 8 მ. 7 პ), დალემბერი (20 ქ. 17 მ), ე. მილერი (18 ქ. 3 ჩ).

**საკრამენტო:** მარტინი (23 ქ), ბ. მილერი (21 ქ. 10 მ), არტესტი (13 ქ).

**მემფისი-დენვერი 107:111**

25:30, 29:25, 29:27, 24:29

**მემფისი:** გასოლი (21 ქ. 11 მ), მ. მილერი (21 ქ), გეი (18 ქ), უორიკი (15 ქ).

**დენვერი:** ენტონი (33 ქ. 6 მ. 3 პ), ნენე (27 ქ. 9 მ), აივერსონი (25 ქ. 5 მ. 9 პ), კემბი (8 ქ. 13 მ).

**სან ანტონიო-ტორონტო 107:91**

27:22, 35:16, 26:26, 19:27

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (27 ქ. 5 მ. 9 პ), დანკანი (24 ქ. 16 მ. 4 დ), ორი (14 ქ).

**ტორონტო:** ბარნიანი (17 ქ), ნესტეროვიჩი (16 ქ. 9 მ), ბოში (14 ქ. 9 მ).

**დალასი-ატლანტა 110:87**

27:23, 33:22, 27:22, 23:20

**დალასი:** ნოვიცკი (27 ქ. 8 მ. 3 დ), ტერი (21 ქ), ჯოშ ჰოვარდი (20 ქ), სტეკჰაუსი (19 ქ. 9 მ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (29 ქ), ფაჩულია (24 ქ. 9 მ), ჩილდრესი (13 ქ).

**ჰიუსტონი-ბოსტონი 72:77**

22:14, 13:15, 18:15, 19:33

**ჰიუსტონი:** უელსი (27 ქ. 9 მ), ჯუვან ჰოვარდი (12 ქ. 8 მ), ცაკალიდისი (7 ქ. 10 მ).

**ბოსტონი:** პირსი (28 ქ), ჯეფერსონი (16 ქ. 17 პ), დელ. უესტი (16 ქ).

**ჩიკაგო-ორლანდო 87:94**

23:26, 22:20, 20:19, 22:29

**ჩიკაგო:** გორდონი (32 ქ), დენგი (23 ქ. 6 მ. 6 პ. 6 ჩ), ჰინრიხი (10 ქ).

**ორლანდო:** დუაიტ ჰოვარდი (21 ქ. 16 მ), ნელსონი (18 ქ), მილიჩიჩი (14 ქ. 16 მ).

**სიეტლი-პორტლენდი 97:73**

20:11, 23:24, 30:20, 24:18

**სიეტლი:** ლუისი (29 ქ), რ. ალენი (16 ქ. 10 მ. 6 პ), კოლისონი (8 ქ. 10 მ).

**პორტლენდი:** ოუთლოუ (14 ქ), ოლდრიჯი (12 ქ. 8 მ. 3 დ), რენდოლფი (11 ქ. 8 მ).

**კლიპერსი-შარლოტი 100:93**

30:25, 25:17, 19:28, 26:23

**კლიპერსი:** მაგეტი (25 ქ), მობლი (16 ქ. 3 ჩ), ბრენდი (14 ქ. 12 მ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (20 ქ. 12 მ), კეროლი (19 ქ), ფელტონი (13 ქ. 7 პ).



შაკილ ონილი

## კვირის მოთამაშეები

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეები გახდნენ: აღმოსავლეთიდან "ნიუ ჯერს ნეტსის" ფორვარდი **ვინს კარტერი** და დასავლეთიდან - "ფინიქს სანზის" ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი**.

გასულ კვირას, ვინს კარტერმა სეზონის რეკორდი დაამყარა - ერთი კვირის განმავლობაში, ის საშუალოდ მატჩში 37.3 ქულას აგროვებდა. გარდა ამისა, "ნეტსის" ლიდერის ანგარიშზე 7.3 მოხსნა და 5.0 შედეგიანი გადაცემა მოდის.

კარტერმა "ნიუ ორლეანთან" შეხვედრაში (107:111) 46 ქულა დააგროვა, "ნიუ იორკ ნიქსთან" მოგებულ მატჩში (101:92) კი, 40 ქულა მიითვალა.

რაც შეეხება ამარე სტაუდმაიერს, მან 2004-05 წლების სეზონის შემდეგ, პირველად მიიღო კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტული. წინა შვიდ დღეს გამართულ 4 მატჩში, ამარე საშუალოდ 30 ქულასა და 12 მოხსნას აკეთებდა. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "ატლანტასთან" შეხვედრაში, სადაც 46 ქულის მოხვეჭა შეძლო.

## მარტის კალენდარი

**1 მარტი**
- დალასი-კლივლენდი
- პორტლენდი-შარლოტი
- სიეტლი-კლიპერსი

**2 მარტი**
- ჩიკაგო-ნიუ ორლეანი
- დენვერი-ჰიუსტონი
- ლეიკერსი-საკრამენტო
- მაიამი-დეტროიტი
- მინესოტა-იუტა
- ნიუ იორკი-გოლდენ სტეიტი
- ფილადელფია-მემფისი
- ფინიქსი-ინდიანა
- სან ანტონიო-ორლანდო
- ტორონტო-მილუოკი
- ვაშინგტონი-ატლანტა

**3 მარტი**
- ატლანტა-ნიუ იორკი
- კლივლენდი-ტორონტო
- დალასი-ორლანდო
- ჰიუსტონი-სან ანტონიო
- კლიპერსი-ინდიანა
- მემფისი-დეტროიტი
- ნიუ ჯერსი-ბოსტონი
- პორტლენდი-საკრამენტო

**4 მარტი**
- ბოსტონი-მინესოტა
- მილუოკი-ჩიკაგო
- ნიუ ორლეანი-იუტა
- ფილადელფია-ნიუ ჯერსი
- ფინიქსი-ლეიკერსი
- სიეტლი-შარლოტი
- ვაშინგტონი-გოლდენ სტეიტი

**5 მარტი**
- კლივლენდი-ჰიუსტონი
- დეტროიტი-გოლდენ სტეიტი
- კლიპერსი-სან ანტონიო
- მაიამი-ატლანტა
- ორლანდო-მილუოკი
- იუტა-შარლოტი

**6 მარტი**
- დალასი-ნიუ ჯერსი
- დენვერი-ნიუ ორლეანი
- მინესოტა-ლეიკერსი
- ნიუ იორკი-სიეტლი
- პორტლენდი-სან ანტონიო
- საკრამენტო-ინდიანა
- ვაშინგტონი-ტორონტო

**7 მარტი**
- ატლანტა-ვაშინგტონი
- ბოსტონი-ჰიუსტონი
- დეტროიტი-კლივლენდი
- გოლდენ სტეიტი-დენვერი
- მაიამი-ჩიკაგო
- მილუოკი-ლეიკერსი
- ფილადელფია-სიეტლი
- ფინიქსი-შარლოტი
- ტორონტო-მემფისი
- იუტა-ინდიანა

**8 მარტი**
- ორლანდო-ჩიკაგო
- საკრამენტო-სან ანტონიო

**9 მარტი**
- ატლანტა-მემფისი
- ბოსტონი-სიეტლი
- დენვერი-დეტროიტი
- გოლდენ სტეიტი-კლიპერსი
- ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი
- მაიამი-მინესოტა
- ფილადელფია-ლეიკერსი
- ფინიქსი-ნიუ ორლეანი

**10 მარტი**
- ატლანტა-მინესოტა
- შარლოტი-მემფისი
- ინდიანა-ფილადელფია
- მილუოკი-კლივლენდი
- სან ანტონიო-ნიუ ჯერსი
- იუტა-ნიუ ორლეანი
- ვაშინგტონი-ნიუ იორკი

**11 მარტი**
- ბოსტონი-ჩიკაგო
- კლივლენდი-ინდიანა
- ჰიუსტონი-ორლანდო
- კლიპერსი-დეტროიტი
- ლეიკერსი-დალასი
- მაიამი-ვაშინგტონი
- პორტლენდი-გოლდენ სტეიტი
- საკრამენტო-დენვერი
- ტორონტო-სიეტლი

**12 მარტი**
- შარლოტი-ორლანდო
- გოლდენ სტეიტი-დალასი
- მემფისი-ნიუ ჯერსი
- მილუოკი-ტორონტო
- ფინიქსი-ჰიუსტონი

**13 მარტი**
- ატლანტა-ფილადელფია
- კლივლენდი-საკრამენტო
- ჩიკაგო-ბოსტონი
- დენვერი-პორტლენდი
- მაიამი-იუტა
- მინესოტა-ინდიანა
- ნიუ ორლეანი-ნიუ ჯერსი
- სან ანტონიო-კლიპერსი
- სიეტლი-დეტროიტი

**14 მარტი**
- ბოსტონი-ატლანტა
- შარლოტი-საკრამენტო
- დალასი-ფინიქსი
- ჰიუსტონი-კლიპერსი
- ინდიანა-ვაშინგტონი
- მემფისი-კლივლენდი
- ორლანდო-იუტა
- ფილადელფია-ჩიკაგო
- პორტლენდი-დეტროიტი
- ტორონტო-ნიუ იორკი

**15 მარტი**
- დენვერი-ლეიკერსი
- მილუოკი-სან ანტონიო
- ნიუ ჯერსი-მაიამი

**16 მარტი**
- შარლოტი-კლიპერსი
- დალასი-ბოსტონი
- გოლდენ სტეიტი-მინესოტა
- ლეიკერსი-პორტლენდი
- მაიამი-საკრამენტო
- ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი
- ფილადელფია-იუტა
- ფინიქსი-დეტროიტი
- ტორონტო-ჰიუსტონი

**17 მარტი**
- კლივლენდი-იუტა
- დენვერი-ფინიქსი
- ინდიანა-ატლანტა
- მემფისი-ჩიკაგო
- მილუოკი-შარლოტი
- ორლანდო-საკრამენტო
- სან ანტონიო-ბოსტონი
- სიეტლი-გოლდენ სტეიტი
- ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი

**18 მარტი**
- დეტროიტი-დალასი
- ლეიკერსი-მინესოტა
- მაიამი-ორლანდო
- ნიუ ჯერსი-კლიპერსი
- ნიუ იორკი-ტორონტო
- ფილადელფია-ჰიუსტონი
- პორტლენდი-სიეტლი

**19 მარტი**
- ატლანტა-საკრამენტო
- ნიუ ორლეანი-ბოსტონი

**20 მარტი**
- შარლოტი-კლივლენდი
- ჩიკაგო-კლიპერსი
- დეტროიტი-ფილადელფია
- ჰიუსტონი-ინდიანა
- მემფისი-ნიუ ორლეანი
- ნიუ ჯერსი-დენვერი
- ნიუ იორკი-დალასი
- ფინიქსი-მინესოტა
- პორტლენდი-ვაშინგტონი
- იუტა-გოლდენ სტეიტი

**21 მარტი**
- ატლანტა-მაიამი
- ბოსტონი-შარლოტი
- კლივლენდი-დალასი
- მილუოკი-კლიპერსი
- საკრამენტო-მინესოტა
- სან ანტონიო-ინდიანა
- სიეტლი-ვაშინგტონი
- ტორონტო-ორლანდო

**22 მარტი**
- ჩიკაგო-დენვერი
- ჰიუსტონი-დეტროიტი
- მემფისი-ლეიკერსი
- ნიუ იორკი-პორტლენდი
- ფინიქსი-საკრამენტო

**23 მარტი**
- ატლანტა-პორტლენდი
- ბოსტონი-დალასი
- კლივლენდი-ნიუ იორკი
- გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი
- ინდიანა-მაიამი
- კლიპერსი-იუტა
- ნიუ ორლეანი-ლეიკერსი
- ორლანდო-ნიუ ჯერსი
- ფილადელფია-შარლოტი
- სან ანტონიო-დეტროიტი
- სიეტლი-მინესოტა
- ტორონტო-დენვერი

**24 მარტი**
- შარლოტი-ნიუ ჯერსი
- კლიპერსი-ვაშინგტონი
- მაიამი-ფილადელფია
- იუტა-მემფისი

**25 მარტი**
- ატლანტა-დალასი
- კლივლენდი-დენვერი
- ინდიანა-ჩიკაგო
- ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი
- მილუოკი-დეტროიტი
- მინესოტა-პორტლენდი
- ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი
- საკრამენტო-ფინიქსი
- სიეტლი-სან ანტონიო

**26 მარტი**
- ბოსტონი-ტორონტო
- ჩიკაგო-პორტლენდი
- დეტროიტი-დენვერი
- გოლ. სტეიტი-სან ანტონიო
- ჰიუსტონი-მილუოკი
- მაიამი-ატლანტა
- ნიუ იორკი-ორლანდო
- ფინიქსი-მემფისი
- იუტა-ვაშინგტონი

**27 მარტი**
- ინდიანა-კლივლენდი
- ლეიკერსი-მემფისი
- მინესოტა-სიეტლი
- ნიუ ორლეანი-დალასი

**28 მარტი**
- ბოსტონი-ორლანდო
- შარლოტი-ატლანტა
- დალასი-მილუოკი
- დენვერი-სიეტლი
- კლიპერსი-ჰიუსტონი
- ნიუ ჯერსი-ინდიანა
- ნიუ იორკი-კლივლენდი
- სან ანტონიო-ნიუ ორლეანი
- ტორონტო-მაიამი
- იუტა-მინესოტა
- ვაშინგტონი-ფილადელფია

**29 მარტი**
- ჩიკაგო-დეტროიტი
- გოლდენ სტეიტი-ფინიქსი
- პორტლენდი-მემფისი

**30 მარტი**
- შარლოტი-მილუოკი
- დალასი-ნიუ იორკი
- დეტროიტი-ნიუ ჯერსი
- ლეიკერსი-ჰიუსტონი
- მინესოტა-მაიამი
- ორლანდო-ინდიანა
- ფილადელფია-ბოსტონი
- ფინიქსი-დენვერი
- საკრამენტო-კლიპერსი
- სან ანტონიო-იუტა
- სიეტლი-მემფისი
- ვაშინგტონი-ტორონტო

**31 მარტი**
- ჩიკაგო-კლივლენდი
- ნიუ ჯერსი-ფილადელფია
- ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი
- პორტლენდი-კლიპერსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## უეიდი ჯერ ფიქრობს

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, "მაიამი ჰიტის" ლიდერ **დუეინ უეიდს** ჯერ არ გადაუწყვეტია - გაიკეთოს ოპერაცია ტრავმირებულ მხარზე თუ მხოლოდ მკურნალობით შემოიფარგლოს და ქირურგიული ჩარევა მომავლისთვის გადადოს. პირველ შემთხვევაში, უეიდისთვის სეზონი დასრულებულად ჩაითვლება, ხოლო თუ იგი მეორე ვარიანტს აირჩევს, დაახლოებით 6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს, ანუ თავის გუნდს რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 10-12 მატჩით ადრე დაუბრუნდება.

გუშინ, უეიდმა მოლაპარაკებები გამართა "მაიამის" პრეზიდენტთან და მთავარ მწვრთნელ **პატ რაილისთან**, თუმცა ამ შეხვედრის დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ დუეინმა მიმდინარე რეგულარულში უკვე გამოტოვა 9 მატჩი და აქედან შვიდში, მისმა გუნდმა მარცხი განიცადა. უეიდი ამ სეზონის ბომბარდირთა დავაში მეოთხე ადგილზეა (საშუალოდ 28.8 ქულა), ხოლო მეშვიდე პოზიციას იკავებს შედეგიანი გადაცემების რაოდენობით - 7.9.

თავისი ტრავმისა და გეგმების შესახებ, "ჰიტის" მცველი ჟურნალისტებთან საუბარზე უარს აცხადებს.

## სკოტი პიპენი: ლეიკერსი თუ კლივლენდი?

უკვე ვიტყობინებოდით იმის შესახებ, რომ ლეგენდარული კალათბურთელი **სკოტი პიპენი** NBA-ში დაბრუნებას აპირებს. ცნობილია, რომ ამ ფორვარდის გადაბირებით "ლეიკერსია" დაინტერესებული, რომლის მთავარ მწვრთნელ **ფილ ჯექსონთან** სკოტი პიპენს ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს.

ფილ ჯექსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სულ მალე გაესაუბრება პიპენს, მაგრამ იქვე ერთი კითხვა დასვა: *"შეუძლია კი მას ძველებურად თამაში"?*

ამასობაში, ამერიკულ პრესაში ჩნდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოტის პიროვნებით "კლივლენდ კავალიერზიც" არის დაინტერესებული. მომავალ კვირას, "ჩიკაგოში" ექვსგზის გაჩემპიონებული კალათბურთელი ამ გუნდში ვარჯიშს ჩაატარებს. მოსალოდნელ გარიგებას მარკეტინგული დატვირთვაც აქვს. შეიქმნება ახალი ტანდემი - **ლებრონ ჯეიმსი**-სკოტი პიპენი, რომელსაც **ჯორდანი-პიპენის** დუეტს შეადარებენ.

წყალბურთი

## ჩომახიძემ რუსეთის ნაკრები დატოვა

სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორმა - **რევაზ ჩომახიძემ** რუსეთის ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. 2002 წლის მსოფლიო თასის მფლობელმა ამ გადაწყვეტილების მიზეზად ტრავმები და გადაღლილობა დაასახელა.

სწორედ ამის გამო, ჩომახიძემ მონაწილეობა არ მიიღო ამ დღეებში, ათენში დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც რუსეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ბოლო ეტაპს გადიოდა. თავისი ლიდერის არყოფნაში, რუსებმა სამივე მატჩი წააგეს და ბოლო ადგილი დაიკავეს.

საწყლოსნო სპორტის სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატი 17 მარტიდან 1 აპრილამდე ავსტრალიის ქალაქ მელბურნში გაიმართება.

ჰოკეი

## ახალი ტრეიდები

გუშინ, კანადურმა კლუბმა "ვანკუვერ კენაქსმა" მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი შემადგენლობა. ამ გუნდის რიგებში ჩაირიცხნენ "ჩიკაგო ბლეკჰოქსის" 35 წლის ცენტრალური ფორვარდი **ბრაიან სმოლინსკი** და "ლოს ანჯელეს კინგზის" მცველი **ბრენტ სოპელი**.

ამ ჰოკეისტების სანაცვლოდ, "ჩიკაგომ" 2007 წლის დრაფტის მეორე რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო, "ლოს ანჯელესმა" კი, 2008 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდის ნომერი.

წლევანდელ რეგულარულში სმოლინსკიმ 62 მატჩში 37 ქულა (14 გოლი+23 საგოლე პასი) დააგროვა, სოპელის ანგარიშზე კი, 44 შეხვედრა და 23 ქულა (4+19) მოდის.

■ ■ ■

დიდი ტრეიდი განახორციელეს "ფილადელფიამ", "ჩიკაგომ" და "დეტროიტმა", რომლის შედეგადაც, ჩიკაგოდან ფილადელფიაში აღმოჩნდა მცველი **ლასე კუნონენი**, "ფლაიერზის" ფორვარდი **კაილ კალდერი** დეტროიტში გაემგზავრა, ხოლო ამ უკანასკნელის თავდამსხმელმა **ჯეისონ უილიამსმა** "ბლეკჰოქსის" რიგები შეავსო. გარდა ამისა, "ფილადელფიამ" 2007 წლის დრაფტის მესამე რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლებაც მიიღო.

28 წლის კალდერს მიმდინარე ჩემპიონატში 21 ქულა (9 გოლი+12 შედეგიანი გადაცემა) აქვს მოპოვებული, 25 წლის კუკონენის ანგარიშზე 14 ქულაა (5+9), ხოლო ამ ტრიოდან ყველაზე შედეგიანი 26 წლის **ჯეისონ უილიამსი** გახლავთ - 26 ქულა (11+15).

■ ■ ■

გუშინდელი სატრანსფერო გარიგებები "ნიუ იორკ აილენდერსში" 31 წლის **რიხარდ ზედნიკის** გადასვლით დასრულდა. ამ ჰოკეისტის სანაცვლოდ, "ვაშინგტონ კეპიტალზმა" 2007 წლის დრაფტის მეორე რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

ზედნიკმა წლევანდელ რეგულარულში, სხვადასხვა მიზეზების გამო, 31 მატჩი გამოტოვა, დანარჩენ 32 შეხვედრაში კი, მხოლოდ 18 ქულას (6 გოლი+12 საგოლე გადაცემა) მოუყარა თავი.

## ტაკერი ტორონტოში დარჩა

"ტორონტო მეიპლ ლივზის" ფორვარდმა **დარსი ტაკერმა** კლუბთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

ტაკერი ამ მომენტისთვის, ტრავმის გამო არ თამაშობს რეგულარულ ჩემპიონატში. წლევანდელ სეზონში მან 39 მატჩი ჩაატარა და 31 ქულა (19 გოლი+12 შედეგიანი გადაცემა) დააგროვა.

## ოლაუსონმა კარიერა დაასრულა

გუშინ, კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა ცნობილმა შვედმა ჰოკეისტმა **ფრედრიკ ოლაუსონმა**.

ბოლო პერიოდში, ვეტერანი მცველი შვედეთის ლიგაში "ფერიესტადის" ღირსებას იცავდა, სპორტიდან წასვლა კი, თირკმელის ავადმყოფობის გამო გადაწყვიტა.

თავის დროზე, ოლაუსონს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 1000-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

ფორმულა 1

## მაკლარენი როს ბრაუნს უმიზნებს

ბრიტანული საჯინიბო "მაკლარენი", "ფერარის" ყოფილ ტექნიკურ დირექტორ **როს ბრაუნს** 3.5-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობს. ამ ინფორმაციას გაზეთი "სანდი მირორი" ავრცელებს, რომელიც იმასაც წერს, რომ ამ ფულს ბრაუნს მხოლოდ ფორმულა 1-ში მოღვაწეობისთვის არ გადაუხდიან.

*"ბრაუნს ფორმულა 1-ის გარდა, სხვა პროექტებშიც შეუძლია ჩვენთვის დახმარების გაწევა"*, - აცხადებს გუნდის წარმომადგენელი.

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ატლანტა 2:3**

2:1, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 შ. დონოვანი-6 (ჯ. იორკი-7, მაუერსი-10), 1:1 მელანბი-11 (სატონი-11, ჟიტნიკი-20), 2:1 ბოიესი-13 (შტურმი-13, პ. ბერჟერონი-38), 2:2 ბელანჟე-11 (დე ვრისი-18, ვიაჩ. კოზლოვი-44), 2:3 მარიან ჰოსა-36 (ბელანჟე-15, ვიაჩ. კოზლოვი-45).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 2:3**

0:2, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 პენერი-20 (ჯეკმენი-8, გეტცლაფი-19), 0:2 პენერი-21 (გეტცლაფი-20, ბოშემენი-12), 1:2 მიხალეკი-16 (მ. კარლი-20, ჯ. ტორნტონი-63), 2:2 მიხალეკი-17 (ჯ. ტორნტონი-64, ჩიჩუ-24), 2:3 სელიანე-38 (კუნიტცი-26).

**მონრეალი-ტორონტო 5:4**

3:1, 2:1, 0:2

გოლები: 0:1 ბატალია-11 (პოლი-11, ჰ. გილი-10), 1:1 პლეკანეცი-14 (კოვალიოვი-26), 2:1 რაიდერი-21 (ს. კოივუ-38, მარკოვი-33), 3:1 მ. ჯონსონი-10 (ბონკი-9), 3:2 მაკეიბი-11 (სუნდინი-31, ტ. კაბერლე-40), 4:2 ს. კოივუ-18 (ჰიგინსი-11, რაიდერი-23), 5:2 სურეი-22, 5:3 ჯერემი უილიამსი-1 (ბატალია-18, სუნდინი-32), 5:4 სტინი-13 (მაკეიბი-35).

**კალგარი-ფინიქსი 5:2**

2:0, 3:1, 0:1

გოლები: 1:0 მოსი-7 (ტანგეი-45, ლომბარდი-22), 2:0 ჰუსელიუსი-29 (ლენგკოუ-38, იგინლა-42), 3:0 პრიმო-8 (ამონტე-17), 3:1 პერო-19 (მორისი-8, როუჩი-11), 4:1 ზიუზინი-1 (მ. ნილსონი-10, იელი-9), 5:1 პრიმო-9 (ამონტე-18), 5:2 რაინპრეხტი-6 (დოენი-18, ტიარნკვისტი-5).

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაფალო* | 62 | 41 | 16 | 5 | 87 |
| 2. ტამპა ბეი* | 64 | 36 | 25 | 3 | 75 |
| 3. ნიუ ჯერსი* | 63 | 39 | 18 | 6 | 84 |
| 4. ოტავა | 62 | 36 | 22 | 4 | 76 |
| 5. პიტსბურგი | 61 | 33 | 19 | 9 | 75 |
| 6. ატლანტა | 65 | 32 | 23 | 10 | 74 |
| 7. მონრეალი | 65 | 33 | 26 | 6 | 72 |
| 8. კაროლინა | 64 | 32 | 25 | 7 | 71 |
| 9. აილენდერსი | 62 | 31 | 23 | 8 | 70 |
| 10. ტორონტო | 63 | 30 | 24 | 9 | 69 |
| 11. ბოსტონი | 62 | 30 | 28 | 4 | 64 |
| 12. რეინჯერსი | 62 | 29 | 27 | 6 | 64 |
| 13. ფლორიდა | 63 | 24 | 26 | 13 | 61 |
| 14. ვაშინგტონი | 63 | 24 | 29 | 10 | 58 |
| 15. ფილადელფია | 62 | 16 | 37 | 9 | 41 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეშვილი* | 64 | 42 | 18 | 4 | 88 |
| 2. ანაჰაიმი* | 64 | 37 | 17 | 10 | 84 |
| 3. ვანკუვერი* | 62 | 36 | 21 | 5 | 77 |
| 4. დეტროიტი | 63 | 39 | 16 | 8 | 86 |
| 5. დალასი | 61 | 37 | 21 | 3 | 77 |
| 6. სან ხოსე | 63 | 38 | 24 | 1 | 77 |
| 7. მინესოტა | 63 | 35 | 23 | 5 | 75 |
| 8. კალგარი | 63 | 33 | 21 | 9 | 75 |
| 9. ედმონტონი | 63 | 30 | 27 | 6 | 66 |
| 10. კოლორადო | 63 | 29 | 29 | 5 | 63 |
| 11. სტ. ლუისი | 62 | 26 | 27 | 9 | 61 |
| 12. ფინიქსი | 62 | 26 | 33 | 3 | 55 |
| 13. ჩიკაგო | 62 | 23 | 30 | 9 | 55 |
| 14. კოლამბუსი | 63 | 24 | 32 | 7 | 55 |
| 15. ლოს ანჯელესი | 63 | 21 | 32 | 10 | 52 |

*შენიშვნა*: ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 97 (26+71) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 85 (38+47) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 84 (41+43) |
| სავარი (ბოს) | 82 (21+61) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 80 (36+44) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 80 (16+64) |
| ჰიტლი (ოტა) | 79 (36+43) |
| ბრიერი (ბაფ) | 77 (27+50) |
| სელიანე (ანა) | 75 (38+37) |
| საკიკი (კოლ) | 75 (27+48) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 74 (35+39) |
| იაგრი (რეინ) | 74 (22+52) |
| რეი უიტნი (კარ) | 72 (27+45) |
| იგინლა (კალ) | 72 (30+42) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 41 |
| სელიანე (ანა) | 38 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 38 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 36 |
| ჰიტლი (ოტა) | 36 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 35 |
| განიე (ფილ) | 34 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 33 |
| დრური (ბაფ) | 33 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 33 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 71 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 64 |
| სავარი (ბოს) | 61 |
| იაგრი (რეინ) | 52 |
| ჰ. სედინი (ვან) | 50 |
| ბრიერი (ბაფ) | 50 |
| ბრინდამორი (კარ) | 49 |
| საკიკი (კოლ) | 48 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 47 |
| ნიულანდერი (რეინ) | 46 |

# კვირის სამი ვარსკვლავი

კვირის ბოლოს, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ, ტრადიციულად, გასული კვირის სამი საუკეთესო ჰოკეისტი გამოავლინა.

პირველი ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა "მინესოტა ვაილდის" ფინელმა მეკარემ - **ნიკლას ბაკსტრიომმა**. ძირითადი გოლკიპერის, **მენი ფერნანდესის** არყოფნაში, ბაკსტრიომმა გასულ კვირას თავის გუნდს სამიდან სამ შეხვედრაში მოაგებინა. ის საშუალოდ თამაშში 1.62 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 83.3 პროცენტს იგერიებდა.

"ბოსტონ ბრუინზის" საუკეთესო ბომბარდირი **მარკ სავარი** კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა. ოთხ მატჩში ამ ჰოკეისტმა 2 გოლი გაიტანა და 7 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. საგოლე პასების რაოდენობით (61), სავარი ლიგაში მესამე ადგილს იკავებს **სიდნი კროსბისა** და **ჯო ტორნტონის** შემდეგ. დაბოლოს, გასული შვიდი დღის მესამე ლაურეატად "ტამპა ბეის" ფორვარდი **ბრედ რიჩარდსი** დაასახელეს. 2004 წლის სეზონის MVP-მ წინა კვირას ჩატარებულ ოთხ მატჩში 9 ქულა (3 გოლი+6 პასი) დააგროვა.

# ბარის თხილამურები

## მსოფლიოს ჩემპიონატი

# ნოიმანოვას რევანში

იაპონიის საპოროში მიმდინარე, მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, გუშინ ბარის თხილამურობაში მედლების მხოლოდ ერთი კომპლექტი გათამაშდა - ათ კილომეტრზე თავისუფალი სტილით გამოდევნებით რბოლაში, ოქროს მედალს დაეუფლა მოქმედი ჩემპიონი, ჩეხი **კატერინა ნოიმანოვა**, რომელმაც სოლიდური უპირატესობით აჯობა რუს **ოლგა ზავიალოვას**, ვინც ორი დღით ადრე, 15 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში მოიგო ოქროს მედალი. ნოიმანოვას მიერ მოპოვებული ოქრო მესამე მედალია, რომლებიც ჩეხმა მოთხილამურეებმა საპოროში ასპარეზობისას მოიპოვეს.

*"თავიდან საკმაოდ ნელა დავიწყე ასპარეზობა, რათა ძალები დამეზოგა და დისტანციის ბოლოს ავჩქარებულიყავი. ყოველივეს მიუხედავად, დიდი უპირატესობით მოვიგე, რასაც არ ველოდი. როგორც ჩანს, სხვებსაც მსგავსი გეგმები ჰქონდათ, მაგრამ მათ ბოლოს ნაკლები ენერგია შემორჩათ"*, - ნარბოლევს განაცხადა ნოიმანოვამ.

სხვათა შორის, ბრძოლა არც მეორე და მესამე ადგილებისთვის ყოფილა - ზავიალოვამ თითქმის ოთხი წამი მოუგო იტალიელ **არიანა ფოლისს**, ამას კი დაახლოებით ამდენივეთი ჩამორჩა მეოთხეზე გასული ნორვეგიელი **კრისტინ შტოერმერ სტეირა**. არადა, დისტანციის ბოლომდე 1.7 კილომეტრი რომ რჩებოდა, ნორვეგიელი იტალიელს თითქმის რვა წამს უგებდა.

მხოლოდ მეცხრე ადგილს დასჯერდა ამ დისციპლინაში ოლიმპიური ჩემპიონი, ესტონელი **კრისტინა შმიგუნი**, მსოფლიო თასის ლიდერი, ფინელი **ვირპი კოიტუნენი** კი გაციებულია და ამის გამო, საერთოდ არ გასულა სტარტზე.

ნარბოლევს ნოიმანოვამ განაცხადა, რომ მსოფლიოს თასზე, ამ სეზონის დარჩენილ რბოლებშიც მიიღებს მონაწილეობას, რის შემდეგაც სპორტულ კარიერას დაასრულებს. *"ჯერ, რაც რბოლები დარმჩენია, იმაში გამოვალ და მერე დიდ წვეულებას გადავიხდი, რომლითაც სპორტიდან ჩემს წასვლას აღვნიშნავ. მე შვილი მყავს და ეს იმის გარანტიაა, რომ საქმე არც სპორტის შემდეგ გამომელევა"*, - ამბობს ჩემპიონი, ვინც ტურინის ოლიმპიადაზე 30 კილომეტრზე რბოლაში მოიპოვა ოქრო, 15 კილომეტრზე გამოდევნებით ასპარეზობაში კი ვერცხლს დასჯერდა.

ნოიმანოვამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველი ოქრო ორი წლის წინათ, ობერსტდორფში მოიპოვა, რასაც შარშან ოლიმპიადაზე მოპოვებული გამარჯვება მოჰყვა. ჩეხი მოთხილამურე თვლის, რომ სწორედ ტურინში მოპოვებული ოქროა მისი კარიერის უდიდესი მიღწევა. თუმცა, მსოფლიოზე აღებული პირველი ადგილებიც ტკბილ მოგონებად დამრჩებაო.




კატერინა ნოიმანოვა

**საპორო (იაპონია). ქალები**
**თავისუფალი, გამოდევნებით (10 კმ)**

**1. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) 23:58.4; 2. ოლგა ზავიალოვა (რუსეთი) +26.50; 3. არიანა ფოლისი (იტალია) +30.19; 4. კრისტინ შტოერმერ სტეირა (ნორვეგია) +35.50; 5. შარლოტ კალა (შვედეთი) +43.50; 6. ევი ზახენბახერ შტელე (გერმანია) +46.00...**

# ჩოგბურთი

## ტურნირები

### ATP

**დუბაის ჩემპიონატი**

დუბაი (საემიროები). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 401 250 დოლარი

**I წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-კრისტიან პლესი (დან 7:6 (2), 3:6, 6:3; **ფაბრის სანტორო (საფ)**-ტომი რობრედო (ესპ, 4) 7:6 (6), 6:4; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 6)**-მოჰამედ ალ გარიბი (ქუვ) 3:6, 6:3, 6:2; **ფლორან სერა (საფ)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 5:7, 6:3, 6:2; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-ჰიუნ-ტაიკ ლი 7:6 (4), 6:2; **დომინიკ ჰარბატი (სლოვაკ)**-ომარ ბარუზიანი (საემ) 6:1, 6:2; **იგორ ანდრეევი (რუს)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:7 (4), 6:4, 7:5.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). 26 თებერვალი-3 მარტი. თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 757 000 დოლარი

**I წრე**

**ირჟი ვანეკი (ჩეხ)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 2:6, 6:1, 6:3; **ნიკოლა დევილდერი (საფ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 7:6(2), 6:7(5), 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 1)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6(3), 4:6, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:3, 6:2; **ხუან პაბლო გუსმანი (არგ)**-კევინ კიმი (აშშ) 6:4, 6:2.

### WTA

**კატარის ღია**

დოჰა (კატარი). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 340 000 დოლარი

**I წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 6)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:1, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 8)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:2, 6:4; **მარა სანტანჯელო (იტა)**-სანდრა კლოზელი (გერ) 6:3, 7:6(4); **სანია მირზა (ინდ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:4, 6:3.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). 26 თებერვალი-3 მარტი. თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 757 000 დოლარი

**I წრე**

**ემილი ლუა (საფ)**-დანიელა მუნიოს გალიეგოსი (მექ) 6:3, 6:1; **კაია კანეპი (ესტ)**-კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპ) 6:2, 6:2; **ჯულია შრუფი (გერ)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 5:7, 6:2, 6:2; **ლაურა პოუს ტიო (ესპ)**-ჰანა სრომოვა (ჩეხ) 6:1, 7:5.

# TV სპორტი

**28 თებერვალი. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-დეპორტივო.
**09:59** სპორტინფორმი.
**10:19** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:19** სპორტინფორმი.
**11:39** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. რეალი-ბაიერნი.
**13:26** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**14:26** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
**17:32** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი (LIVE).
**19:58** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:48** ფიტნესი.
**21:12** მძლეოსნობა.
**21:43** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**22:40** სპორტინფორმი.
**22:52** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**23:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-უდინეზე (LIVE).
**00:20** სპორტინფორმი.
**01:43** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. სარაგოსა-ბარსელონა.
**03:30** ფიტნესი.
**03:55** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-კაროლინა (LIVE).
**07:08** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**09:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 15 კმ. საპორო. იაპონია (LIVE).
**11:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 10 კმ. საპორო. იაპონია.
**12:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 15 კმ. საპორო. იაპონია.
**13:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**14:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ფინეთის გრან-პრი.
**15:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 15 კმ. საპორო. იაპონია.
**16:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ინდივიდუალური. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დოჰა. კატარი (LIVE).
**22:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ინდივიდუალური. ლაჰტი. ფინეთი.
**23:15** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 15 კმ. საპორო. იაპონია.
**00:00** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**00:30** აფროსნობა.
**00:35** მულტისპორტი.
**00:45** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. გიოტებორგი. შვედეთი.
**01:45** მულტისპორტი.
**01:50** გოლფი. PGA-ს ტური.
**02:55** აფროსნობა.
**03:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 15 კმ. საპორო. იაპონია.
**04:00** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**21:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-რეალი (ესპანეთი).
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დოჰა. კატარი (LIVE).
**17:30** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სტრასბური (საფრანგეთი)-ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა).
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დოჰა. კატარი (LIVE).
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ექსტრემალური სპორტი.
**23:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. რუსეთის გრან-პრი.
**00:30** მულტისპორტი.
**01:00** რესტლინგი.
**02:30** სნოუბორდი.
**03:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი. ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბირმინგემი-ლიდსი | 1:0 |
| ლუტონი-ნორვიჩი | 2:3 |
| **I ლიგა** | |
| ქრიუ-სკანთორპი | 1:3 |
| დონკასტერი-იეოვილი | 0:0 |
| ოლდემი-ბლეკპული | 0:1 |
| როტერემი-სუონსი | 1:2 |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერი-ჰერეფორდი | 1:1 |
| **კონფერენსი** | |
| კემბრიჯი-ფორესტ გრინი | 1:1 |
| გრეისი-სტ. ალბანსი | 2:1 |
| **LDV Vans Trophy** | |
| როვერსი-ბრისტოლი | 1:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1:1, პენ. 4:5 |
| რედინგი-მანჩესტერ იუნ | 2:3 |
| **გერმანიის თასი. 1/4 ფინალი** | |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 0:0, პენ. 4:2 |
| ვოლფსბურგი-ალემანია | 2:0 |
| ოფენბახი-აინტრახტი | 0:3 |
| **საფრანგეთის თასი. 1/4 ფინალი** | |
| სედანი-ნანტი | 1:1, პენ. 5:6 |
| მარსელი-ვანი | 5:0 |
| **შოტლანდია. I დივიზიონი** | |
| ქუინი-კლაიდი | გადაიდო |
| **II დივიზიონი** | |
| ქოუდენბითი-სტირლინგი | გადაიდო |
| **III დივიზიონი** | |
| ისტ სტირლინგი-ბერვიკი | გადაიდო |
| ალბიონი-სტენჰაუზმური | გადაიდო |
| დამბარტონი-არბროა | გადაიდო |
| **თურქეთის თასი** | |
| გალათასარაი-ერჩიესი | დ.დ. 1:1 |
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| მარიეჰამნი-კტპ | 2:1 |
| **პოლონეთის ლიგის თასი** | |
| გურნიკი-ლეჩნა | 3:0 |
| ორონა-კრაკოვია | 2:1 |
| პლოცკი-ლეგია | 0:1 |
| პოგონი-გროდლინი | 0:2 |
| ბელხატოვი-ლკს | 5:0 |

**კალათბურთი**

| ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| უნიქსი-მონტეპასკი | 83:53 |
| პაოლი-ჟელეზნიკი | 88:79 |
| ცრ. ზვეზდა-რეალი | 72:83 |
| სტრასბური-ლიეტუვოს რიტასი | 83:70 |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| ამური-სიბირი | 0:3 |
| კრილია-ხიმიკი | 1:13 |
| ლადა-ლოკომოტივი | 5:0 |
| სკა-სევერსტალი | 3:1 |
| ტრაქტორი-ცსკა | 2:3 |
| ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 2:3 |
| დინამო-მვდ | 5:4 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (მ) | 6:2 |
| მეტალურგი (ნ)-ს. იულაევი | 2:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ნიტრა | 2:2 |
| კოშიცე-სკალიცა | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰიფკ-ტპს | 8:4 |
| ილვესი-ესეტი | 5:1 |
| იევიასკიულა-კერპეტი | 3:3 |
| კალპა-კიეკო | 1:1 |
| ლუკო-ჰპკ | 3:8 |
| პელიკანსი-ტაპარა | 1:2 |
| სეი პა-იოკერიტი | 1:3 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-დავოსი | 3:1 |
| სერვეტი-ბერნი | 2:3 |
| რაპერსვილი-ცუგი | 3:3 |
| კლოტენი-ლუგანო | 2:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. დუბაი | |
|---|---|
| კოშრაიბერი-სიმონი | 4:6, 4:6 |
| სეპი-შუტლერი | 0:6, 6:7 |
| ფერერი-სიოდერლინგი | 6:7, 1:6 |
| მარაჩი-ბრაჩიალი | 4:6, 3:6 |
| დავიდენკო-ელ აინუაი | 6:7, 7:5, 7:5 |
| იუჟნი-ნიემინენი | 3:6, 6:3, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ვლიეგენი | 4:6, 6:4, 6:3 |
| ნადალი-ბაღდატისი | 3:6, 6:2, 6:3 |
| ჰაასი-სტეპანეკი | 6:4, 6:3 |
| **WTA. დოჰა** | |
| ბონდარენკო-გრონეფელდი | 7:5, 4:6, 6:3 |
| სუგიამა-მოლიკი | 6:0, 2:6, 1:3 (*დანებდა*) |
| სფარი-დანილიდუ | 0:6, 3:6 |
| მედინა გარიგესი-შონესი | 3:6, 6:3, 6:2 |
| კირილენკო-კრემერი | 6:1, 6:2 |
| ჟავაი-გორჯესი | 2:6, 3:6 |
| კამერინი-ბონდარენკო | 6:3, 6:4 |
| რეზაი-შნიდერი | 2:6, 6:2, 2:6 |

# ჭიდაობა თურქთან და...

## ეპიზოდი პირველი

1976 წელს 28 წლის ლევან თედიაშვილმა ჭიდაობა მიატოვა. ეს მოხდა მონრეალის თამაშების შემდეგ, სადაც სახელოვანი ფალავანი მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი

სპორტულ წრეებზე არაფერს ვიტყვი, და მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაფაცურდნენ საქართველოს ცეკაში. ვერ გეტყვით, ვილაც ჭკვიანმა კაცმა ურჩიათ თუ თვითონ მიხვდნენ ამდენი ხნის ფიქრის შემდეგ, რომ დიდი ჩემპიონის წასვლა სპორტიდან ნაადრევი იყო: 30 წელიწადი რა დიდი ტვირთი უნდა ყოფილიყო ლევანის ნიჭისა და ხასიათის პატრონისთვის. ამასთან, მოსკოვის ოლიმპიადისთვის (1980) ქართველი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიდან ფავორიტად ისევ ერთადერთს - თედიაშვილს თუ დაასახელებდი, ცხადია, თუ იჭიდავებდა. კლასიკურ ჭიდაობაში კი უფრო მეტი კანდიდატი გვყავდა.



მოკლედ, ლევანმა, ზემდგომთა თხოვნით, რასაც მაშინ უფრო მოთხოვნის ძალა ჰქონდა, ვარჯიში განაახლა. არადა, რა დრო იყო - მაშინ საბჭოთა კავშირში, 100 კგ წონით კატეგორიაში ხალიჩაზე ერთმანეთს პირდაპირ ჭამდნენ მატე, მაგომედოვი, ბისულტანოვი და კიდევ რამდენიმე უძლიერესი მოჭიდავე. ამ წონაში წამყვანი ხუთეულიდან (ივან იარიგინის ჩათვლით) ყველას შეეძლო ოლიმპიადის თუ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. აქეთ ჩვენი რაშ ხუტაბა გვყავდა "მარაგში".

სწორედ ამ მარაქაში გაერია ლევან თედიაშვილი. საკავშირო ნაკრებშიც გამოიძახეს, დააკვირდნენ და რადგან ქართველმა მოჭიდავემ ერთი ტურნირიც მოიგო, ნება მისცეს გამოსულიყო ევროპის ჩემპიონატში. შესაძლოა, ძველი დამსახურებაც გაითვალისწინეს, თან, ბოლოს და ბოლოს, კონტინენტის ჩემპიონატი იყო და არა ოლიმპიური თამაშები.

ბულგარეთის დედაქალაქში, სოფიაში, ლევან თედიაშვილმა თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო ნაკრების უფროს მწვრთნელს, იური შახმურადოვს სთხოვა, ჩემს სეკუნდანტად ომზარ შოშიტაშვილი იყოსო. ბატონი ომზარი, ახლა და მრავალი წლის მანძილზე საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფში იყო და არა ნაკრებთან ერთად, მაგრამ შახმურადოვს უარი არ უთქვამს.

დაიწყო ჩემპიონატი და თედიაშვილი ისევ თედიაშვილია: მოიგო ერთი შერკინება, მეორე, მესამე, მეოთხე. თან როგორ იმარჯვებს: ზოგს ორი ქულით აჯობებს, სხვებს ბეჭებზე გააკრავს - სად როგორ დასჭირდება. მთელ ძალას ფინალისთვის იზოგავს, ფინალში კი მეორე ჯგუფიდან თურქი გიუჩლუ გავიდა. ჩვენს მეზობლებს იმ წლებში ჩავარდნა ჰქონდათ და იმედოვნებდნენ, რომ სასიკეთო შემობრუნება სწორედ სოფიიდან უნდა დაწყებულიყო.

იმ დროს ჭიდაობა 9 წუთს გრძელდებოდა - სამი პერიოდი 3-3 წუთის ხანგრძლივობით.

**ომზარ შოშიტაშვილი:** "ლევანმა ყველაფერი წინასწარ დაგეგმა, თუ რომელ პერიოდში როგორ უნდა ეჭიდავა და ყველაფერი დაწვრილებით გამაცნო. პირველი პერიოდი 0:2 უნდა წაეგო, მეორეში ანგარიშს გაათანაბრებდა, მესამეში კი წინ გავიდოდა და ჩემპიონიც გახდებოდა. ასეთი ნელი დასაწყისი იმიტომ სჭირდებოდა, რომ ძალები შემოენახა, დაძაბული ფინალისთვის სუნთქვა, გამძლეობა არ ეყოფოდა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი პირველად გამოდიოდა 100 კილოგრამში. ამასთან, ჩატარებული ვარჯიშების მიუხედავად ის, ორწლიანი "უქმე" მაშინ ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე. ისე კი, თუ ხალიჩაზე შენ არ აქტიურობ, ხშირ შემთხვევაში არც მეტოქე იკლავს თავს.

პირველი პერიოდია და გეგმა ასი პროცენტით სრულდება. ამასთან ლევანმა წინდაწინ ისიც ამიხსნა, რომელ წუთზე, რა ილეთით უნდა დაეთმო ქულები, და წუთობრივად რა უნდა მეკარნახა მისთვის. მოკლედ, როგორც მან დამარიგა, ხალიჩის კუთხიდან მეც ისე ვახსენებდი.

მეორე პერიოდში უკვე ვიცი, თედიაშვილი რომელ ფეხში და რა დროს უნდა შევიდეს. ბოლო წუთისთვის, როცა ანგარიში 1:2 იყო, მე ისევ შევუძახე. ლევანმაც, გეგმის მიხედვით, ისევ გადაიყვანა თურქი ჩოქბჯენში, მაგრამ გამოკვეთილად ვერ დააფიქსირა. გიუჩლუ კი ამოუტრიალდა და მეორე პერიოდის ბოლოს ანგარიში 2:2 კი არა, 1:3 გახდა მეტოქის სასარგებლოდ.

მესამე პერიოდის წინ მცირე შესვენებაზე, მომხდარით გაოგნებული შევყურებდი ლევანს. თვითონვე დამამშვიდა, ყველაფერი რიგზეა, ასეთი ვარიანტი უფრო მაძლევდა ხელს, ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.

და ძველი გეგმის ნაცვლად ისლა დამიტოვა: მარტო შეტევა, შეტევა მიძახეო.

დაიწყო ბოლო პერიოდი და ლევან თედიაშვილი პირდაპირ დაეტაკა თურქს. ერთი წუთის განმავლობაში მრავალი შესვლა გააკეთა, მაგრამ ქულა არ აუღია. ჯერ მხოლოდ მეტოქეს ღლიდა და წონასწორობას აკარგვინებდა.

ქულების აკრეფა მეორე წუთიდან დაიწყო, როცა გიუჩლუ სულ "მოანგრია": 2:3, 3:3, 4:3. მაინც არ ჩერდებოდა, ქარაშოტივით იყო. კიდევ ერთი ილეთი და თურქი ისევ ჩოქბჯენში აღმოჩნდა. ისე იყო გაოგნებული, რომ ამ პოზიციიდან ჩვენს მოჭიდავეს ხელზე უკბინა. დროც ამოიწურა და ლევანმა 5:3 გაიმარჯვა.

ფიზიკურად და მორალურად განადგურებული თურქი ხალიჩაზე დარჩა და იქიდან ხელით გაიტანეს - მან ხომ კარგად იცოდა, ლევანს რამდენი დრო გაუცდა.

ლევანი კი გალიმებული სახით, გარეგნულად ხალისიანი, დინჯად წამოდგა ხალიჩიდან. ტელევიზიის პროჟექტორები ანათებენ, ხალხი ესალმება. მისვლას ვაპირებდი, რომ თვითონ დამიძახა - ჩქარა, ჩქარაო. როცა მივედი, ამხელა კაცი მხრებზე ჩამომეკიდა, ხელი გადამხვია. ისე იყო დაღლილი, რომ ერთიანად მოილვენთა, მაგრამ გარეგნულად ღირსეულად ეჭირა თავი - და ჩემს გარდა კაციშვილმა ვერ შენიშნა, რის ფასად დაუჯდა თედიაშვილს ასეთი თავდაჭერა. მაყურებელმა ერთადერთი რამ დაინახა: დიდმა ჩემპიონმა დამაჯერებლად მოიგო ფინალი და ახლა ხალისიანად ესალმება მათ. ჩვენ კი ძლივს მივედით გასახდელამდე.

ჩემი ცხოვრების მანძილზე 87 ტურნირს დავესწარი, მათ შორის ოლიმპიადებს და მსოფლიო ჩემპიონატებს, მაგრამ ისეთი ბრძოლა, 1978 წელს რომ ვიხილე სოფიაში, სხვაგან არსად მინახავს.

რომ გვქონდეს იმ ფინალის ამსახველი ფირი, ის იქნებოდა ქრესტომათიული მაგალითი, რომელზეც მომავალი თაობა გაიზრდებოდა. ბევრჯერ მინახავს, და არა მარტო ჭიდაობაში, რომ დამთავრდება შეხვედრა და ჩვენი სპორტსმენები, წაგებულები, ლამის თავაწეულები ტოვებენ სარბიელს. არადა, ცხადად ეტყობათ, რომ გაცილებით მეტი შეეძლოთ, მაგრამ არ დაიხარჯნენ. ლევანის ჭიდაობა სოფიაში სწორედ სპორტისადმი, სპორტული შეჯიბრებისადმი ასეთი მიდგომის სრულიად საწინააღმდეგო მაგალითია".



# ...ჩხუბი მიჩიგანელებთან



ივან იარიგინი და ლევან თედიაშვილი

## ეპიზოდი მეორე

1971 თუ 1972 წელი იყო. საბჭოთა კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში ამერიკაში, მიჩიგანის შტატში იმყოფებოდა. ორ ქვეყანას შორის საკმაოდ დაძაბული მდგმარეობა იყო და მიჩიგანის ხელისუფლებამაც, ზედმეტი თავის ტკივილის ასაცილებლად, საბჭოთა გუნდს პოლიცია გამოუყო - ყველგან ყარაულობდნენ, სასტუმროში და რა თქმა უნდა, ქუჩაში. ლევან თედიაშვილს და მის მეგობარ ივან იარიგინს კი საბჭოეთში აკრძალული ხილის, სტრიპტიზის ნახვა უნდოდათ, ამიტომ დაცვას გაეპარნენ და სტრიპტიზის დარბაზსაც მალე მიაგნეს.

სიბნელეში კარგად მოკალათდნენ, რომ ერთმა შავკანიანმა იარიგინს სკამის სახელურზე ფეხი ჩამოუდო. სახელოვანი ციმბირელი მოჭიდავე შეიშმუშნა, თედიაშვილმა კი იმ თავხედს ფეხი დაბლა ჩამოაღებინა. ეს რა გამიბედესო და ის კაცი ორ მოჭიდავეზე გაიწია...

იარიგინის კუნთები რომ გენახათ, გაბრაზებული, ვეფხვსაც დაახრჩობდა. ორივე 100-კილოიანი მოჭიდავე ჩხუბითაც ძალიან კარგად ჩხუბობდა, მაგრამ სადღაც "შორეთში" გასროლილ უზრდელ მასპინძელს თავისიანები გამოესარჩლენ და ორ ათლეტს 20-25 კაცი დაეხვია.

უნდა გენახათ მათი ფრიალი. დარბაზში იარალი, ცხადია, არავის ჰქონდა, ჩხუბში კი მოჭიდავეები, მუშტით თუ ილეთით, პანტა-პუნტით ისროდნენ ცუდ ფეხზე ამდგარ მიჩიგანელებს. უფრო მათ და არა მოჭიდავეებს მოუსწრო თედიაშვილის და იარიგინის საშველად მოვარდნილმა პოლიციამ და ორივე დარბაზიდან გაიყვანა.

მეორე დღეს, როცა ქალაქის ხელმძღვანელებთან ამ ყველაფერზე ისაუბრეს, ქართველიც და რუსიც მიჩიგანის საპატიო პოლიციელები გახდნენ.

როგორც გავიგე, თედიაშვილი ახლა უმუშევარი ყოფილა. იქნებ დარეკოს მიჩიგანში. ძალ-ღონე ისევ მოსდგამს და ასაკის გამო იქნებ არც დაიწუნონ.

**გიორგი ჩოჩიშვილი**


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უზულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10[a],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა